გიორგი თითბერიძე

საარბიტრაჟო პროცესი
(ტესტები და კაზუსები)

მესამე გადამუშავებული გამოცემა

საარბიტრაჟო პროცესი
(ტესტები და კაზუსები)

მესამე გადამუშავებული გამოცემა

თბილისი, 2020

კრებული განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ავრეთვე არბიტრთა აკრედიტაციის სისტემაში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის

ISBN 978-9941-8-2320-6

დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

მესამე გამოცემის წინათქმა

10 წელი შესრულდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან. განვლილმა პერიოდმა ცხადყო არბიტრაჟის, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის მზარდი მოთხოვნილება.

წინამდებარე კრებული აგრძელებს წინა 2 გამოცემის პრაქტიკას და მასში მოცემულია როგორც ჰიპოთეტური, ასევე საუკეთესო საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით შედგენილი მაგალითები. აღსანიშნავია, რომ მეორე გამოცემის შემდეგ დამატებული ტესტები და კაზუსები საკმაო სირთულისაა და მათზე სწორი პასუხის გაცემა არ არის მარტივი. ამასთან, მეორე გამოცემაში არსებული მასალა მცირედი გადამუშავებული სახითაა წარმოდგენილი, ძირითადი აქცენტი გადატანილია არბიტრაჟის შექმნის და საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე, თუმცა გარკვეული დოზით ადგილი ეთმობა მატერიალური სამართლის ნორმების, მათ შორის კოლიზიური ნორმების გამოყენებასაც არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელი სამართლის საკითხის გადაწყვეტისას. ამასთან მასალა თემატურადაა განთავსებული, რაც საშუალებას მისცემს გამომცდელს უფრო ეფექტურად შეარჩიოს საკითხები გამოსაცდელი პირისათვის. კრებულში მოცემული ტესტები და კაზუსები ერთი შეხედვით მსგავსია, მაგრამ ყურადღებით დაკვირვების შედეგად ნათელია, რომ იდენტური არაა და საჭიროა თითოეული მათგანის ზედმიწევნით გულდასმით გააანალიზება.

გამოცემაზე მუშაობის პროცესში მივიღე რეკომენდაციები, რომ მიმეთითებინა თუნდაც ტესტების სწორი პასუხები. ასეთი რეკომენდაციები არ იქნა გაზიარებული, რადგანაც ეს ძირეულად ეწინააღმდეგება გამოცემის კონცეფციას (ისევე როგორც პედაგოგიკის ზოგად პრინციპებს), რომ სწორი პასუხი დაინტერესებულმა პირმა თავად უნდა მოიძიოს შესაბამისი ლიტერატურის მომარჯვებით, დაფიქრების და, სტუდენტის

შემთხვევაში, მის პედაგოგთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით მით უფრო, რომ როგორც აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში მასალა ერთი შეხედვით მსგავსია, მაგრამ არ არის იდენტური. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ჩემი შეხედულებით, დაინტერესებულ პირებს დაეხმარება კრიტიკული უნარებისა და ჩვევების განვითარებასა და არბიტრაჟის სპეციფიკის უკეთ გარკვევაში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს უკეთესი საარბიტრაჟო გარემოს შექმნისა და არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის ცნობადობის გაზრდასა და უფრო ფართოდ გავრცელებას და დაინტერესებულ პირებს უდავოდ ხელს შეუწყობს პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატების მიღწევაში.

გიორგი თითბერიძე

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის წევრი

მეორე გამოცემის წინათქმა

ტესტებისა და კაზუსების პირველი გამოცემიდან ორი წლის განმავლობაში დაიხვეწა და განახლდა სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა, აგრეთვე გაფართოვდა არბიტრაჟუნარიან საკითხთა წრე. კერძოდ, 2018 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ ცვლილება იქნა შეტანილი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში და არბიტრაჟის იურისდიქცია გავრცელდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებზე, რაც მეტყველებს სახელმწიფოს მხრიდან პროარბიტრაჟული განწყობის ზრდაზე. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2018 წლის დეკემბერში ქალაქ პრაღაში ხელი მოეწერა „საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზაციის წესებს“ („პრაღის წესები“) და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ დოკუმენტს მხარს უჭერს საქართველოს არბიტრთა ასოციაციაც.

ბუნებრივია, ყოველივე მითითებული საჭიროებდა შესაბამისი კორექტივების შეტანას პირველი გამოცემის ტესტებსა და კაზუსებში. მეორე გამოცემა ძირითადად ინარჩუნებს თავდაპირველ ტესტებსა და კაზუსებს, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილების, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის დახვეწის და სფეროს სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებების გათვალისწინებით წინამდებარე გამოცემაში შეტანილია დამატებითი ტესტები და კაზუსები, რომლებიც კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება დაიყოს მარტივ, საშუალო სირთულის და რთულ ტესტებად და კაზუსებად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ფარგლებში საარბიტრაჟო პროცესის კურსის გავლისას სტუდენტთა მომზადების დონის შემოწმება ხორციელდება პირველ გამოცემაში

არსებული მასალის მიხედვით. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების სტუდენტების მხრიდან რამდენიმე შეკითხვა მივიღე, თუ სად შეიძლებოდა პასუხების ნახვა - ხომ არ იყო ხელმისაწვდომი სწორი პასუხები კონკრეტული პუბლიკაციის სახით, რაზეც ჩემი პასუხი იყო და კოლეგა პედაგოგები ალბათ დამეთანხმებიან, რომ სწორი პასუხი არის კანონში და მსჯელობაში, რომლის სისწორეს საგნის პედაგოგი ამოწმებს. ჩემი გადასახედიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იქნეს მიღწეული ის მიზანი, რაც დასახულია როგორც პირველ, ასევე წინამდებარე გამოცემაში - არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის არსის და საქმიანობის სრულყოფილად ათვისება და არც თუ შორეულ პერსპექტივაში სახელშეკრულებო დავების საარბიტრაჟო განხილვებში აქტიურად ჩართვა, მათ შორის არბიტრის სტატუსითაც.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო არბიტრთა ასოციაციის წევრს, ბატონ პაატა კოპალეიშვილს უაღრესად საინტერესო მასალის მოწოდებისათავის, რაც აისახა წინამდებარე გამოცემაში - მითითებლი მასალა მისივე თავაზიანი თანხმობით ასევე აისახება უახლოესი პერიოდისათვის გამოსაცემ სხვა პუბლიკაციებშიც (მეგზური არბიტრაჟში, არბიტრაჟის შესახებ კანონის კომენტარი,მეორე გამოცემა - მაქსიმუმ ორ წელზე გათვლილი პროგრამა მინიმუმი). აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ლაშა ნოდიას და ქალბატონ სოფიო ტყემალაძეს საქართველოში არბიტრაჟის განვითარებაში უაღრესად დიდი წვლილის შეტანისთვის.

გიორგი თითბერიძე

პირველი გამოცემის წინათქმა

მოცემული კრებულის შექმნის იდეა გაჩნდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში საარბიტრაჟო პროცესის, როგორც იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების სამაგისტრო პროგრამის მომზადებისას. იდეა ეკუთვნის საქართველოს არბიტრთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ ლაშა ნოდიას, რომელმაც მოცემული კრებულის შექმნაშიც გარკვეული მონაწილეობა მიიღო.

ვფიქრობ, რომ კრებულში მოყვანილი ტესტები და კაზუსები იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სასარგებლო იქნება და დაეხმარება მათ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის არსის და საქმიანობის სრულყოფილად ათვისება და არც თუ შორეულ პერსპექტივაში სახელშეკრულებო დავების საარბიტრაჟო განხილვებში აქტიურად ჩართვაში.

გიორგი თითბერიძე

სარჩევი

ტესტები

I. არბიტრაჟის შექმნის ორგანიზაციული საკითხები 9

II. საარბიტრაჟო შეთანხმება 12

III. არბიტრაჟის კომპეტენცია 22

IV. საარბიტრაჟო განხილვა, სამართლის ნორმათა გამოყენება 50

V. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება 108

კაზუსები

I. საარბიტრაჟო შეთანხმება 142

II. არბიტრაჟის კომპეტენცია 160

III. საარბიტრაჟო განხილვა, სამართლის ნორმათა გამოყენება 187

IV. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების: ცნობა/აღსრულება; გასაჩივრება 240

ტესტები

I. არბიტრაჟის შექმნის ორგანიზაციული საკითხები

1. საარბიტრაჟო დაწესებულება შეიძლება შეიქმნას:

ა. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით;
ბ. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და იუსტიციის სამინისტროს ნებართვით;
გ. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და იუსტიციის სამინისტროს მიერ სპეციალური ლიცენზიის გაცემის შემდეგ;
დ. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და არბიტრთა ასოციაციის მიერ აკრედიტაციის განხორციელების შემდეგ.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეიძლება შეიქმნას:

ა. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ;
ბ. Ad hoc არბიტრაჟის მიერ;
გ. მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული წესების მიხედვით;
დ. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე საარბიტრაჟო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნის აუცილებელი პირობაა:

** შენიშვნებისათვის*

ა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბება;
ბ. არასამეწარმეო იურიდიულ პირად ჩამოყალიბება;
გ. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა;
დ. იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება არბიტრაჟის საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ.

4. პირის არბიტრად დანიშვნა არ შეიძლება, თუ:

ა. არ გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება;
ბ. არ გააჩნია ადვოკატად მუშაობის 5 წლის სტაჟი;
გ. არა აქვს სამეცნიერო ხარისხი;
დ. არ გააჩნია არბიტრად დანიშვნის სურვილი.

5. საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება:

ა. სასამართლოს გადაწყვეტილებით;
ბ. კანონის შესაბამისად;
გ. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით;
დ. საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილებით.

6. რამდენი არბიტრის შემადგენლობით უნდა შეიქმნას საარბიტრაჟო ტრიბუნალი, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება არ ითვალისწინებს არბიტრთა რაოდენობას?

ა. ერთი;
ბ. ორი;
გ. სამი;

** შენიშვნებისათვის*

დ. ვერ მოხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება.

7. არბიტრად დანიშვნა არ შეიძლება აეკრძალოს პირს, თუ:

ა. შეზღუდულ ქმედუნარიანია;
ბ. საჯარო მოხელეა;
გ. არა აქვს უმაღლესი განათლება;
დ. ნოტარიუსია.

8. არბიტრობის კანდიდატმა მხარეებს უნდა წარუდგინოს:

ა. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი;
გ. წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ. ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

II. საარბიტრაჟო შეთანხმება

9. საარბიტრაჟო შეთანხმება ნიშნავს:

ა. დავის სამედიაციო ცენტრის მიერ განხილვას;
ბ. დავის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ განხილვას;
გ. დავის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განხილვას;
დ. დავის მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვას.

10. თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს:

ა. სანოტარო წესით დამოწმებული სახით;
ბ. ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ;
გ. საკმარისია ელექტრონული შეტყობინებით გამოგზავნილი თანხმობა;
დ. საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლის გზით.

11. შპს „განთიადმა“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ს.ს. „პროგრესის“ წინააღმდეგ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნით. მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება. მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში არსებობდა

** შენიშვნებისათვის*

შემდეგი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმა: „ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება სადავო ხელშეკრულებასთან უნდა იქნეს გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, ამ წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრის მიერ“.

როგორ გადაწყვეტს საქალაქო სასამართლო დავას:

ა. შეწყვეტს საქმეზე წარმოებას მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გამო;
ბ. დაიწყებს საქმის არსებით განხილვას და მხარეთა პაექრობის დასრულების შემდეგ იმსჯელებს შუამდგომლობის შესახებ;
გ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო დათქმაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი;
დ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო დათქმაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი, მისი ადგილმდებარეობა და მხარეთა შორის არ შეთანხმებულა გამოსაყენებელი სამართალი.

12. შპს „განთიადმა“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ს.ს. „პროგრესის“ წინააღმდეგ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის

** შენიშვნებისათვის*

არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება. მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში არსებობდა შემდეგი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმა: „ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება სადავო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ“. მოპასუხის შუამდგომლობასთან დაკავშირებით შპს „განთიადმა“ სასამართლოს წარუდგინა საკუთარი მოსაზრება და მიუთითა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან არც არბიტრთა რაოდენობაზე და არც კონკრეტულ არბიტრაჟზე.

როგორ გადაწყვეტს საქალაქო სასამართლო დავას:

ა. შეწყვეტს საქმეზე წარმოებას მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გამო „prima facie“-ს სტანდარტის მიხედვით, რადგანაც საარბიტრაჟო შეთანხმება აკმაყოფილებს ad hoc არბიტრაჟს სტანდარტს;
ბ. დაიწყებს საქმის არსებით განხილვას და მხარეთა პაექრობის დასრულების შემდეგ იმსჯელებს შუამდგომლობის შესახებ;
გ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო დათქმაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი;
დ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო დათქმაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი და არც არბიტრთა რაოდენობა.

13. საარბიტრაჟო შეთანხმების აუცილებელი ელემენტია:

** შენიშვნებისათვის*

ა. დავის განხილვის ადგილი;
ბ. დავის განმხილველი საარბიტრაჟო დაწესებულება;
გ. მითითება რომელი სამართლის მიხედვით განიხილება დავა;
დ. არბიტრთა რაოდენობა.

14. საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა არ შეიძლება დადგინდეს:

ა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით;
ბ. სასამართლოს გადაწყვეტილებით;
გ. იმ ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებით, რომლის ნაწილიცაა საარბიტრაჟო შეთანხმება;
დ. მხარეთა შეთანხმებით.

15. საარბიტრაჟო წარმოების წესები წარმოადგენს:

ა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილს;
ბ. საარბიტრაჟო დაწესებულების თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
გ. საარბიტრაჟო დაწესებულების სამდივნოს ფუნქციონირების წესს;
დ. საარბიტრაჟო დაწესებულების სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდება, შინაგანაწესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები) კრებულს.

16. საარბიტრაჟო დაწესებულებაზე შეთანხმება ნიშნავს:

** შენიშვნებისათვის*

ა. შეთანხმებას საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრებზე;
ბ. შეთანხმებას საარბიტრაჟო წარმოების წესებზე;
გ. შეთანხმებას ad hoc არბიტრაჟზე;
დ. შეთანხმებას დავის სამი არბიტრით განხილვაზე.

17. სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „პროგრესმა“ სს „ერთობა“-ს წინააღმდეგ ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სს „ერთობა“-მ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგანაც მხარეთა შორის დადებული იყო საარბიტრაჟო შეთანხმება. აღნიშნულ შუამდგომლობაზე მოსარჩელემ წარადგინა საკუთარი განმარტება და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ ითვალისწინებდა კონკრეტულ არბიტრაჟს და მასში ზოგადად იყო მითითებული, რომ მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა განიხილებოდა არბიტრაჟის მიერ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით.

სასამართლომ, მხარეთა მოსაზრებების გაცნობის საფუძველზე:

ა. განუსაზღვრა მოპასუხეს შესაგებლის წარდგენის ვადა;
ბ. დანიშნა მოსამზადებელი სხდომა;
გ. დანიშნა მთავარი სხდომა;
დ. შეწყვიტა საქმის წარმოება.

18. თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირია, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს:

** შენიშვნებისათვის*

ა. სიტყვიერი შეთანხმებით;
ბ. ელექტრონული ფოსტის ურთიერთგაცვლით;
გ. მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით;
დ. მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის სახით.

19. კატოვიცეს (პოლონეთი) სამკერვალო გაერთიანებამ გორის ბამბეულის კომბინატს დაუკვეთა ბამბის ნართის დიდი პარტია და წინასწარ გადაიხადა მისი საფასური. მხარეთა შორის კლასიკური სახით წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა - ურთიერთობა დამყარდა ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერის გზით. გამყიდველმა, გორის ბამბეულის კომბინატმა საწარმოო პრობლემებიდან გამომდინარე, დათქმულ ვადაში ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის სასურველი ნაწარმის მიწოდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ მყიდველმა გამყიდველს ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეატყობინა, რომ აღარ სურს მასთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება და მოითხოვა წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნება და საურავის გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და მისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვისაც. გორის ბამბეულის კომბინატმა აღნიშნული მოთხოვნა არ შეასრულა. კატოვიცეს სამკერვალო გაერთიანებამ „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“ ვენის კონვენციის ნორმებზე დაყრდნობით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს. გორის ბამბეულის კომბინატმა წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითა, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

შეთანხმება არ გაფორმებულა. ამასთანავე აღნიშნა, რომ ვალდებულება არ შეუსრულებია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და თანხმობა განაცხადა დაუბრუნოს მყიდველს მხოლოდ მის მიერ გადახდილი საფასური და უარი განაცხადა რაიმე სახის სანქციის დაკისრებაზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის გამო;
ბ. გააგრძელებს განხილვას, იხელმძღვანელებს საქართველოს კანონმდებლობით და დააკმაყოფილებს მხოლოდ მოთხოვნას მყიდველის მიერ გადახდილი საფასურის დაკისრების შესახებ;
გ. არ დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა;
დ. გააგრძელებს განხილვას, იხელმძღვანელებს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენციის ნორმებით და სარჩელს სრულად დააკმაყოფილებს.

20. გერმანულ კომპანიას (გამყიდველი) და ქართულ საწარმოს (მყიდველი) შორის დაიდო კონტრაქტი კონკრეტული საქონლის ნასყიდობის შესახებ. კონტრაქტი მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმას დავის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ მიერ განხილვის შესახებ. კონტრაქტის თანახმად მყიდველს, მის მომსახურე ბანკში უნდა გაეხსნა საერთაშორისო სა-

** შენიშვნებისათვის*

ვაჭრო პალატის 2007 წლის N600 პუბლიკაციით დამტკიცებული უნიფიცირებული წესებით („უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტური აკრედიტივისათვის“) გათვალისწინებული დოკუმენტური აკრედიტივი, რომლის საფუძველზეც განაღდებოდა გამყიდველის მიერ მისთვის გამოგზავნილი საქონლის საფასური. გამყიდველის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ამ უკანასკნელმა მყიდველს სრულად გაუგზავნა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი. გამყიდველმა, მისი მომსახურე ბანკისაგან აკრედიტივის განაღდებაზე დაუსაბუთებელი უარის მიღების შემდეგ, საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოითხოვა მყიდველს დაკისრებოდა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის საფასური. მყიდველმა წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითა, რომ მან სრულად შეასრულა კონტრაქტის პირობები, ხოლო გამყიდველმა მის მომსახურე საბანკო დაწესებულებას „უნიფიცირებული წესებით“ გათვალისწინებული ვადების დარღვევით წარუდგინა გადამზიდველის სატრანსპორტო დოკუმენტები, რის გამოც გამყიდველის მომსახურე ბანკმა რემიტენტს უარი განუცხადა მოთხოვნილი აკრედიტივის განაღდებაზე. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხემ მიიჩნია, რომ ის არ არის სათანადო მოპასუხე და საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე იშუამდგომლა სათანადო მოპასუხით შეცვლაზე. საარბიტრაჟო მოსარჩელე ასეთ შუამდგომლობას არ დაეთანხმა.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, შეცვლის მოპასუხე მხარეს და გააგრძელებს საქმის არსებით განხილვას;
ბ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო მოპასუხეს ირჩევს მოსარჩელე და გააგრძელებს საქმის არსებით განხილვას;
გ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც საარბიტრაჟო მოსარჩელის მომსახურე ბანკი არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე და მის მიმართ არბიტრაჟს არ გააჩნია კომპეტენცია;
დ. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, შეცვლის საარბიტრაჟო მოპასუხეს და მისი მოსაზრების გათვალისწინებით იმსჯელებს არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ.

21. ზალცბურგის (ავსტრია, მყიდველი) სასურსათო კომბინატს და ს.ს. ზუგდიდის ჩაის საწარმოო გაერთიანებას (გამყიდველი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს 110 ტონა პირველი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. მყიდველმა ავანსის სახით გადაიხადა საქონლის ღირებულების 40%. გამყიდველმა სახელშეკრულებო ვალდებულება არ შეასრულა. მყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (GIAC). გამყიდველმა იშუამდგომლა საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ არბიტრაჟის კომპეტენციის არარსე-

* *შენიშვნებისათვის*

ბობის მოტივით და მიუთითა, რომ მართალია ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მისი შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი განსახილველად უნდა გადაეცეს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ არბიტრაჟს, მაგრამ არ არის მითითებული არც დავის განხილვის ადგილის (ქვეყანა) და არც საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო განხილვის წესების შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს არბიტრაჟი:

ა. განაგრძობს საარბიტრაჟო განხილვას, რადგანაც ხელშეკრულებაში მითითებულია სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული არბიტრაჟი, ხოლო საქართველოს სინამდვილეში სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან მხოლოდ ერთი არბიტრაჟი არსებობს და, ამასთან საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ვენის 1980 წლის კონვენციის შესაბამისად, რაც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, საერთაშორისო კონტრაქტის შემთხვევაში დავა განიხილება გამყიდველის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ. ხელშეკრულებაში არსებულ საარბიტრაჟო დათქმას მიიჩნევს „პათოლოგიურ“ საარბიტრაჟო შეთანხმებად და შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;

გ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას და საქმეს განსახილველად გადაუგზავნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

დ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას და საქმეს განსახილველად გადაუგზავნის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

** შენიშვნებისათვის*

III. არბიტრაჟის კომპეტენცია

22. ვინ იღებს პირველად გადაწყვეტილებას აქვს თუ არა არ-ბიტრაჟს დავაზე კომპეტენცია?

ა. საარბიტრაჟო დაწესებულება;
ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი;
გ. მოსარჩელე და მოპასუხე;
დ. სასამართლო.

23. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილება გა-მოაქვს:

ა. პირველი ინსტანციის სასამართლოს;
ბ. სააპელაციო სასამართლოს;
გ. საქართველოს არბიტრთა ასოციაციას;
დ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

24. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება:

ა. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად;
ბ. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;
გ. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;
დ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა-მდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად.

25. არბიტრაჟის კომპეტენცია გულისხმობს:

** შენიშვნებისათვის*

ა. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების იურისდიქციას;
ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციას;
გ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების მიუკერძოებლობას;
დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიუკერძოებლობას.

26. არბიტრაჟის კომპეტენცია გულისხმობს:

ა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას;
ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამოუკიდებლობის არსებობას;
გ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას;
დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

27. დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ გამოაქვს:

ა. მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას;
ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს;
გ. საქალაქო/რაიონულ სასამართლოს;
დ. სააპელაციო სასამართლოს.

28. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეწყვიტა საარბიტრაჟო განხილვა კომპეტენციის არარსებობის გამო.

სად უნდა გაასაჩივროს მოსარჩელემ ეს განჩინება:

** შენიშვნებისათვის*

ა. საქალაქო სასამართლოში;
ბ. სააპელაციო სასამართლოში;
გ. არბიტრთა ასოციაციაში;
დ. ასეთი განჩინება საბოლოოა და მასზე საჩივარი არ დაიშვება.

29. რა ვადაში შეიძლება გაკეთდეს განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არ არსებობის შესახებ?

ა. საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენამდე;
ბ. საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე ან მასთან ერთად;
გ. საარბიტრაჟო სხდომის დანიშვნამდე;
დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებამდე.

30. მხარეებმა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა. ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა არბიტრაჟს. მოპასუხემ მიუთითა, რომ ასეთი დათქმა არ არის არბიტრაჟუნარიანი.

აქვს თუ არა არბიტრაჟს კომპეტენცია ასეთ დავაზე:

ა. საარბიტრაჟო დათქმა არბიტრაჟუნარიანია და არბიტრაჟს გააჩნია კომპეტენცია;
ბ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის თანხმობაზე;
გ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია

** შენიშვნებისათვის*

დამოკიდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნებართვაზე;

დ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია დამოკიდებულია საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების ერთობლივ თანხმობაზე.

31. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს შორის დადებულია სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულება უზრუნველყოფილია მესამე პირის თავდებობით და ასევე მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქონების იპოთეკით.

მხარეთა შორის დადებული სესხისა და თავდებობის ხელშეკრულებები შეიცავს ასეთი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმას: *„წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის, ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების, მისი ცალკეული ნაწილის ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, რომლის ღირებულება (დავის საგანი) აღემატება 3000 (სამი ათასი) ლარს, უნდა იქნეს გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ, კერძოდ არბიტრაჟი „დავების განმხილველ ცენტრი“-ის (ს/კ 204547348) მიერ საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღისათვის მოქმედი საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განსაზღვრული იქნეს ქალაქი თბილისი, ხოლო წარმოების ენად - ქართული“.* ამავდროულად,

* *შენიშვნებისათვის*

იპოთეკის ხელშეკრულება, პუნქტი: „იპოთეკარის ინტერესების დაკმაყოფილება“, ითვალისწინებს იპოთეკარის დაკმაყოფილების კონკრეტულ ჩამონათვალს:

იპოთეკით უზრუნველყოფილი რომელიმე ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში „იპოთეკარი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის საგნიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამ მიზნით განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებათაგან ნებისმიერი:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში იპოთეკის საგანი, თუ „იპოთეკარი“ და „მესაკუთრე“ ამის თაობაზე წერილობით მიმართავენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „საჯარო რეესტრი“);
- იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს აუქციონის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, „მესაკუთრე“ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ აუქციონის ორგანიზება უზრუნველყოს სპეციალისტმა, რომელიც ამავე დროს არის „იპოთეკარი“. სპეციალისტის ანაზღაურება შეადგენს სარეალიზაციო ქონების 2%-ს (აუქციონის ორგანიზება და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე - 309-ე მუხლებით);

** შენიშვნებისათვის*

- იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს სასამართლოსათვის მიმართვის და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებით აღსრულების გზით.

  იპოთეკის ხელშეკრულების შემდეგი პუნქტის თანახმად განსაზღვრულია, რომ:

  „თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საკმარისი არ იქნება იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს მოთხოვნის ოდენობას, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის საგნის ღირებულების ამ იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით. შესაბამისად, თუ ამონაგები თანხა არ ფარავს სრულად „იპოთეკარის“ მოთხოვნას, „იპოთეკარი“ იტოვებს უფლებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მსესხებლის და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა ქონებით. იგივე გავრცელდება იმ ხარჯებზეც და დანახარჯებზეც, რაც შეიძლება წარმოიშვეს იპოთეკის საგნის რეალიზაციის პროცესში. სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების, 7500 ლარის გადახდის თაობაზე მსესხებლის, თავდების და იპოთეკის საგნის მესაკუთრის უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, გამსესხებელმა საარბიტრაჟო სარჩელით მოითხოვა: სესხის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, მოპასუხეთათვის დავალიანების თანხის, საპროცენტო სარგებლის

* *შენიშვნებისათვის*

და მიუღებელი შემოსავლის, აგრეთვე გაწეული ხარჯის: საარბიტრაჟო სარჩელზე გადახდილი მოსაკრებლის და სარჩელის ასლების მომზადებისათვის გაწეული საფასურის სოლიდარულად დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნას აგრეთვე შეადგენს იპოთეკის საგნის რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგებით მსესხებლის ვალდებულების დაუფარაობის შემთხვევაში აღსრულების მიქცევა მსესხებლისა, თავდებების და იპოთეკის საგნის მესაკუთრის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებებზე. არც ერთ საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებლის ან/და არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განცხადების წარდგენის უფლებით არ უსარგებლია.

აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს კომპეტენცია განიხილოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ?

ა. იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება და, შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს მის მიმართ არ გააჩნია დავის განხილვის კომპეტენცია;
ბ. მიუხედავად წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობისა, საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულად ითვლება, რადგანაც საარბიტრაჟო განხილვის დროს მესაკუთრეს არ განუცხადებია საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის თაობაზე;
გ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს კომპეტენცია ექნება, თუ საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრაცია განაცხადე-

** შენიშვნებისათვის*

ბს დავის განხილვაზე თანხმობას;

დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კომპეტენციის დადასტურებაზე უნდა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს

32. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, რომლის თანახმად მის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ სცნო უსაფუძვლობის მოტივით. ამასთან, შესაგებელში აღნიშნა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. გააგრძელებს საარბიტრაჟო განხილვას;
ბ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
გ. საარბიტრაჟო სარჩელს დაუშვებლად სცნობს;
დ. შეაჩერებს საარბიტრაჟო განხილვას კომპეტენციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

33. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, რომლის თანახმად მის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ სცნო იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არის ბათილი და მიუთითა, რომ ერთობლივი საქმიანობის დადების შესახებ ასეთი ხელშეკრულების დადებას ესაჭიროებოდა ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება. შესაბამისად მიიჩნია, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია, რადგანაც, მისი მოსაზრებით არბიტრაჟი საარბიტრაჟო სარჩელს ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე არ უნდა იხილავდეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დაადგენს, რომ ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა არ არის საარბიტრაჟო დათქმის ბათილობის საფუძველი და შეუდგება საქმის განხილვას;
ბ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
გ. საარბიტრაჟო სარჩელს დაუშვებლად სცნობს;
დ. შეაჩერებს საარბიტრაჟო განხილვას კომპეტენციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

34. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, ამასთან, დანიშნა არბიტრი. მოგვიანებით წარადგინა განცხადება არბიტრაჟის შესაბამისი კომპეტენციის არქონის შესახებ და მიუთითა კონკრეტული გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიჩნევდა არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
ბ. მიიღებს დადგენილებას კომპეტენციის არსებობის შესახებ იმ მოტივით, რომ მხარემ თავად დანიშნა არბიტრი, რაც მიანიშნებს კომპეტენციის აღიარებაზე და გააგრძელებს საქმის განხილვას;
გ. იმსჯელებს წარმოდგენილი შუამდგომლობის მოტივებზე და ისე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
დ. შეაჩერებს საარბიტრაჟო განხილვას კომპეტენციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

35. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შე-

** შენიშვნებისათვის*

საგებელი, ამასთან, დანიშნა არბიტრი. ს.ს. „პროგრესმა“ ამასთანავე, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქალაქო სასამართლო:

ა. არ მიიღებს განცხადებას წარმოებაში იმ მოტივით, რომ ეს საკითხი ჯერ თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა განიხილოს;
ბ. ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად იმსჯელებს განცხადების მოტივებზე და ისე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
გ. დანიშნავს ზეპირ განხილვას მხარეთა მოსაზრებების გასარკვევად;
დ. განცხადებას სცნობს დაუშვებლად ამ საკითხზე საქალაქო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის გამო.

36. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი არბიტრაჟის შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, ამასთან, დანიშნა არბიტრი. ს.ს. „პროგრესმა“ ამასთანავე, განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო:

ა. უარის იტყვის განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ იმ მოტივით, რომ ეს საკითხი ჯერ თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა განიხილოს;
ბ. ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად იმსჯელებს განცხადების მოტივებზე და ისე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
გ. არ დააკმაყოფილებს განცხადებას იმ მოტივით, რომ მხარემ არბიტრის დანიშვნით თავად აღიარა არბიტრაჟის კომპეტენცია;
დ. განცხადებას სცნობს დაუშვებლად ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის გამო.

37. მხარეებმა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა. შემოსავლების სამსახურმა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმებასთან დაკავშირებით კონტრაქტორ მხარეს დაარიცხა ფულადი თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

აქვს თუ არა არბიტრაჟს კომპეტენცია განიხილოს ასეთი კატეგორიის დავა:

ა. საარბიტრაჟო დათქმა არ ვრცელება საგადასახადო დავაზე;
ბ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის თანხმობაზე;

** შენიშვნებისათვის*

გ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია დამოკიდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობაზე;

დ. ასეთი კატეგორიის დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია დამოკიდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობაზე.

38. სადაზღვევო კომპანია „გარანტმა“ რეზინო-ტექნიკური ნაკეთობების დამამზადებელ საწარმოზე გასცა უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ამ უკანასკნელის მიერ მყიდველის, ს.ს. „მხატვარის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების კონკრეტული, იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ განხილვის შესახებ. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებმა არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანეს მასში. მიმწოდებელმა, რეზინო-ტექნიკური ნაკეთობების დამამზადებელ საწარმომ დაარღვია ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებული პირობები. სადაზღვევო კომპანიამ არ დააკმაყოფილა ს.ს. „მხატვარის“ მოთხოვნა საბანკო გარანტიის განაღდების შესახებ. ს.ს. „მხატვარმა“ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას სადაზღვევო კომპანიის მიმართ. სადაზღვევო კომპანიამ საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინა განცხადება, რომლითაც არ

** შენიშვნებისათვის*

ცნო არბიტრაჟის კომპეტენცია იმ საფუძვლით, რომ მან უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გასცა თავდაპირველი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და მიუთითა, რომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე შეცვლილი პირობებით შეთანხმებულ კონტრაქტზე, რადგანაც შეცვლილი პირობები მასთან არ ყოფილა შეთანხმებული.

გააჩნია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს კომპეტენცია საადაზღვევო კომპანიასთან მიმართებაში:

ა. გააჩნია, რადგანაც საბანკო გარანტიაში არსებობს მითითება ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას;
ბ. არ გააჩნია, რადგანაც შეცვლილი პირობები არ ყოფილა შეთანხმებული გარანტთან;
გ. გააჩნია, რადგანაც გარანტმა ტრიბუნალს წერილობით აცნობა საკუთარი პოზიციის შესახებ;
დ. კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მოსარჩელის თანხმობაზე.

39. მსესხებლის მიერ საკრედიტო დაწესებულებიდან მისაღები საბანკო კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა სხვადასხვა პირის ორი უძრავი ქონება, რაც შესაბამისად აისახა საჯარო რეესტრში. კრედიტის გაცემის შემდეგ მსესხებელთან, ასევე უძრავი ქონების მესაკუთრეებთან წერილობითი ფორმით დადებული იქნა საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

შეთანხმება. ორივე უძრავი ქონების მესაკუთრე რამდენჯერმე შეიცვალა. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ბანკმა შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება და მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხეებად მითითებული იქნა როგორც მსესხებელი, ასევე სარჩელის აღძვრის მომენტისათვის უძრავი ქონების მესაკუთრეები. ამ უკანასკნელებმა განცხადებით მიმართეს საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ ფორმირებულ სააბიტრაჟო ტრიბუნალს და განაცხადეს, რომ მათ მიმართ საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ გააჩნია კომპეტენცია.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი უძრავი ქონების მესაკუთრეებთან მიმართებაში:

ა. მიიღებს დადგენილებას კომპეტენციის არქონის შესახებ და შეწყვეტს განხილვას უძრავი ქონების მესაკუთრეთა მიმართ;
ბ. მიიღებს დადგენილებას კომპეტენციის არსებობის შესახებ და გააგრძელებს განხილვას;
გ. შეაჩერებს განხილვას და მხარეებს წინადადებას მისცემს მიმართონ სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციის განსაზღვრის მიზნით;
დ. შეაჩერებს განხილვას და მხარეებს წინადადებას მისცემს მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას კომპეტენციის განსაზღვრის მიზნით.

** შენიშვნებისათვის*

40. **მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საარბიტრაჟო დათქმის თანახმად გათვალისწინებულია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვა. დამკვეთმა ვადაზე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება. მენარდემ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. დამკვეთმა საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიმართა კომპეტენციის არქონის შესახებ შესაბამისი განცხადებით და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იყო უფლებამოსილი განეხილა მენარდის მიერ აღძრული სარჩელი, რადგანაც სასარჩელო მოთხოვნა იყო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება და დავის საგანი სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა განცხადების არგუმენტი, მიიჩნია, რომ გააჩნდა დავის განხილვის კომპეტენცია და დაიწყო სარჩელის არსებითი განხილვა. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე დამკვეთმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა საარბიტრაჟო ტრიბუნალის დადგენილება კომპეტენციის თაობაზე და მიუთითა, რომ დავის საგანი სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვეთის საჩივრის განხილვამდე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა.**

** შენიშვნებისათვის*

რა საპროცესო აქტს მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. შეაჩერებს განცხადების განხილვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვამდე;
ბ. შეაჩერებს განცხადების განხილვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლამდე;
გ. განცხადებას დატოვებს განუხილველად;
დ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

41. მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა გამყიდველისაგან შეიძინა 1000 ტონა დიზელის საწვავი. მხარეთა შორის განისაზღვრა ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა: მიწოდების ვადები და საშუალება, ფასი, ანგარიშსწორების წესი. ხელშეკრულება მოიცავდა ასევე საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო განხილვის წესების მიხედვით განხილვის შესახებ, განხილვის ადგილი ქ.თბილისი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს რამდენიმე ეტაპად მიაწოდა 1800 ტონა დიზელის საწვავი. მყიდველმა ნასყიდობის საგანი მიიღო, ნაწილი მოიხმარა, ხოლო დანარჩენი გაყიდა სხვა მომხმარებელზე, ოღონდ ანგარიშწორება გამყიდველთან არ განახორციელა. გამყიდველმა მიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ სა-

** შენიშვნებისათვის*

ქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას არ ითვალისწინებდა, რის გამოც მიაჩნდა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა დავის განხილვის კომპეტეცია.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც მყიდველმა გამყიდველის მიერ მიწოდებული პროდუქცია მიიღო და გამოიყენა საკუთარი კომერციული მიზნებისათვის;
ბ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას, რადგანაც მხარეთა შორის არ შეთანხმებულა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება;
გ. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ იმსჯელებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად წარმოდგენილი სარჩელის და წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულად განხილვისა და შეფასების შემდეგ;
დ. არბიტრაჟის კომპეტენციას სცნობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის პროდუქციის მიწოდების ნაწილში და სარჩელს დააკმაყოფილებს ამ ნაწილში, ხოლო ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პროდუქციის მიწოდების ნაწილში შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას კომპეტენციის არარსებობის გამო.

42. ავსტრიის სავაჭრო დაწესებულებას (მყიდველი) და საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ კომერციულ გაერთიანებას (გამყიდველი) შორის 2019 წლის 15 იანვარს დაიდო კო-

** შენიშვნებისათვის*

ნტრაქტი, რომლის თანახმად განისაზღვრა საქართველოში წარმოებული კონკრეტული ნაწარმის მიწოდება მყიდველისათვის. კონტრაქტის თანახმად განისაზღვრა მიწოდების ორი ეტაპი და ანგარიშსწორება თითოეული პარტიის მიწოდების შემდეგ, ასევე თითოეული მისაწოდებელი საქონლის პარტიის ფასი. კონტრაქტი ასევე შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას, რომლის თანახმად მხარეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოს კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების (დებულება) წესების მიხედვით, თუმცა საარბიტრაჟო დათქმა არ შეიცავდა საარბიტრაჟო დაწესებულების დასახელებას, მის ადგილმდებარეობას და ორგანიზაციული მოწყობის ფორმას, ისევე როგორც მითითებას გამოსაყენებელ სამართალზე. გამყიდველმა (ქართული მხარე) მყიდველს (ავსტრიული მხარე) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდა მხოლოდ პირველი პარტია და მხარეთა შორის ანგარიშსწორება მიწოდებული საქონლის პარტიაზე განხორციელდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორე პარტია გამყიდველმა მყიდველს არ მიაწოდა. მყიდველმა, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ სხვა გამყიდველისაგან შეიძინა ის საქონელი, რაც ხსენებული კონტრაქტით უნდა მიეღო ქართული მხრისაგან და რადგანაც მის მიერ შეძენილი საქონელი იყო ბევრად უფრო ძვირი, მყიდველმა მოითხოვა კონტაქტის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საარბიტრაჟო სარჩე-

* *შენიშვნებისათვის*

ლით მიმართა იმ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომლის წესებიც იყო მითითებული სავაჭრო კონტრაქტში. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის მეორე პარტიის მიუღებლობა გამოწვეული იყო საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ საექსპორტო ლიცენზიის გაუცემლობით, ამასთან მიუთითა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია, რადგანაც მხარეები კონკრეტულ არბიტრაჟზე არ ყოფილან შეთანხმებული.

რომელი კანონმდებლობა უნდა გამოიყენოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა:

ა. საქართველოს კანონმდებლობა - ხელშეკრულების შესრულების ადგილის კანონმდებლობა;
ბ. ავსტრიის კანონმდებლობა - მყიდველის ადგილის კანონმდებლობა;
გ. ვენის 1980 წლის კონვენციის ნორმები;
დ. არბიტრაჟი ვერ გამოიყენებს ვერც ერთი მატერიალური სამართლის ნორმას, რადგანაც მხრეთა შორის არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება კონკრეტულ არბიტრაჟზე. შესაბამისად, არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია.

43. ფრანგულ კომპანიას (მყიდველი) და ქართულ კომპანიას (გამყიდველი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა შეიძინა მისი

** შენიშვნებისათვის*

საწარმოსათვის აუცილებელი ნედლეული. გამყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია მყიდველის მისამართით დროულად გააგზავნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებით, ხოლო მყიდველმა ეს პროდუქცია განაბაჟა, მიიღო საწარმოო პროცესში გამოსაყენებლად და მისგან დამზადებული საბოლოო პროდუქცია გაუშვა საცალო ქსელში. გამყიდველმა მყიდველს მოსთხოვა პროდუქციის საფასურის გადახდა. აღნიშნული მოთხოვნა მყიდველმა არ შეასრულა. გამყიდველმა მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს, რადგანაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებობდა საარბიტრაჟო დათქმა, რომლის თანახმად მხარეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად უნდა გადასცემოდა ამ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მყიდველმა საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ კონტრაქტი, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას, ხელმოწერილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული პარიზის საექსპერტო დაწესებულების გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად დგინდებოდა, რომ კონტრაქტზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული მასზე ხელმომწერად მითითებული პირის, კომპანიის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც არ იმყოფებოდა თბილისში კონტრაქტის ხელმოწერის დროს, მაშინ როდესაც ეს კონტრაქტი ხელმო-

* *შენიშვნებისათვის*

წერილი იქნა თბილისში და კომპანიის ხელმძღვანელის ნაცვლად ხელმოწერილი იქნა სავაჭრო წარმომადგენლის მიერ, რომელსაც არ ჰქონდა კონტრაქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხედ მითითებულმა ფრანგულმა კომპანიამ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო დათქმა არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის გამო იყო ბათილი, არბიტრაჟს არ გააჩნდა მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია და რომ ეს დავა ექვემდებარებოდა საფრანგეთის სასამართლოს იურიდიქციას, რის გამოც ითხოვა საარბიტრაჟო წარმოების შეწყვეტა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ დაადასტურა, რომ კონტრაქტი მყიდველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (კომპანიის ხელმძღვანელი) სახელით მოაწერა სავაჭრო წარმომადგენელმა, რომელსაც არ ჰქონდა წერილობითი რწმუნებულება, მაგრამ საქმიანი კონტაქტებიდან გამომდინარე, მათ ის აღიქვეს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირად. ამასთანავე, საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზეც, რომ მყიდველმა მთლიანობაში კონტრაქტი მოიწონა, რადგანაც დადგენილი პროცედურების დაცვით მიიღო (განაბაჟა) და, უფრო მეტიც, მიღებული ნედლეული გადაამუშავა და მისგან საკუთარი პროდუქცია გამოუშვა, რომელიც სავაჭრო ქსელს მიაწოდა.

დააკმაყოფილებს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალი ამ შუამდგომლობას:

** შენიშვნებისათვის*

ა. დააკმაყოფილებს, რადგანაც საარბიტრაჟო დათქმა, ისევე როგორც მთლიანობაში კონტრაქტი, ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
ბ. არ დააკმაყოფილებს, რადგანაც კონტრაქტი დაიდო საქართველოში და მასში არსებული საარბიტრაჟო დათქმის თანახმად გამოსაყენებელი სამართალი იყო ქართული კანონმდებლობა, რომლის თანახმად თუ გარიგებას მოიწონებს უფლებმოსილი პირი, გარიგების შემდგომ მოწონებას აქვს უკუძალა;
გ. შუამდგომლობაზე იმსჯელებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად და რადგანაც კონტრაქტი არაუფლებამოსილი პირის მიერ იქნა ხელმოწერილი, სარჩელს არ დააკმაყოფილებს;
დ. შეაჩერებს საქმის წარმოებას და დოკუმენტის სიყალბის გამო მასალებს გადაუგზავნის საგამოძიებო ორგანოებს.

44. იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიას და ფოთის საზღვაო პორტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ფოთის პორტმა იკისრა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკისაგან იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიის მიერ შეძენილი ჩაის ნედლეულის ტრანსპორტირება ფოთის პორტიდან იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიის კუთვნილ ტერმინალამდე. ხელშეკრულების თანახმად გადამზიდავმა გამორიცხა მისი პასუხისმგებლობა ტრანსპორტირების პერიოდში გადასაზიდი საქონლის დაზიანებისათვის. ამასთან, მხარეებმა გამოსაყენებელ სამართლად განსაზღვრეს თურქეთის სამართალი. ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა შესაძ-

** შენიშვნებისათვის*

ლო დავის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ განხილვას. გადამზიდავმა დანიშნულების ადგილზე ტვირთი ჩაიტანა. კონტეინერების გახსნის შემდეგ იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიამ დაადაფიქსირა მის მიერ შეძენილი ჩაის დაზიანება, რაც გამოწვეული იყო ტრანსპორტირების პროცესში დასველების შედეგად. დამკვეთმა, იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიამ ფოთის პორტის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. გადამზიდავმა საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ ხელშეკრულების თანახმად მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხა, რაც პირდაპირ იქნა დაფიქსირებული გადაზიდვის ხელშეკრულებაში. საარბიტრაჟო მოსარჩელემ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავის განხილვა თურქეთის სამართლის მიხედვით ხორციელდება, რომელიც უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, დავის განხილვის ადგილი არის საქართველო და საქართველოს კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საზღვაო კოდექსი) არ უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეზღუდვას, შესაბამისად, ასეთი დათქმა არის ბათილი და რომ სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რადგანაც გადამზიდავი არ უარყოფს გადასაზიდი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის დროს დაზიანებას და არც ზიანის ოდენობას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

** შენიშვნებისათვის*

ა. დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს;
ბ. არ დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც მხარეებმა ნების ავტონომიის საფუძველზე გაითვალისწინეს გადამზიდავის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, რაც დამკვეთის და არა გადამზიდავის რისკია;
გ. თავისი ინიციატივით ჩართავს თანამოპასუხედ ტვირთის დამამზადებელ საწარმოს და ზიანის ოდენობას დააკისრებს მას, რადგანაც ვერ უზრუნველყო ჩაის სათანადო შეფუთვა;
დ. შეაჩერებს საქმის განხილვას და მასალებს გადაუგზავნის საგამოძიებო ორგანოებს.

45. დამკვეთსა და მენარდეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს მიერ გაცემულია საბანკო გარანტია, რომელშიც მითითებულია, რომ გაცემულია დამკვეთსა და მენარდეს შორის დადებული ნარდობის კონკრეტული ხელშეკრულებით მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საბანკო გარანტია არ მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას და გარანტსა და დამკვეთს შორის არც არასდროს დადებულა დამოუკიდებელი საარბიტრაჟო შეთანხმება. მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დამკვეთმა გარანტისაგან მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება. ბანკმა კონკრეტულ საფუძვლებზე მითითებით უარი განაცხადა საბანკო

** შენიშვნებისათვის*

გარანტიის განაღდებაზე. დამკვეთმა მიმართა მასსა და მენარდეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებაში მითითებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოპასუხედ მიუთითა ს.ს. „თიბისი ბანკი“. ამ უკანასკნელმა არ სცნო არბიტრაჟის კომპეტენცია და მიუთითა, რომ მას არასდროს განუცხადებია თანხმობა დავის საარბიტრაჟო განხილვის შესახებ და, მით უმეტეს, ის არ შეთანხმებულა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას კომპეტენციის არქონის გამო;
ბ. მიიჩნევს, რომ გააჩნია კომპეტენცია და დააკმაყოფილებს სარჩელს;
გ. მესამე პირად მოიწვევს მენარდეს და მას დააკისრებს ზიანის ანაზღაურებას;
დ. მიიჩნევს, რომ გააჩნია კომპეტენცია და შეუდგება დავის არსებითად განხილვას

46. ლუდის წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის მოწოდების შესახებ ბრემენის (გერმანია) საფუარის ქარხანას და თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებას შორის 2005 – 2018 წლებში დადებული 7 კონტრაქტიდან შვიდივე ითვალისწინებდა კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის საარბიტრაჟო წესით განხილვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო წარმოების წესებით

** შენიშვნებისათვის*

(DRC-ის დებულება) საქართველოს მატერიალური სამართლის გამოყენებით. მხარეთა შორის 2019 წელს დაიდო მორიგი კონტრაქტი, რომელიც არ ითვალისწინებდა კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესს. მხარეთა შორის დავა წარმოიშვა 2019 წელს გაფორმებული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით - გამყიდველმა, ბრემენის საფუარის ქარხანამ თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებას კონტრაქტით გათვალისწინებული ნედლეული არ მოაწოდა, თუმცა მისი საფასური მყიდველის მიერ სრულად იყო გადახდილი. თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებამ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, „დავების განმხილველ ცენტრს“ (DRC). ბრემენის საფუარის ქარხანამ იშუამდგომლა საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ დადებულა და რომ დავა უნდა განიხილოს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გერმანიის სამართლის ნორმების (ვენის 1980 წლის საერთაშორისო კონვენციის ნორმების თავისებურებების გათვალისწინებით) და არა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
ბ. მხარეთა შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ტრადიციების მიხედვით დაადგენს საკუთარ კომპეტენციას და დავას განიხილავს ქართული კანონ-

** შენიშვნებისათვის*

მდებლობის - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე;

გ. მხარეთა შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ტრადიციების მიხედვით დაადგენს საკუთარ კომპეტენციას და დავას განიხილავს გერმანიის კანონმდებლობის საფუძველზე;

დ. მხარეთა შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ტრადიციების მიხედვით დაადგენს საკუთარ კომპეტენციას და დავას განიხილავს გერმანიის კანონმდებლობის საფუძველზე ვენის 1980 წლის საერთაშორისო კონვენციის ნორმების თავისებურებების გათვალისწინებით.

** შენიშვნებისათვის*

IV. საარბიტრაჟო განხილვა, სამართლის ნორმათა გამოყენება

47. ჩამოთვლილთაგან რომელი კატეგორიის დავა შეიძლება განიხილოს არბიტრაჟმა:

ა. წვრილმანი ხულიგნობის;
ბ. სამეზობლო;
გ. სამემკვიდრეო;
დ. ინდივიდუალური შრომითი დავა.

48. საარბიტრაჟო განხილვას ესწრებიან:

ა. საარბიტრაჟო განხილვის მხარეები;
ბ. საარბიტრაჟო განხილვის მხარეები და დაინტერესებული პირები;
გ. საარბიტრაჟო განხილვის მხარეები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;
დ. საარბიტრაჟო განხილვის მხარეები, არასამთავრობო სექტორის და მასმედიის წარმომადგენლები.

49. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ:

ა. არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას;
ბ. არბიტრს არა აქვს იურიდიული განათლება;
გ. არბიტრს არა აქვს უმაღლესი განათლება;
დ. არბიტრი არ არის არბიტრთა ასოციაციის წევრი.

** შენიშვნებისათვის*

50. თუ მოსარჩელე სასამართლოში შეიტანს სარჩელს იმ საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების ნაწილია, მოპასუხეს შეუძლია:

ა. შეიტანოს შესაგებელი სასამართლოში, რის შემდეგ გაგრძელდება სასამართლო განხილვა;
ბ. არ შეიტანოს შესაგებელი სასამართლოში და სასამართლო შეწყვეტს სასამართლო განხილვას მოსარჩელისათვის არბიტრაჟზე მითითებით;
გ. სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გააპროტესტოს სასამართლოში საქმის განხილვა და მოითხოვოს მისი შეწყვეტა დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის მიზნით;
დ. პირველი ინსტანციით სასამართლო განხილვის დასრულებამდე, გააპროტესტოს სასამართლოში საქმის განხილვა და მოითხოვოს მისი შეწყვეტა დავაზე არბიტრაჟის კომპეტენციის საფუძველზე.

51. საარბიტრაჟო პროცესი წარიმართება:

ა. შეჯიბრებითობის პრინციპით;
ბ. დისპოზიციურობის პრინციპით;
გ. საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული წესებით;
დ. საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული წესებით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მხარეთა კონსულტაციების საფუძველზე დადგენილი პროცედურული ზომებით.

** შენიშვნებისათვის*

52. საარბიტრაჟო წარმოების მხარის გარდაცვალების შემთხვევაში საარბიტრაჟო წარმოება:

ა. შეწყდება;
ბ. გაგრძელდება ჩვეულებრივად;
გ. გარძელდება უფლებამონაცვლის მონაწილეობით;
დ. საარბიტრაჟო სარჩელი დატოვებული იქნება განუხილველად.

53. არბიტრის აცილება დასაშვებია, თუ არბიტრი:

ა. არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას;
ბ. არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ეჭვი მისი მიუკერძოებლობის შესახებ;
გ. არსებობს გარემოებები, რომელბსაც შეუძლია გამოიწვიოს ეჭვი მისი დამოუკიდებლობის შესახებ;
დ. არსებობს „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები.

54. ჩამოთვლილთაგან არბიტრის აცილება შეუძლია:

ა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
ბ. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
გ. პირველი ინსტანციის სასამართლოს;
დ. საქართველოს არბიტრთა ასოციაციას.

55. არბიტრი აცილებულად ჩაითვლება, თუ:

ა. განაცხადებს თვითაცილებას;

** შენიშვნებისათვის*

ბ. არბიტრის აცილების შესახებ განცხადებას დაეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე;
გ. არბიტრის აცილების შესახებ განცხადება დააკმაყოფილა არბიტრაჟმა;
დ. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

56. არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს:

ა. 7 დღის ვადაში;
ბ. 14 დღის ვადაში;
გ. 21 დღის ვადაში;
დ. 30 დღის ვადაში.

57. სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრის აცილების საკითხზე:

ა.შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში;
ბ.შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში;
გ. შეიძლება გასაჩივრდეს არბიტრის მიერ მისი აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
დ. არ შეიძლება გასაჩივრდეს.

58. არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია:

ა. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე;

** შენიშვნებისათვის*

ბ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე;
გ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;
დ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას.

59. არბიტრაჟი უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაავალოს მხარეს:

ა. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეინარჩუნოს ან აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა;
ბ. შეინახოს და შეინარჩუნოს საარბიტრაჟო დავის განხილვასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მიიღოს ზომები მეორე მხარისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად;
გ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად შეინარჩუნოს აქტივები;
დ. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში მითითებულ საკითხთაგან ნებისმიერი.

60. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია თუ:

ა. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი უმნიშვნელოა;
ბ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებე-

** შენიშვნებისათვის*

ბის გამოუყენებლობა გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

გ. საარბიტრაჟო მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი საფუძვლიანია;

დ. საარბიტრაჟო მოპასუხე არ ეთანხმება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას.

61. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა შესაძლებელია:

ა. მოსარჩელე მხარის მოთხოვნით;

ბ. მოპასუხე მხარის მოთხოვნით;

გ. არბიტრაჟის ინიციატივით;

დ. ნებისმიერი მითითებული საფუძვლით.

62. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა აღსრულდეს, თუ:

ა. გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო წარმოების მიმდინარეობისას;

ბ. გამოტანილია არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და საქმეზე ზეპირი მოსმენის დანიშვნის შემდეგ;

გ. გამოტანილია არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებამდე;

დ. გამოტანილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

** შენიშვნებისათვის*

63. სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ უცხო ქვეყნის გემთმფლობელის წინააღმდეგ აჭარის არ სავაჭ-რო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, საარ-ბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საარბიტ-რაჟო მოსარჩელეებმა, გემის ეკიპაჟის წევრებმა მოითხო-ვეს ფოთის საზღვაო აკვატორიაში მყოფი, მოპასუხის კუთვნილი გემის მიმართ ფოთის პორტის დატოვების აკრძალვის და აღნიშნულ გემზე ყადაღის დადების გა-მოყენება. მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ გემთმფლო-ბელის მიმართ არსებული მოთხოვნა როგორც საერთა-შორისო, ასევე საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, წარმოადგენს ე.წ. პრივილეგი-რებულ საზღვაო მოთხოვნას, რომელიც ექვემდებარება პირველ რიგში დაფარვას და აღნიშნული მოთხოვნა იფა-რება გემის ღირებულებიდან.

რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოთხოვნა:

ა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ - განხილვის ადგილის მიხედვით;
ბ. ფოთის საქალაქო სასამართლომ - გემის ადგილმდებარეობის მიხედვით;
გ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ - ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის მიხედვით;
დ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ - დავის საერთაშორისო კატეგორიიდან გამომდინარე.

** შენიშვნებისათვის*

64. თვითმავალი მუხლუხა ამწის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირავნობის საფასურის გადახდევინების შესახებ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიაში ქალაქ ფოთის კომერციული საწარმოს, შპს „ერთობა"-ს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით დუნაის საზღვაო სანაოსნომ მოითხოვა მოპასუხის უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად საარბიტრაჟო მოპასუხეს უძრავი ქონებები გააჩნია როგორც ფოთში, ასევე ზუგდიდში და თბილისში, ხოლო მოძრავი ქონებები - ფოთში.

რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოთხოვნა:

ა. ფოთის საქალაქო სასამართლომ;
ბ. თბილისის საქალაქო სასამართლომ;
გ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ;
დ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

65. მხარეთა შეთანხმების შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ.თბილისი. მხარეთა ზეპირი მოსმენა გაიმართა ორივე მხარის ადგილსამყოფელის მიხედვით - ქალაქ ზუგდიდში, მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით და ქალაქ თელავში, მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. მოპასუხე მხარემ მიიჩნია, რომ არსებობს არბიტრის აცილების საფუძველი. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ დააკმაყოფილა მხარის განცხადება არბიტრის აცილების შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

რომელი სასამართლო განიხილავს არბიტრის აცილების შესახებ განცხადებას:

ა. თბილისის საქალაქო სასამართლო;
ბ. ზუგდიდის რაიონული სასამართლო;
გ. ზუგდიდის საქალაქო სასამართლო;
დ. თელავის საქალაქო სასამართლო.

66. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;
ბ. მოისმენს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოსაზრებას საარბიტრაჟო მოპასუხის შუამდგომლობასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ გადაწყვეტს ზეპირი მოსმენის მიზანშეწონილობის საკითხს;
გ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;
დ. მოისმენს საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრაციის მოსაზრებას წარმოდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

** შენიშვნებისათვის*

67. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა საარბიტრაჟო მოპასუხემ დაასაბუთა იმით, რომ საჭიროდ მიაჩნია ექსპერტების და მოწმეების დაკითხვა, მათ შორის რამდენიმე პირის დაკითხვა ვიდეო კონფერენციის ჩატარების გზით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;
ბ. მოისმენს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოსაზრებას საარბიტრაჟო მოპასუხის შუამდგომლობასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ გადაწყვეტს ზეპირი მოსმენის და ვიდეო კონფერენციის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხს;
გ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგანაც მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;
დ. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას მოწმეთა დაკითხვის შესახებ და არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას ვიდეო კონფერენციის ჩატარების შესახებ კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე

68. საარბიტრაჟო განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა:

** შენიშვნებისათვის*

ა. სავალდებულოა;
ბ. არ არის სავალდებულო;
გ. დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე;
დ. დაუშვებელია.

69. ბურგასის ნავთობქიმიურ კომბინატს (ბულგარეთი, გამყიდველი) და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას (მყიდველი) შორის დადებული კონტრაქტის თანახმად ნავთობით დატვირთული ტანკერების არადროული დაცლის გამო მყიდველი გადაუხდის გამყიდველს „Worldscale“ კლასიფიკაციით განსაზღვრული ტარიფით საჯარიმო სანქციას, რადგანაც გამყიდველს გემის მფლობელ კომპანიასთან დადებული ჩარტერული კონტრაქტის თანახმად მოუწევს დემერეჯის (ტვირთის მეპატრონის მიერ გემის მფლობელისათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოჰყვება პორტში ხომალდის შეყოვნებას, თუ სატვირთო სამუშაოებს ჩარტერით გათვალისწინებულ დროზე მეტი დასჭიდა) გადახდა. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ტანკერების გადმოტვირთვის შეყოვნების გამო გამყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟს და მოითხოვა მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის დაკისრება. საარბიტრაჟო სარჩელს ერთვოდა ისეთი მტკიცებულებები, როგორიცაა ტანკერების კაპიტნებისა და მყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი Notice of readiness, time sheets, statements of Facts და

* *შენიშვნებისათვის*

სხვა. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ ცნო საარბიტრაჟო სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მის მიერ გემთმფლობელ კომპანიისათვის დემერეჯის გადახდის მტკიცებულება და რადგანაც მის მიერ არ არის დადასტურებული ზიანის არსებობის ფაქტი, სარჩელი უსაფუძვლოა. ამასთანავე მყიდველმა მიუთითა, რომ მიიღო კონოსამენტში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები პროდუქცია (ნავთობპროდუქტი), რის გამოც თავის მხრივ წარადგინა შეგებებული სარჩელი. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ (ძირითადი სარჩელის მოსარჩელე) მიუთითა კონტრაქტის შესაბამის მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქციის დაზღვევას და წარმოადგინა სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული პოლისები თითოეულ ტანკერზე, რომლის თანახმად პროდუქციის რაოდენობაზე პასუხისმგებელი იყო სადაზღვევო კომპანია, რომლისათვისაც უნდა მიემართა მყიდველს - თავდაპირველი საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეს.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს ძირითად სარჩელს, რადგანაც კონტრაქტი არ ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციის გადახდას რაიმე პირობის დადგომის შემთხვევაში;

ბ. შეაჩერებს საარბიტრაჟო წარმოებას ძირითად სარჩელზე და ჯერ განიხილავს შეგებებულ სარჩელს და მისი საფუძვლიანობის შემთხვევაში შეგებებული სარჩელით გამყიდველისათვის დაკისრებული თანხის ოდენობით გაქვითავს ძირითადი სარჩელით მოთხოვნილ თანხას;

** შენიშვნებისათვის*

გ. საკუთარი ინიციატივით მესამე პირად ჩართავს სადაზღვევო ორგანიზაციას და წარმოდგენილ სარჩელეს (ძირითადი და შეგებებული) განიხილავს მისი მონაწილეობით;

დ. შეგებებულ სარჩელზე შეწყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

70. გერმანულ კომპანიას (გამყიდველი) და ქართულ საწარმოს (მყიდველი) შორის დაიდო კონტრაქტი კონკრეტული საქონლის ნასყიდობის შესახებ. კონტრაქტი მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმასაც დავის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ მიერ განხილვის შესახებ. კონტრაქტის თანახმად მყიდველს, მის მომსახურე ბანკში უნდა გაეხსნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2007 წლის N600 პუბლიკაციით დამტკიცებული უნიფიცირებული წესებით („უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტური აკრედიტივისათვის“) გათვალისწინებული დოკუმენტური აკრედიტივი, რომლის საფუძველზეც განაღდდებოდა გამყიდველის მიერ გამოგზავნილი საქონლის საფასური. გამყიდველის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, გამყიდველმა მყიდველს სრულად გამოუგზავნა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი. გამყიდველმა აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა ვერ მიიღო. მისი მომსახურე ბანკისაგან მიღებული შეტყობინების თანახმად, ემიტენტმა ბანკმა აკრედიტივის განაღდება არ განახორციელა. აღნიშნულის შემდეგ მყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ სა-

* *შენიშვნებისათვის*

არბიტრაჟო დაწესებულებას და მოითხოვა მყიდველს დაკისრებოდა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის საფასური. მყიდველმა წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითა, რომ მან სრულად შეასრულა კონტრაქტის პირობები, ხოლო მომსახურე საბანკო დაწესებულებამ, ემიტენტმა ბანკმა დაარღვია „უნიფიცირებული წესებით" გათვალისწინებული წესები და მყიდველის მომსახურე ბანკს არ გადაურიცხა დოკუმენტური აკრედიტივით აკუმლირებული თანხა. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხემ მიიჩნია, რომ ის არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ მყიდველს არ მიუღია საქონლის საფასური.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც მყიდველს მიღებული საქონლის საფასური არ გადაუხდია;
ბ. თავისი ინიციტივით ჩართავს მყიდველის ემიტენტ ბანკს და მას დააკისრებს აკრედიტივით გასანაღდებელ თანხას;
გ. არ დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც დასაბუთებულად მიიჩნევს მოპასუხე მხარის არგუმენტაციას;
დ. მოპასუხის ემიტენტ ბანკს განსახილველ საქმეში ჩართავს მესამე პირად, მოისმენს მის მოსაზრებებს და მათი გავალისწინების მიხედვით მიიღებს არსებით გადაწყვეტილებას

71. ავსტრიულ (გამყიდველი) და ქართულ (მყიდველი) კომპანიებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა შეიძინა კონტრაქტით

** შენიშვნებისათვის*

გათვალისწინებული საქონელი. კონტრაქტის თანხმად გამყიდველმა ივალდებულა მყიდველის მიერ შეძენილი საქონლის გაგზავნა საქონლის საფასურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. მყიდველმა მის მიერ შეძენილი საქონლის საფასური სრულად გადაიხადა. გამყიდველმა მყიდველს შეძენილი საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოუგზავნა. კონტრაქტი მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმასაც, რომლის თანახმად მხრეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი სადავო საკითხი განხილული უნდა იყოს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ. საარბიტრაჟო დათქმა არ ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელ სამართალს. მყიდველმა მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ არბიტრაჟს და მისი მოთხოვნა დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მიიჩნია, რომ სარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის (ავსტრია) მატერიალური სამართალი.

რომელი კანონმდებლობა უნდა გამოიყენოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა:

ა. ავსტრიის კანონმდებლობა;
ბ. საქართველოს კანონმდებლობა;
გ. 1980 წლის ვენის კონვენცია;
დ. UNCITRAL-ის მოდელური კანონის ნორმები

** შენიშვნებისათვის*

72. ზალცბურგის (ავსტრია, მყიდველი) სასურსათო კომბინატს და ს.ს. ზუგდიდის ჩაის საწარმოო გაერთიანებას (გამყიდველი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს 110 ტონა პირველი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. ხელშეკრულების თანახმად მასზე ხელის მოწერიდან ერთი თვის ვადაში მყიდველმა უნდა გახსნას დოკუმენტური აკრედიტივი, ხოლო გამყიდველმა მყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (შეთანხმებული ხარისხის ჩაი). ხელშეკრულებით განისაზღვრა დავის საარბიტრაჟო წესით განხილვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ (DRC) მიერ მისი საარბიტრაჟო განხილვის წესების (DRC-ის დებულება) შესაბამისად. კონტრაქტით არ განსაზღვრულა არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი. მყიდველმა მიმართა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არბიტრაჟს და მოითხოვა ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნება, რადგანაც გამყიდველმა არ მიაწოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩაი და შეწყვიტა ხელშეკრულება. გამყიდველმა საარბიტრაჟო შესაგებლით არ უარყო ხელშეკრულების შეწყვეტა და მიუთითა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი იყო მყიდველის მხრიდან აკრედიტივის გახსნის შესახებ სავალდებულო პირობის დარღვევა და, თავის მხრივ, წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა პირგასამტეხლო აკრედიტივის გახსნაზე ხელშეკრულებით გათვალისწინე-

** შენიშვნებისათვის*

ბული პირობის დარღვევისათვის და, ასევე, ზიანის ანაზღაურება, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისათვისაც.

რომელ მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს დაეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილება:

ა. ძირითად სარჩელზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, ხოლო შეგებებულ სარჩელზე ავსტრიის სამოქალაქო კოდექსს;
ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს;
გ. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის ნორმებს;
დ. საქართველოს კანონმდებლობას და საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის ნორმებს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის ნორმებს.

73. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებაში წარადგინა შეტყობინება საარბიტრაჟო დავის დაწყების შესახებ, რომელიც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სამდივნოს მიერ გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს. აღნიშნულის შემდეგ საარბიტრაჟო მოსარჩელემ წერილობითი სარჩელი არ წარადგინა.

რა საპროცესო ქმედებას განახორციელებს არბიტრაჟი:

ა. მხარეთა პოზიციების დასადგენად დანიშნავს ზეპირი მოსმენის თარიღს;

** შენიშვნებისათვის*

ბ. დაავალებს მოპასუხეს წარმოადგინოს მოსაზრებები საარბიტრაჟო მოსარჩელის შეტყობინებასთან დაკავშირებით;
გ. მოპასუხეს განუსაზღვრავს ვადას შესაგებლის წარმოსადგენად;
დ. უარს განაცხადებს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებაზე.

74. მხარეები შეთანხმდნენ დავის საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული წესებით განხილვის შესახებ. დებულებაში გათვალისწინებულია შეტყობინების განმეორებითი ჩაუბარებლობის შემთხვევაში სატელეფონო შეტყობინების ფორმა, რომელიც საბოლოოა, მიუხედავად იმისა, მოხერხდა თუ არა მხარესთან დაკავშირება. თავდაპირველი გზავნილის ჩაუბარებლობის გამო არბიტრაჟის სამდივნომ ხელახლა გააგზავნა გზავნილი საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართზე და გზავნილის ჩაბარება ვერც ამ შემთხვევაში მოხერხდა.

რა მოქმედება უნდა განახორციელოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სამდივნომ?

ა. საარბიტრაჟო გზავნილი უნდა ჩააბაროს სატელეფონო შეტყობინებით;
ბ. უნდა მოამზადოს საჯარო შეტყობინება პრესაში გამოქვეყნებით;
გ. უნდა მოამზადოს საჯარო შეტყობინება ტელევიზიით გამოსაქვეყნებლად;
დ. შეტყობინების ჩაბარება უნდა სთხოვოს პოლიციის ადგილობრივ ორგანოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

** შენიშვნებისათვის*

75. მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა ინგლისურ ენაზე. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა რუსულ ენაზე, ხოლო შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარადგინა ესპანურ ენაზე.

რა მოქმედება უნდა განახორციელოს არბიტრაჟმა?

ა. უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებლის ქართულ ენაზე თარგმნა;
ბ. უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო მოპასუხეს მტკიცებულებების ქართულ ენაზე თარგმნა;
გ. უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო მოპასუხეს შესაგებლისა და თანდართული მტკიცებულებების ქართულ ენაზე თარგმნა;
დ. უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო მოპასუხეს შესაგებლისა და თანდართული მტკიცებულებების ინგლისურ ენაზე თარგმნა.

76. საარბიტრაჟო მოსარჩელემ არბიტრაჟში წარადგინა სარჩელი, რომლის ფორმა განსხვავდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ფორმისაგან.

დაიწყება თუ არა საარბიტრაჟო განხილვა?

ა. დაიწყება;
ბ. არ დაიწყება;

** შენიშვნებისათვის*

გ. დაიწყება, თუ დაეთანხმა მოპასუხე;
დ. დაიწყება, თუ სააპელაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ.

77. საარბიტრაჟო მოპასუხემ არბიტრაჟში არ წარადგინა შესაგებელი მის წინააღმდეგ აღძრულ საარბიტრაჟო სარჩელზე.

რა პროცესუალურ ქმედებას განახორციელებს არბიტრაჟი ასეთ შემთხვევაში?

ა. გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ. დააჯარიმებს საარბიტრაჟო მოპასუხეს შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო;
გ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
დ. გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

78. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებაში განსაზღვრული არ არის საქმის განხილვის ფორმა. არბიტრაჟმა მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე საარბიტრაჟო მოსარჩელემ იშუამდგომლა ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს არბიტრაჟი?

** შენიშვნებისათვის*

ა. არ გაითვალისწინებს შუამდგომლობას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე;
ბ. ჩათვლის, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე აჭიანურებს საქმის განხილვას და შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
გ. მოისმენს საარბიტრაჟო მოპასუხის მოსაზრებას და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობასთან დაკავშირებით;
დ. მიზანშეწონილად მიიჩნევს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას დანიშნავს ზეპირ მოსმენას.

79. საარბიტრაჟო განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოპასუხე და არც რაიმე სახის მტკიცებულება წარმოუდგენია.

როგორი იქნება არბიტრაჟის რეაგირება:

ა. გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ. დააჯარიმებს საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო განხილვაზე გამოუცხადებლობის გამო;
გ. შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას;
დ. გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

80. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნას წარმოადგენს დაინტერესე-

** შენიშვნებისათვის*

ბული მხარე (საარბიტრაჟო მოსარჩელე ან საარბიტრაჟო მოპასუხე). საქმეზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით არბიტრაჟმა მიზანშეწონილად მიიჩნია ექსპერტის დანიშვნა. ერთ-ერთმა მხარემ პროტესტი გამოთქვა არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილების მიმართ.

აქვს თუ არა მხარეს ასეთი პროტესტის გამოხატვის საფუძველი:

ა. ექსპერტის დანიშვნა გამართლებულია საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისით და მხარის პროტესტი უსაფუძვლოა;
ბ. ექსპერტის დანიშვნა არბიტრაჟს პირველი ინსტანციის სასამართლოს ნებართვით შეეძლო და მხარის პროტესტი სწორია;
გ. ექსპერტის დანიშვნა არბიტრაჟს სააპელაციო სასამართლოს ნებართვით შეეძლო და მხარის პროტესტი სწორია;
დ. არბიტრაჟის მიერ ექსპერტის დანიშვნა ეწინააღმდეგება მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებას და მხარის პროტესი საფუძვლიანია.

81. მხარე არ დაეთანხმა ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას და აცხადებს, რომ ექსპერტი მიკერძოებულია.

რა წესით უნდა გადაწყდეს ექსპერტის აცილების საკითხი?

ა. საექსპერტო დაწესებულების დებულების შესაბამისად;
ბ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად;

** შენიშვნებისათვის*

გ. ექსპერტის აცილებისათვის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესით.
დ. არბიტრის აცილებისათვის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესით.

82. საარბიტრაჟო განხილვაში მოწმის დაკითხვა შესაძლებელია:

ა. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე;
ბ. საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენამდე;
გ. მხოლოდ საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ;
დ. მხოლოდ საბოლოო საარბიტრაჟო განხილვისას.

83. მხარეს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში:

ა. მეორე მხარის თანხმობით;
ბ. სასამართლოს თანხმობით;
გ. არბიტრაჟის თანხმობით;
დ. საარბიტრაჟო დაწესებულების სამდივნოს თანხმობით.

84. მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით არბიტრაჟი სასამართლოს მიმართავს:

ა. საარბიტრაჟო მოსარჩელის თანხმობით;
ბ. საარბიტრაჟო მოსარჩელის და საარბიტრაჟო მოპასუხის თანხმობით;
გ. საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ;

** შენიშვნებისათვის*

დ. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

85. სასამართლოს დახმარებით გამოძახებული მოწმის დაკითხვა ხდება:

ა. საქართველოს არბიტრთა ეთიკის კოდექსის მიხედვით;
ბ. არბიტრაჟის დებულების მიხედვით;
გ. UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიხედვით;
დ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით.

86. არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც:

ა. დავის არსებით ნაწილზე ვრცელდება;
ბ. საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ვრცელდება;
გ. საარბიტრაჟო დაწესებულებას მიაჩნია სწორად;
დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიაჩნია სწორად.

87. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება:

ა. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ნორმები;
ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ნორმები;
გ. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნორმები;
დ. არბიტრთა ასოციაციის მიერ განსაზღვრული ნორმები.

88. მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამა-

** შენიშვნებისათვის*

რთლებრივ სისტემაზე გულისხმობს:

ა. ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს;
ბ. ამ ქვეყნის საპროცესო სამართალს;
გ. კოლიზიურ ნორმებს;
დ. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს.

89. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად მხარეები ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდნენ.

რა საპროცესო აქტი იქნება მიღებული არბიტრაჟის მიერ:

ა. საარბიტრაჟო სარჩელი დატოვებული იქნება განუხილველად;
ბ. შეწყდება წარმოება საარბიტრაჟო სარჩელზე;
გ. მხარეთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდება საქმის განხილვა;
დ. საქმის განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით.

90. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოსარჩელე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელის განუხილ-ველად დატოვების შესახებ;
ბ. მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
გ. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ;
დ. მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წარდგენილი მტკი-ცებულებების შესაბამისად.

91. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცეს-ზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოსარჩელე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის განუხილ-ველად დატოვება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელის განუხილ-ველად დატოვების შესახებ;
ბ. მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
გ. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ;
დ. მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წარდგენილი მტკი-ცებულებების შესაბამისად.

** შენიშვნებისათვის*

92. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოპასუხე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;
ბ. მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;
გ. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ;
დ. მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად.

93. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე. ამასთან, მოპასუხეს არ ჰქონდა წარმოდგენილი საარბიტრაჟო შესაგებელი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

** შენიშვნებისათვის*

ბ. მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
გ. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ;
დ. მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად.

94. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება საქმის ზეპირი მოსმენის შესახებ და დანიშნა საქმის მოსმენის თარიღი. საარბიტრაჟო მოპასუხეს ორჯერ გაეგზავნა უწყება საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ მისამართზე და უწყება ორჯერვე, ფოსტის მიერ დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის რეაგირება:

ა. განახორციელებს საჯარო შეტყობინებას ცენტრალური პრესის მეშვეობით;
ბ. განახორციელებს საჯარო შეტყობინებას სატელევიზიო კომპანია „რუსთავი 2“-ის ან ტელეკომპანია „ფორტუნა“-ს მეშვეობით;
გ. მიიღებს განჩინებას საარბიტრაჟო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შესახებ;
დ. იმოქმედებს ასეთი შემთხვევისათვის მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით და ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად.

** შენიშვნებისათვის*

95. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა რუსული ენა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელიც რუსულენოვანი, მაგრამ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, საარბიტრაჟო სარჩელი და მტკიცებულებები წარადგინა რუსულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - ქართველები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა არაბულ ენაზე, ხოლო მტკიცებულებები - ინგლისურ ენაზე. მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში:

ა. მოსარჩელეს და პირველ მოპასუხეს დაავალებს ყველა საპროცესო დოკუმენტი წარმოადგინოს ქართულ ენაზე;
ბ. ყველა მხარეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების რუსულ ენაზე წარმოადგენას;
გ. ორივე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის და მტკიცებულებების რუსულ ენაზე წარმოდგენას;
დ. ორივე მოპასუხეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების საარბიტრაჟო განხილვის ენაზე შესრულებული თარგმანის წარმოდგენას.

** შენიშვნებისათვის*

96. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა რუსული ენა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელიც უკრაინულ ენოვანი, მაგრამ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა რუსულ ენაზე, ხოლო მისი დანართი მტკიცებულებები უკრაინულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - ქართველები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა არაბულ ენაზე, ხოლო მტკიცებულებები - ინგლისურ ენაზე. მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში:

ა. მოსარჩელეს და პირველ მოპასუხეს დაავალებს ყველა საპროცესო დოკუმენტი წარმოადგინოს ქართულ ენაზე;
ბ. ყველა მხარეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების რუსულ ენაზე წარმოადგენას;
გ. ორივე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის და მტკიცებულებების რუსულ ენაზე წარმოდგენას, ხოლო მოსარჩელს დაავალებს სარჩელის დანართის რუსულ ენაზე წარმოდგენას;

** შენიშვნებისათვის*

დ. მოსარჩელეს და ორივე მოპასუხეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების საარბიტრაჟო განხილვის ენაზე შესრულებული თარგმანის წარმოდგენას.

97. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა რუსული ენა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელიც უკრაინულ ენოვანი, მაგრამ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, საარბიტრაჟო სარჩელი და მტკიცებულებები წარადგინა უკრაინულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები არიან ბერძნები, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - ებრაელი. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა არაბულ ენაზე, ხოლო მტკიცებულებები - ინგლისურ ენაზე. მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ბერძნულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში:

ა. მოსარჩელეს და პირველ მოპასუხეს დაავალებს ყველა საპროცესო დოკუმენტი წარმოადგინოს ქართულ ენაზე;
ბ. ყველა მხარეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების რუსულ ენაზე წარმოადგენას;
გ. ორივე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის და მტკიცებუ-

** შენიშვნებისათვის*

ლებების რუსულ ენაზე წარმოდგენას, ხოლო მოსარჩელს დაავალებს სარჩელის რუსულ ენაზე წარმოდგენას;

დ. ორივე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის რუსულ ენაზე წარმოდგენას, მოსარჩელეს დაავალებს საარბიტრაჟო სარჩელის რუსულ ენაზე წარმოდგენას და დაადგენს, რომ არბიტრაჟში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

98. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საქართველოში რეგისტრირებულმა საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ქართველები არიან, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - პოლონელები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი და დანართი დოკუმენტები წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში:

** შენიშვნებისათვის*

ა. პირველ მოპასუხეს დაავალებს ყველა საპროცესო დოკუმენტი წარმოადგინოს ქართულ ენაზე;
ბ. ყველა მხარეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე წარმოადგენას;
გ. მეორე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის და მტკიცებულებების ინგლისურ ენაზე წარმოდგენას, ხოლო მოსარჩელს დაავალებს სარჩელის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას;
დ. მეორე მოპასუხეს დაავალებს შესაგებლის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას, მოსარჩელეს დაავალებს საარბიტრაჟო სარჩელის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას და დაადგენს, რომ არბიტრაჟში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

99. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საქართველოში რეგისტრირებულმა საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებიც ქართველები არიან, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - პოლონელები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგე-

** შენიშვნებისათვის*

ბელი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო შესაგებელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები რუსულ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო შესაბამისი მტკიცებულებები კი ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში:

ა. პირველ მოპასუხეს დაავალებს ყველა საპროცესო დოკუმენტი წარმოადგინოს ქართულ ენაზე;
ბ. ყველა მხარეს დაავალებს საპროცესო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე წარმოადგენას;
გ. ორივე მოპასუხეს დაავალებს მტკიცებულებების ინგლისურ ენაზე წარმოდგენას, ხოლო მოსარჩელს დაავალებს სარჩელის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას;
დ. მოსარჩელეს დაავალებს საარბიტრაჟო სარჩელის ინგლისურ ენაზე წარმოდგენას და დაადგენს, რომ არბიტრაჟში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

100. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვრა საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულე-

** შენიშვნებისათვის*

ბები. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი და იშუამდგომლა საქმის ზეპირი განხილვის ჩატარების შესახებ. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ ფორმირებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი და გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ზეპირი განხილვის დანიშვნის გარეშე.

შეაფასეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება:

ა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვრა საქმის განხილვის ფორმა და საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ სწორია, რადგანაც არ არსებობდა ზეპირი მოსმენის ფორმით საქმის განხილვის საფუძველი და საარბიტრაჟო განხილვის წესები (არბიტრაჟის დებულება) საარბიტრაჟო ტრიბუნალს ასეთ უფლებამოსილებას აძლევდა ;

ბ. არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა;

გ. საქმის ზეპირი მოსმენის საკითხი უნდა გადაწყვიტოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის უფლებამოსილმა სტრუქტურამ;

დ. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა უნდა გადაწყვიტოს პირველი ინსტანციის სასამართლომ.

101. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვრა საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე, წა-

** შენიშვნებისათვის*

რმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი და იშუამდგომლა საქმის ზეპირი განხილვის ჩატარების შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი და გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ზეპირი განხილვის დანიშვნის გარეშე.

შეაფასეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება:

ა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვრა საქმის განხილვის ფორმა და საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ სწორია;
ბ. არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა;
გ. საქმის ზეპირი მოსმენის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საapელაციო სასამართლომ;
დ. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა უნდა გადაწყვიტოს პირველი ინსტანციის სასამართლომ.

102. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით დანიშნა 2 ექსპერტი სხვადასხვა საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტებმა საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინეს თავისი დასკვნები. ექსპერტების წერილობითი დასკვნები გადაეგზავნა მხარეებს. სა-

** შენიშვნებისათვის*

არბიტრაჟო მოპასუხემ მეორე ექსპერტის დასკვნაში მითითებული მოსაზრების გასაბათილებლად, საკუთარი ინიციატივით ჩაატარებინა ექსპერტიზა სხვა ექსპერტს და წარადგინა აღნიშნული დასკვნა ზეპირი განხილვის დროს.

რა რეაგირება ექნება საარბიტრაჟო ტრიბუნალს:

ა. მოიწვევს სამივე ექსპერტს;
ბ. მოიწვევს იმ ექსპერტს, რომლის დასკვნასაც არ ეთანხმება მხარე;
გ. მოიწვევს იმ ექსპერტს, რომლის დასკვნასაც არ ეთანხმება მხარე და იმ ექსპერტს, რომელმაც მხარის ინიციატივით ჩაატარა ექსპერტიზა;
დ. გაიზიარებს ბოლო ექსპერტის მიერ გაცემულ დასკვნას.

103. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით დანიშნა 2 ექსპერტი სხვადასხვა საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტებმა დასკვნა არბიტრაჟში წარადგინეს. არბიტრაჟმა ექსპერტების წერილობითი დასკვნები გადაუგზავნა მხარეებს. საარბიტრაჟო მოპასუხემ ერთ-ერთი ექსპერტის დასკვნაში მითითებული მოსაზრების გასაბათილებლად, საკუთარი ინიციატივით ჩაატარებინა ექსპერტიზა სხვა ექსპერტს და წარადგინა აღნიშნული დასკვნა ზეპირი განხილვის დროს. ამავდროულად მოითხოვა მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შემდგენელი ექსპერტის მიწვევა საქმის ზეპირ განხილვაზე, ხოლო არბიტრაჟის მიერ დანიშნული ექსპერტის მიმართ განაცხადა აცილება.

** შენიშვნებისათვის*

რა რეაგირება ექნება საარბიტრაჟო ტრიბუნალს:

ა. მოიწვევს სამივე ექსპერტს;
ბ. მოიწვევს იმ ექსპერტს, რომლის დასკვნასაც არ ეთანხმება მხარე;
გ. დ. მოიწვევს იმ ექსპერტს, რომლის დასკვნასაც არ ეთანხმება მხარე და იმ ექსპერტს, რომელმაც მხარის ინიციატივით ჩაატარა ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტის აცილების საკითხს განიხილავს ექსპერტის აცილებისათვის განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით;
დ. მოიწვევს იმ ექსპერტს, რომლის დასკვნასაც არ ეთანხმება მხარე და იმ ექსპერტს, რომელმაც მხარის ინიციატივით ჩაატარა ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტის აცილების საკითხს განიხილავს არბიტრის აცილებისათვის განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

104. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრული საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ ფორმირებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით მოსთხოვა სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში, ამასთანავე მოითხოვა დახმარება კონკრეტული მოწმეების საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მიზნით. სასამართლომ უარი განაცხადა ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ დავა წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის საგანს.

შეაფასეთ როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ასევე სასამართლოს მოქმედება.

** შენიშვნებისათვის*

ა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება სწორია და გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნა;
ბ. სასამართლოს მოქმედება სწორია, რადგანაც სახეზეა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება, დავა იხილება არბიტრაჟში და სასამართლო არაა უფლებამოსილი ჩაერიოს საარბიტრაჟო განხილვის პროცედურულ საკითხებში;
გ. სასამართლოს უფლება აქვს არბიტრაჟს აღმოუჩინოს დახმარება მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვებაში;
დ. სასამართლოს უფლება აქვს არბიტრაჟს აღმოუჩინოს დახმარება მხოლოდ მოწმეთა საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

105. საარბიტრაჟო ტრიბუნალი იხილავს დავას ჩინეთის და თურქეთის კომპანიებს შორის. მხარეები არ შეთანხმებულან გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შესახებ. დავის განხილვის პროცესში საარბიტრაჟო მოსარჩელემ, ჩინეთის რესპუბლიკის კომპანიამ სადავო საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა ჩინეთის რესპუბლიკის მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, რასაც არ დაეთანხმა თურქეთის კომპანია და, თავის მხრივ, დავის განხილვა მოითხოვა თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით, რადგანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ადგილია თურქეთი.

რომელი ქვეყნის კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს დავა:

** შენიშვნებისათვის*

ა. დავის განხილვის ადგილის - საქართველოს კანონმდებლობით;
ბ. თურქეთის კანონმდებლობით, რადგანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ადგილია თურქეთი;
გ. ჩინეთის კანონმდებლობით, რადგანაც დამკვეთი და ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადამხდელი ჩინური კომპანიაა;
დ. არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმების მიხედვით.

106. ესპანურ კომპანიას და საქართველოს საპარტნიორო ფონდს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ესპანურმა კომპანიამ საქართველოს საპარტნიორო ფონდს სესხის სახით გამოუყო 15 მილიონი ევრო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სესხის დაბრუნების ვადა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პროცენტზე დასარიცხ პროცენტსაც (პროცენტის პროცენტი). ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა შესაძლო დავის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ განხილვას. საქართველოს საპარტნიორო ფონდის მიერ ვალი არ იქნა დაბრუნებული. გამსესხებელმა მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ არბიტრაჟს და მოითხოვა საარბიტრაჟო მოპასუხეს დაკისრებოდა როგორც ძირითადი დავალიანება, ასევე ვადაგადაცილების პროცენტი მის მიერ ნაანგარიშები რთული პროცენტის ფორმულით. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ უარყო დავალიანების არსებობა, ოღონდ მიუთითა პროცენტის პროცენტზე შე-

** შენიშვნებისათვის*

თანხმების ბათილობაზე, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც მოპასუხემ არ უარყო დავალიანების არსებობა და საპროცენტო სარგებლის ოდენობა და მისი გამოთვლის წესი გათვალისწინებული იყო ნების ავტონომიაზე დაფუძნებული ხელშეკრულებით;
ბ. დააკმაყოფილებს სარჩელს მხოლოდ ძირითადი დავალიანების და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პროცენტის მიხედვით, ხოლო რთული პროცენტის ნაწილში ხელშეკრულებას ცნობს ბათილად, რადგანაც ასეთი შეთანხმება ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს;
გ. არ გაითვალისწინებს საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიციას, რადგანაც მას არ აღუძრავს შეგებებული სარჩელი;
დ. შეაჩერებს საქმის განხილვას და წინადადებას მისცემს საარბიტრაჟო მოპასუხეს აღძრას შეგებებული სარჩელი პროცენტის პროცენტის გადახდევინების ნაწილში ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

107. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულია არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კონკრეტული დავის განხილვისას 3 არბიტრისაგან შემდგარმა არბიტრაჟმა 2 არბიტრის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

სარჩელის დაკმაყოფილებაზე განაცხადა უარი. მესამე არბიტრმა გადაწყვეტილებას დაურთო განსხვავებული აზრი, რომლის მიხედვით საარბიტრაჟო სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება 2 არბიტრის მიერ, მიიჩნია, რომ არბიტრებმა შელახეს მისი უფლებები და რომ 2 არბიტრმა უგულებელყო მესამე არბიტრის კანონიერი პოზიცია მის სარჩელთან დაკავშირებით, რის გამოც გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს არბიტრთა ასოციაციაში. არბიტრთა ასოციაციამ განიხილა საჩივარი და მიიჩნია, რომ არბიტრებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

სწორია თუ არა საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მოქმედება:

ა. არბიტრთა ასოციაციის მოქმედება სწორია;
ბ. არბიტრთა ასოციაციის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში;
გ. არბიტრთა ასოციაციის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა სააპელაციო სასამართლოში;
დ. არბიტრთა ასოციაციის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

108. სამი არბიტრისაგან შემდგარმა საარბიტრაჟო ტრიბუნა-

** შენიშვნებისათვის*

ლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერა ერთ-ერთმა არბიტრმა, რომელიც არ დაეთანხმა დანარჩენი არბიტრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

როგორ შეაფასებთ უმცირესობაში დარჩენილი არბიტრის გადაწყვეტილებას:

ა. არბიტრის მოქმედება სწორია, რადგანაც არ დაეთანხმა დანარჩენი არბიტრების გადაწყვეტილებას;
ბ. არბიტრის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც მას არა აქვს უფლება არ მოაწეროს ხელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. არბიტრის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც მას არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან;
დ. არბიტრის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერაზე უარის თქმასთან ერთად წერილობით უნდა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განსხვავებული აზრის სახით.

109. საკრედიტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას და მსესხებელთან და მის სოლიდარულ თავდებებთან შეთანხმებულ საარბიტრაჟო დათქმებში გათვალისწინებული დებულების შესაბამისად მოითხოვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყება და მოპასუხეთათვის (მსესხებელი და სოლიდარული მოვალეები/თავდებები) ძირითადი დავალიანების თანხის, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს, აგრეთვე გაწეული ხარჯის: საარბიტრაჟო სარჩელზე გადახდილი

** შენიშვნებისათვის*

მოსაკრებლის, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის სააპელაციო სასამართლოში გაწეული ხარჯის, მომსახურების სააგენტოში გადახდილი თანხის და სარჩელის ასლების მომზადებისათვის გაწეული საფასურის სოლიდარულად დაკისრება. საარბიტრაჟო მოპასუხემ, მსესხებელმა საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარადგინა, ხოლო თავდებმა პირებმა წარდგენილ შესაგებელში მიუთითეს, რომ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელიდან შეიტყვეს და რომ მათ არ მიუღიათ წერილობითი გაფრთხილება.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. სარჩელს სრულად დააკმაყოფილებს ყველა მოპასუხის ხარჯზე;
ბ. მსესხებელს დააკისრებს ძირითად დავალიანებას, საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს, აგრეთვე საარბიტრაჟო ხარჯებს, ხოლო თავდებ პირებს მსესხებელთან ერთად, სოლიდარულად მხოლოდ ძირითად დავალიანებას;
გ. მსესხებელს დააკისრებს ძირითად დავალიანებას, საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს, აგრეთვე საარბიტრაჟო ხარჯებს, ხოლო თავდებ პირებს მსესხებელთან ერთად, სოლიდარულად მხოლოდ ძირითად დავალიანებას და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
დ. არ დააკმაყოფილებს სარჩელს, რადგანაც თავდები პირები არ ყოფილან წერილობით გაფრთხილებული მსესხებ-

** შენიშვნებისათვის*

ლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო და არ მისცემიათ დამატებითი ვადა ვალდებულების შესრულების შესახებ.

110. სამშენებლო კომპანიამ (მენარდე) საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას დამკვეთის წინააღმდეგ და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრება. საარბიტრაჟო დაწესებულების რეგისტრატორმა საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო გზავნილი (საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად) ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ მისამართზე, რაც იდენტურია ხელშეკრულებაში და სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულ მისამართთან. ამავდროულად, საარბიტრაჟო მოპასუხეს მის წინააღმდეგ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ ეცნობა სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზეც. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი საარბიტრაჟო გზავნილი დაბრუნებული იქნა ადრესატის ადგილმდებარეობის დაუდგენლობის მოტივით. საარბიტრაჟო დაწესებულების რეგისტრატორმა საარბიტრაჟო გზავნილი განმეორებით გააგზავნა იმავე მისამართზე, რადგანაც საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართის (ადგილმდებარეობის) შესახებ სხვა რეკვიზიტი მას არ გააჩნდა და არც საქმის მასალებიდან იკვეთებოდა. განმეორებითი გზავნილი ასევე იმავე მოტივაციით იქნა დაბრუნებული. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დანიშნულმა ერთპი-

** შენიშვნებისათვის*

როვნულმა არბიტრმა აღნიშნული ქმედებები ჩათვალა საკმარისად და საქმის მასალებზე დაყრდნობით გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

სწორია თუ არა არბიტრის მოქმედება:

ა. არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო გზავნილის ჩაბარება უნდა დაევალებინა პოლიციის ადგილობრივი ორგანოსათვის;
ბ. არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინება უნდა განეხორციელებინა;
გ. არ არის სწორი, რადგანაც ჯერ პოლიციის ადგილობრივი ორგანოსათვის უნდა დაევალებინა გზავნილის ჩაბარების ორგანიზება, ხოლო წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში საჯარო შეტყობინება უნდა განეხორციელებინა;
დ. სწორია, რადგანაც ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო წარმოების დაწყების ინფორმირებისა და საარბიტრაჟო გზავნილის ჩაბარების გონივრულ მცდელობას

111. საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი და არბიტრაჟს სთხოვეს მორიგების დამტკიცება შეთანხმებული პირობებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი განაცხადა მორიგების დამტკიცებაზე იმ საფუძვლით, რომ მორიგების აქტი წარდგენილი იქნა უკვე მთავარი სხდომის მიმდინარეობისას.

** შენიშვნებისათვის*

სწორია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება?

ა. სწორია, რადგანაც მორიგების აქტი არ ყოფილა წარდგენილი მოსამზადებელ ეტაპზე;
ბ. სწორია, რადგანაც საარბიტრაჟო შესაგებელში მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ არ ჰქონდა დავის მორიგებით დამთავრების სურვილი;
გ. არ არის სწორი, რადგანაც მორიგება უპირობოდ უნდა იქნეს დამტკიცებული;
დ. არ არის სწორი, რადგანაც არბიტრაჟმა მორიგება უნდა დაამტკიცოს საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, თუ მორიგების პირობები არ არის კანონშეუსაბამო და არ ლახავს მესამე პირის ინტერესებს.

112. საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი და არბიტრაჟს სთხოვეს მორიგების დამტკიცება შეთანხმებული პირობებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილებით დაამტკიცა მორიგება და შეწყვიტა საქმის წარმოება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. მოპასუხე მხარემ დაარღვია შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება და არ გადაუხადა მოსარჩელე მხარეს მორიგებით გათვალისწინებული თანხა. კრედიტორმა მიმართა არბიტრაჟს საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნით.

განაახლებს თუ არა არბიტრაჟი სადავო საკითხზე შეწყვეტილ წარმოებას?

** შენიშვნებისათვის*

ა. განაახლებს, რადგანაც მოპასუხემ დაარღვია შეთანხმების პირობები;
ბ. დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას და მოისმენს მხარეთა პოზიციებს წარმოების განახლების საკითხზე;
გ. არ განაახლებს წარმოებას, რადგანაც მორიგების პირობები სავალდებულოა შესასრულებლად და კრედიტორმა უნდა განახორციელოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გათვალისწინებული პროცედურები;
დ. წინადადებას მისცემს კრედიტორს თავიდან აღძრას ახალი სარჩელი.

113. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის საარბიტრაჟო სარჩელი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შესახებ დაკმაყოფილდა და დამკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის გადახდა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების თაობაზე მენარდის მოთხოვნაზე მოპასუხე მხარის, იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, შპს-ს დირექტორმა მენარდეს წერილობით უპასუხა, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას გადაუხდიდა 10 დღის ვადაში. წერილობითი პასუხის გაგზავნიდან რამდენიმე დღეში შპს-ს დირექტორი დააპატიმრეს მენარდის მკვლელობის ბრალდებით და სასამართლოს მიერ განესაზღვრა აღკვეთის ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა. გარდაცვლილი მენარდის მეუღლე გარდაცვლილის დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოაჩენს საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

ტრიბუნალის გადაწყვეტილებას. კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში გარდაცვლილის მეუღლემ აიღო სამემკვიდრეო მოწმობა.

ვის უნდა მიმართოს კანონისმიერმა მემკვიდრემ მისი მეუღლის კუთვნილი თანხის მისაღებად:

ა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციას;
ბ. ნოტარიუსს;
გ. სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ;
დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

114. ინგლისის სამკერვალო ფაბრიკასა და თელავის ძაფსაგრეხ გაერთიანებას შორის დაიდო შალის ნართის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის მიხედვით სადავო საკითხების გადაწყვეტისას გამოსაყენებელი სამართალი არის ქართული, ამასთანავე აღნიშნულია, რომ იმ საკითხების გადაწყვეტისას, რაც არ არის მოწესრიგებული ქართული სამართლით, გამოიყენება ინგლისის სამართალი. დავის განმხილველი ორგანოა დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი (ClArb-ი) ამ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად.

არის თუ არა ნამდვილი მხარეთა შეთანხმება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის ნაწილში

** შენიშვნებისათვის*

ა. საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია, რადგანაც შეესაბამებოდა მხარეთა ნების ავტონომიას;
ბ. საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ნამდვილი, რადგანაც სამართლის კომბინირებული ნორმების გამოყენება დაუშვებელია;
გ. საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ნამდვილი, რადგანაც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საარბიტრაჟო განხილვის წესები უნდა შეესაბამებოდეს გამოსაყენებელ სამართალს;
დ. საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ნამდვილი, რადგანაც დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი ClArb-ის საარბიტრაჟო წესების თანახმად ნებისმიერი დავის განხილვისას გამოიყენება დავის განხილვის ადგილის სამართალი.

115. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის საარბიტრაჟო სარჩელი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შესახებ დაკმაყოფილდა და დამკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის გადახდა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების თაობაზე მენარდის მოთხოვნაზე მოპასუხე მხარის, იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, შპს-ს დირექტორმა მენარდეს წერილობით უპასუხა, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას გადაუხდიდა 10 დღის ვადაში. წერილობითი პასუხის გაგზავნიდან რამდენიმე დღეში შპს-ს დირექტორი დააპატიმრეს მენარდის მკვლელობის ბრალდებით და სასამართლოს მიერ განე-

** შენიშვნებისათვის*

საზღვრა აღკვეთის ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა. გარდაცვლილი მენარდის მეუღლე გარდაცვლილის დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოაჩენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას. კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში გარდაცვლილის მეუღლემ აიღო სამემკვიდრეო მოწმობა.

რა წესით მოახერხებს კანონისმიერი მემკვიდრე მამკვიდრებლის კუთვნილი თანხის მიღებას:

ა. აღძრავს სარჩელს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით;
ბ. მიმართავს საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომლის ადმინისტრირებითაც განხორციელდა საარბიტრაჟო განხილვა უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შემდეგ კი სააპელაციო სასამართლოს;
გ. სამემკვიდრეო მოწმობის საფუძველზე მიმართავს საააპელაციო სასამართლოს უფლებამონაცვლედ ცნობის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით;
დ. მიმართავს საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შემდეგ კი საააპელაციო სასამართლოს.

116. ევროკავშირის წევრი ქვეყნის (მყიდველი) და საქართველოს სამრეწველო საწარმოს (გამყიდველი) შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული გამოსაყენებელი სამართლის საკითხი. საარბიტრაჟო დათქმის თანახმად დავა უნდა განიხილოს

** შენიშვნებისათვის*

სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრმა მისი რეგლამენტის შესაბამისად.

რა ნორმების საფუძველზე მოხდება დავის გადაწყვეტა:

ა. დავის განხილვის ადგილის (სინგაპური) სამართლის მიხედვით;
ბ. ხელშეკრულების შესრულების ადგილის სამართლის მიხედვით (საქართველო);
გ. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციით განსაზღვრული წესით;
დ. Lex mercatoria-ს ნორმების შესაბამისად.

117. საარბიტრაჟო განხილვისას დასრულებისას, მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდნენ და არბიტრაჟს წარუდგინეს მორიგების აქტი. არბიტრაჟმა უარი განაცხადა ასეთი აქტის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მიმდინარეობდა მთავარი სხდომა და არბიტრაჟი ვალდებული იყო გამოეტანა გადაწყვეტილება არსებულ დავაზე.

შეაფასეთ არბიტრაჟის მოქმედება:

ა. არბიტრაჟის მოქმედება სწორია, რადგანაც მხარეთა მორიგება შესაძლებელია მხოლოდ საქმის მომზადების ეტაპზე;
ბ. არბიტრაჟის მოქმედება სწორია, რადგანაც მხარეთა მორიგება შესაძლებელია მხოლოდ საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენამდე;

** შენიშვნებისათვის*

გ. არბიტრაჟის მოქმედება სწორია, რადგანაც არბიტრაჟში მხარეთა მორიგება დაუშვებელია;
დ. არბიტრაჟის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც არბიტრაჟში მხარეთა მორიგება დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

118. საარბიტრაჟო განხილვისას დასრულებისას, მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდნენ, საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინეს მორიგების აქტი და ითხოვეს გადაწყვეტილების გამოტანა მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის გაცემას. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი განაცხადა ასეთი აქტის მიღებაზე იმ მოტივით, რომ კანონი არ ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის გაცემას.

შეაფასეთ არბიტრაჟის მოქმედება:

ა. ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც მას უნდა მიეღო მორიგების აქტი და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაემტკიცებინა მორიგების არსებითი პირობების ნაწილში, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე მითითების ნაწილში მორიგების პირობები არ უნდა გაეზიარებინა;
ბ. ტრიბუნალის მოქმედება სწორია, რადგანაც არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არსებული დავის არსებითად განხილვის შედეგად;
გ. ტრიბუნალის მოქმედება სწორია, რადგანაც კანონი არ

** შენიშვნებისათვის*

ითვალისწინებს მორიგების აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას;

დ. ტრიბუნალის მოქმედება სწორია, რადგანაც არბიტრაჟში მხარეთა მორიგება დაუშვებელია.

119. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება გამოიტანა 2016 წლის 10 თებერვალს და მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი გადასცა მხარეებს 2016 წლის 15 თებერვალს. 2016 წლის 11 მარტს საარბიტრაჟო მოსარჩელემ აღმოჩინა, რომ გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებაში დაშვებული იყო შეცდომა და მიმართა საარბიტრაჟო ტრიბუნალს გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით და აღნიშნულის შესახებ შეატყობინა საარბიტრაჟო მოპასუხესაც. მოპასუხემ განცხადებით მიმართა საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მოითხოვა მოსარჩელის განცხადების დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ მოსარჩელმ გაუშვა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის მოთხოვნის ვადა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მოპასუხის პროტესტის მიუხედავად გაასწორა შეცდომა, რაც დააფიქსირა შესაბამისი გადაწყვეტილებით (უსწორობის გასწორების შესახებ).

სწორია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება:

ა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო მოსარჩელემ გაუშვა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის მოთხოვნის ერთთვიანი ვადა;

** შენიშვნებისათვის*

ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა შეიძლება მხოლოდ საარბიტრაჟო მოპასუხის თანხმობით;

გ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა დაუშვებელია;

დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება სწორია, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა შეიძლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში და საარბიტრაჟო მოსარჩელეს ეს ვადა არა აქვს გაშვებული.

120. საკრედიტო დაწესებულებამ მსესხებლის და მისი თავდები პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმართა სესხის და თავდებობის ხელშეკრულებებში მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მხარეებს საარბიტრაჟო გზავნილი ვერ ჩაბარდათ ხელშეკრულებებში მითითებულ მისამართებზე საფოსტო დაწესებულების მეშვეობით ორჯერ გაგზავნის მიუხედავად. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ მეორე საფოსტო გზავნილი დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა საარბიტრაჟო მოპასუხეების საჯარო წესით ინფორმირება მათ წინააღმდეგ დაწყებული საარბიტრაჟო განხილვის შესახებ. საჯარო შეტყობინების ტექსტში მიეთითა, რომ საარბიტრაჟო დაწესებულებას მიმართა გამსესხებელმა კონკრეტული მსესხებლის და კონკრეტული თავდები პირების მიმართ და მიეთითა სა-

* *შენიშვნებისათვის*

კრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხის და სასესხო (ძირითადი დავალიანება, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ვადაგადაცილების პირგასამტეხლო) დავალიანების შესახებ.

შეაფასეთ საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება:

ა. საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს მხარეთა ინფორმირების თაობაზე;
ბ. საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება არ არის სწორი, რადგანაც დარღვეულია კონფიდენციალობის პრინციპი;
გ. საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება არ არის სწორი, რადგანაც დარღვეულია კონფიდენციალობის პრინციპი - კონფიდენციალურია არა მარტო საარბიტრაჟო საქმის დეტალები, არამედ თვით განხილვის ფაქტიც კი. ამასთანავე საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები;
დ. საჯარო შეტყობინების შესახებ ტექსტში მითითებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ინფორმაცია კონკრეტული პირების მითითებით.

121. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება გამოიტანა 2016 წლის 10 თებერვალს და მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი გადასცა მხარეებს. 2016 წლის 16 მარტს საარბიტრაჟო მოსარჩელემ აღმოჩინა, რომ გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებაში დაშვებული იყო შეცდომა და მიმართა საარბიტრაჟო ტრიბუნალს გაანგარიშებაში

** შენიშვნებისათვის*

დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით და აღ-ნიშნულის შესახებ შეატყობინა საარბიტრაჟო მოპასუ-ხესაც. მოპასუხემ მოითხოვა მოსარჩელის განცხადების დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ მოსარჩელმ გაუ-შვა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტა-ნის მოთხოვნის ვადა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, მოპა-სუხის პროტესტის მიუხედავად გაასწორა შეცდომა, რაც დააფიქსირა შესაბამისი გადაწყვეტილებით (უსწორობის გასწორების შესახებ), რომელშიც მიუთითა, რომ მხარეებს გადაწყვეტილება გადაეცათ 2016 წლის 17 თებერვალს და არ იყო გასული შეცდომის გასწორების მოთხოვნით მიმართვის ვადა.

სწორია თუ არა ტრიბუნალის მოქმედება:

ა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო მოსარჩელემ გაუშვა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის მოთხოვნის ერთთვიანი ვადა, რადგანაც მოთხოვნის დაყენება შეიძლებოდა გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში;

ბ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა შეიძლება მხოლოდ საარბიტრაჟო მოპასუხის თანხმობით;

გ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება არ არის სწორი, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა დაუშვებელია;

** შენიშვნებისათვის*

დ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება სწორია, რადგანაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა შეიძლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში და საარბიტრაჟო მოსარჩელეს ეს ვადა არა აქვს გაშვებული.

** შენიშვნებისათვის*

V. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება

122. ქ.ბათუმის და ქ.თელავის ორგანიზაციებს შორის არსებულ დავაზე საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საარბიტრაჟო მოპასუხემ.

რომელი სასამართლოა უფლებამოსილი განიხილოს მხარის საჩივარი:

ა. ბათუმის საქალაქო სასამართლო;
ბ. თელავის რაიონული სასამართლო;
გ. თბილისის საქალაქო სასამართლო;
დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.

123. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა.

რომელ სასამართლოში შეიძლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება:

ა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
ბ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში;
გ. თბილისის საქალაქო სასამართლოში;
დ. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ადგილის მიხედვით.

** შენიშვნებისათვის*

124. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად საქმის განხილვის ადგილია ქალაქი ზუგდიდი. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ქ.ზუგდიდისა და ქ.გორის ორგანიზაციებს შორის არსებულ დავაზე ზეპირი მოსმენა ჩაატარა როგორც ქ.ზუგდიდში, მოსარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით, ასევე ქ.გორში, მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით და საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა.

რომელ სასამართლოში შეიძლება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება:

ა. გორის რაიონულ სასამართლოში;
ბ. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში;
გ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში;
დ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

125. მხარეთა შეთანხმების შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ.თბილისი. საარბიტრაჟო განხილვა გაიმართა ორივე მხარის ადგილსამყოფელის მიხედვით - ქალაქ ზუგდიდში, მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით და ქალაქ თელავში, მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მოსარჩელე მხარემ უნდა მიმართოს:

ა. ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს;
ბ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;

** შენიშვნებისათვის*

გ. თელავის რაიონულ სასამართლოს;
დ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

126. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მას არასწორად დააკისრა ფულადი ვალდებულება, რადგანაც არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. საჩივარს მიიღებს წარმოებაში და იმსჯელებს არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ;
ბ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში, იმსჯელებს საჩივრის საფუძვლიანობაზე და ისე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
გ. ზეპირი მოსმენის გარეშე დააკმაყოფილებს საჩივარს და არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის მიზნით საქმეს დაუბრუნებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს;
დ. საჩივარს დაუშვებლად სცნობს და არ მიიღებს წარმოებაში.

127. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მას არ შეატყობინა საარბიტრაჟო განხილვის შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

128. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში შეუდგება მის არსებითად განხილვას და საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

** შენიშვნებისათვის*

129. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, არ იყო სათანადოდ ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში შეუდგება მის არსებითად განხილვას და საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

130. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო განხილვისას არ მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი პოზიცია.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში შეუდგება მის არსებითად განხილვას და საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემ-

** შენიშვნებისათვის*

თხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

131. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

132. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება თუ საარბიტრაჟო დავის საგანი რამდენიმე მოთხოვნისაგან შედგებოდა, ხოლო თუ გაცხადებული იყო მხოლოდ ერთი მოთხოვნა, გააუქმებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

133. რამდენიმე მოთხოვნისაგან შემდგარ საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთ საკითხზეც, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;

** შენიშვნებისათვის*

ბ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;
გ. დააკმაყოფილებს საჩივარს და თავად განიხილავს მხარეთა შორის არსებულ დავას;
დ. დააკმაყოფილებს საჩივარს და საქმეს დაუქვემდებარებს უფლებამოსილ სასამართლოს.

134. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ არბიტრაჟის შემადგენლობა არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს დავას;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და დავას დაუქვემდებარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს;
დ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში.

135. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სა-

** შენიშვნებისათვის*

სამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს დავას;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და დავას დაუქვემდებარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს;
დ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში.

136. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს დავას;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და დავას დაუქვემდებარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს;

** შენიშვნებისათვის*

დ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში.

137. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში დამკვეთი) და საპროექტო ორგანიზაციას შორის (შემდგომში მენარდე) დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდეს უნდა შეედგინა ხონის რაიონში ამორტიზებული შენობის რეაბილიტაციის პროექტი. მენარდემ სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულის შემდეგ დამკვეთმა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო ორგანიზაციასთან. ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში სარეაბილიტაციო შენობა ჩამოინგრა. დამკვეთმა სარეაბილიტაციო პროექტის უხარისხობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მენარდესთან დადებულ ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელმაც დანიშნა საქმის განმხილველი არბიტრი. საარბიტრაჟო დათქმით საქმის განხილვის ადგილად გათვალისწინებულია თბილისი. არბიტრმა შეავსო დეკლარაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, დაიწყო საარბიტრაჟო განხილვა და სხდომა ჩაატარა ხონში, სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ერთპიროვნული არბიტრის) გადაწყვეტილებით დამკვეთის საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილ-

** შენიშვნებისათვის*

და. მუნიციპალური განვითარების ფონდმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. საპროექტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით კანონით გათვალისწინებულ 90 დღის ვადაში მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რადგანაც საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე და უძრავი ნივთი, რომელიც დაზიანდა, ასევე მდებარეობდა ამავე სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე (ხონი).

რა გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის სააპელაციო სასამართლო:

ა. მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაუგზავნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რადგანაც ამ უკანასკნელის წარმოებაშია საჩივარი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით;
ბ. შეაჩერებს განცხადების განხილვას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვამდე;
გ. შეწყვეტს საქმის წარმოებას;
დ. მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ

138. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო გადა-

** შენიშვნებისათვის*

წყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ბათილად სცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს დავას;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და დავას დაუქვემდებარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს;
დ. მიიღებს საჩივარს წარმოებაში, შეუდგება მის არსებითად განხილვას და გადაწყვეტილებას გააუქმებს საჩივრის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში.

139. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 4 თვის გასვლის შემდეგ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. საჩივარს მიიღებს წარმოებაში, განიხილავს მის მოტივებს და დააკმაყოფილებს საჩივარს მისი საფუძვლიანობის შემთხვევაში;
ბ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში, შეამოწმებს დაცულია თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და გასაჩივრების ვადის გასვლის შემთხვევაში არ დააკმაყოფილებს საჩივარს;
გ. დაუშვებლად სცნობს საჩივარს;

** შენიშვნებისათვის*

დ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში, მის ასლს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს და გადაწყვეტილებას მიიღებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებებიდან გამომდინარე.

140. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. დაუშვებლად ცნობს საჩივარს, რადგანაც უკვე არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ;
ბ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში და იმსჯელებს მის მოტივებზე;
გ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში და თუ დაადგენს, რომ საჩივარში მითითებული საფუძვლის შესახებ სააპელაციო სასამართლოს უკვე ჰქონდა მსჯელობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, შეწყვეტს საქმის წარმოებას;
დ. საჩივარს მიიღებს წარმოებაში და თუ დაადგენს, რომ საჩივარში მითითებული საფუძვლის შესახებ სააპელაციო სასამართლოს უკვე ჰქონდა მსჯელობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, არ დააკმაყოფილებს საჩივარს.

** შენიშვნებისათვის*

141. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ. საჩივარში მითითებული იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დაშვებული პროცედურული დარღვევების შესახებ. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელსაც გადაეგზავნა საარბიტრაჟო მოპასუხის საჩივრის ასლი, სააპელაციო სასამართლოს მიმართა აღნიშნული განცხადების განხილვის შეჩერების და გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოფხვრის მიზნით საქმის არბიტრაჟისათვის გადაგზავნის მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. დაუშვებლად სცნობს საჩივარს იმ მოტივით, რომ სააპელაციო პალატის მიერ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;
ბ. საჩივარს დატოვებს განუხილველად იმ მოტივით, რომ სააპელაციო პალატის მიერ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;
გ. გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს გაუგზავნის განჩინებას საჩივარზე წარმოების შეჩერების შესახებ;
დ. გადაწყვეტილების გამომტან არბიტრაჟს გაუგზავნის უწყებას საჩივარზე წარმოების შეჩერების შესახებ.

142. საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტი-

** შენიშვნებისათვის*

ლების ცნობასა და აღსრულებაზე შუამდგომლობის განხილვის უფლებამოსილი სასამართლოა:

ა. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით;
ბ. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოსარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით;
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლო;
დ. სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის ადგილის მიხედვით.

143. საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის უფლებამოსილი სასამართლოა:

ა. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით;
ბ. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოსარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით;
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლო;
დ. სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის ადგილის მიხედვით.

144. საქართველოში შესაძლებელია აღსრულდეს:

ა. ევროკავშირის წევრი ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
ბ. ნებისმიერი ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
გ. საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტი-

** შენიშვნებისათვის*

ლება;

დ. ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მონაწილე ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

145. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე შუამდგომლობის განხილვის უფლებამოსილი სასამართლოა:

ა. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით;

ბ. რაიონული/საქალაქო სასამართლო საარბიტრაჟო მოსარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით;

გ. საქართველოს უზენაესი სასამართლო;

დ. სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის ადგილის მიხედვით.

146. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, შესაბამის სააპელაციო უნდა წარადგინოს:

ა. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ. შუამდგომლობის ასლის საარბიტრაჟო მოპასუხისათვის გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება;

გ. საარბიტრაჟო შეთანხმება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და საარბიტრაჟო სარჩელი;

დ. საარბიტრაჟო შეთანხმების და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლები.

** შენიშვნებისათვის*

147. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საქართველოს ფარგლებს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

ა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი;
ბ. საარბიტრაჟო სარჩელის ასლი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი;
გ. საარბიტრაჟო სარჩელის ასლის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დამოწმებული ასლის და საარბიტრაჟო შეთანხმების სათანადოდ დამოწმებული ასლის თარგმანი ქართულ ენაზე;
დ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედნის ან სათანადოდ დამოწმებული ასლის და საარბიტრაჟო შეთანხმების დედნის ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლის ქართულ ენაზე სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

148. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში დამკვეთი) და საპროექტო ორგანიზაციას შორის (შემდგომში მენარდე) დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდეს უნდა შეედგინა ხონის რაიონში ამორტიზებული შენობის რეაბილიტაციის პროექტი.

** შენიშვნებისათვის*

მენარდემ სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულის შემდეგ დამკვეთმა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო ორგანიზაციასთან. ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში სარეაბილიტაციო შენობა ჩამოინგრა. დამკვეთმა სარეაბილიტაციო პროექტის უხარისხობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მენარდესთან დადებულ ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელმაც დანიშნა საქმის განმხილველი არბიტრი. საარბიტრაჟო დათქმით საქმის განხილვის ადგილად გათვალისწინებულია ქ.ქუთაისი. არბიტრმა შეავსო დეკლარაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, დაიწყო საარბიტრაჟო განხილვა და სხდომა ჩაატარა ხონში, სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ერთპიროვნული არბიტრის) 2019 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დამკვეთის საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა. საპროექტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით 2019 წლის 15 აგვისტოს მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო ერთი კვირით ადრე, 2019 წლის 8 აგვისტოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის სააპელაციო სასამართლო:

** შენიშვნებისათვის*

ა. მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაუგზავნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რადგანაც ამ უკანასკნელის წარმოებაშია საჩივარი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით;
ბ. შეაჩერებს განცხადების განხილვას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვამდე;
გ. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;
დ. შუამდგომლობას არ მიიღებს წარმოებაში.

149. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში დამკვეთი) და საპროექტო ორგანიზაციას შორის (შემდგომში მენარდე) დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდეს უნდა შეედგინა ხონის რაიონში ამორტიზებული შენობის რეაბილიტაციის პროექტი. მენარდემ სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულის შემდეგ დამკვეთმა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო ორგანიზაციასთან. ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში სარეაბილიტაციო შენობა ჩამოინგრა. დამკვეთმა სარეაბილიტაციო პროექტის უხარისხობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მენარდესთან დადებულ ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელმაც დანიშნა საქმის განმხილველი არბიტრი. საარბიტრაჟო დათქმით საქმის განხილვის ადგილად გათვალისწინებულია თბი-

** შენიშვნებისათვის*

ლისი. არბიტრმა რაიმე გარემოების გამჟღავნების გარეშე შეავსო დეკლარაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, დაიწყო საარბიტრაჟო განხილვა და საქმის განხილვა დანიშნა ხონში, სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით. მენარდემ იშუამდგომლა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. არბიტრმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულის შემდეგ მენარდემ იშუამდგომლა მოწმეთა დაკითხვის და სპეციალისტის მოწვევის შესახებ, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ერთპიროვნული არბიტრის) 2019 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დამკვეთის საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა. საპროექტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით 2019 წლის 15 აგვისტოს მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო ერთი კვირით ადრე, 2019 წლის 8 აგვისტოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაში მენარდე მიუთითებდა, რომ მისთვის ახლახან გახდა ცნობილი, რომ საქმის განმხილველი არბიტრის რძალი (ვაჟიშვილის მეუღლე), რომელიც ქალიშვილობის გვარს ატარებდა, მუშაობდა მუნიციპალური განვითარების ფონდის კურიერად და არბიტრის მოქმედებები მიუთითებდნენ მის მიკერძოებაზე და ასეთი გარემოების გაუმჟღავნებლობის გამო არაკეთილსინდისიერებაზეც.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს თბილისის სააპელაციო სასამართლო:

* *შენიშვნებისათვის*

ა. გააერთიანებს ორივე წარმოებას;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;
გ. შეაჩერებს წარმოებას საჩივარზე, მასალებს გადაუგზავნის არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და დაელოდება კომისიის გადაწყვეტილებას;
დ. არ გააუქმებს გადაწყვეტილებას, რადგანაც რძლის თანამდებობრივი (კურიერი) სტატუსი არ იძლევა არბიტრის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს

150. კონკრეტულ დავაზე საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დანიშნული არბიტრის იურიდიულ კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს ის აუდიტორული კომპანია, რომელიც მოსარჩელეა განსახილველ საქმეში და მისი დამფუძნებელი კი არბიტრის თანაკლასელის ძმაა. არბიტრმა აღნიშნული გარემოებები მის მიერ შევსებულ დეკლარაციაში არ გაამჟღავნა. საარბიტრაჟო მოპასუხემ აღნიშნული კავშირების შესახებ გაიგო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების მეორე დღესვე.

როგორ უნდა იმოქმედოს საარბიტრაჟო მოპასუხემ:

ა. მიმართოს საჩივრით არბიტრთა ასოციაციას;
ბ. გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში არბიტრაჟის ადგილმდებარეობის მიხედვით;
გ. გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ადგილის მიხედვით;

** შენიშვნებისათვის*

დ. დაელოდოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და სააპელაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

151. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საქართველოს ფარგლებს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უნდა წარუდგინოს:

ა. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, საჯარო რეესტრის ამონაწერი,საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი;

ბ. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, საარბიტრაჟო სარჩელის ასლი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი და საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი;

გ. საარბიტრაჟო სარჩელის ასლის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლის და საარბიტრაჟო შეთანხმების სათანადოდ დამოწმებული ასლის თარგმანი ქართულ ენაზე;

დ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედნის ან სათანადოდ დამოწმებული ასლის და საარბიტრაჟო შეთანხმების დედნის ან მისი სათანადოდ

** შენიშვნებისათვის*

დამოწმებული ასლის ქართულ ენაზე სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

152. კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი საფუძველების არსებობისას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა:

ა. სასამართლოს უფლებაა;
ბ. სასამართლოს ვალდებულებაა;
გ. დამოკიდებულია საარბიტრაჟო მოპასუხის თანხმობაზე;
დ. დამოკიდებულია დავის შინაარსზე.

153. საარბიტრაჟო მოსარჩელემ შესაბამის სააპელაციო სასამართლოს მიმართა საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. საარბიტრაჟო მოპასუხემ (მოწინააღმდეგე მხარე) სააპელაციო სასამართლოში წარადგინა დასაბუთებული მოსაზრება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შესახებ. საარბიტრაჟო მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომ საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტები უკვე განხილული იყო სასამართლოს მიერ, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხემ იგივე არგუმენტებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და მიუთითა, რომ ასეთი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

რა საპროცესო მოქმედებას განახორციელებს სააპელაციო სასამართლო:

** შენიშვნებისათვის*

ა. სააპელაციო მოპასუხის საჩივარზე შეწყვეტს წარმოებას;
ბ. სააპელაციო მოპასუხის არგუმენტების საფუძვლიანობაზე იმსჯელებს, განცხადებას დააკმაყოფილებს საფუძვლიანობის შემთხვევაში და მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ;
გ. სააპელაციო მოპასუხის საჩივარზე შეწყვეტს წარმოებას და მიიღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ;
დ. სააპელაციო მოპასუხის არგუმენტების საფუძვლიანობაზე იმსჯელებს, განცხადებას დააკმაყოფილებს საფუძვლიანობის შემთხვევაში და მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის გასახილველად უფლებამისილი სასამართლოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

154. საარბიტრაჟო მოსარჩელემ 2016 წლის 16 ივნისს მის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, 2017 წლის 2 მარტს მიმართა შესაბამის სააპელაციო სასამართლოს. საარბიტრაჟო მოპასუხემ, რომელსაც საკუთარი მოსაზრებების წარსადგენად გადაეგზავნა ამ შუამდგომლობის ასლი, სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. შუამდგომლობას და განცხადებას მიიღებს წარმოებაში

** შენიშვნებისათვის*

და იმსჯელებს მათ დასაბუთებულობაზე და საარბიტრაჟო მოპასუხის განცხადების საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას;

ბ. შუამდგომლობას და განცხადებას მიიღებს წარმოებაში და იმსჯელებს მათ დასაბუთებულობაზე და საარბიტრაჟო მოპასუხის განცხადების საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას;

გ. შუამდგომლობას და განცხადებას მიიღებს წარმოებაში და იმსჯელებს მათ დასაბუთებულობაზე და საარბიტრაჟო მოპასუხის განცხადების საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და საქმეს განსახილველად დაუქვემდებარებს შესაბამის სასამართლოს;

დ. უარს განაცხადებს საარბიტრაჟო მოპასუხის განცხადების წარმოებაში მიღებაზე დაუშვებლობის გამო და იმსჯელებს შუამდგომლობის საფუძვლიანობის შესახებ.

155. კონკრეტულ დავაზე საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დანიშნული არბიტრის იურიდიულ კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს ის აუდიტორული კომპანია, რომელიც მოსარჩელეა განსახილველ საქმეში და მისი დამფუძნებელი კი არბიტრის მეუღლის ძმაა. არბიტრმა აღნიშნული გარემოებები მის მიერ შევსებულ დეკლარაციაში არ გაამჟღავნა. საარბიტრაჟო მოპასუხემ აღნიშნული კავშირების შესახებ გაიგო სარჩელი დაკმაყოფილების შესახებ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების მეორე დღესვე.

** შენიშვნებისათვის*

როგორ უნდა იმოქმედოს საარბიტრაჟო მოპასუხემ:

ა. მიმართოს საჩივრით საქართველოს არბიტრთა ასოციაციას;
ბ. გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში არბიტრაჟის ადგილმდებარეობის მიხედვით;
გ. გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ადგილის მიხედვით;
დ. დაელოდოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და სააპელაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

156. საარბიტრაჟო ტრიბუნალის დადგენილებით საქმის ზეპირი განხილვა დანიშნულია 15 თებერვლისათვის. საარბიტრაჟო მოპასუხეს, ფიზიკურ პირს წარდგენილი აქვს საარბიტრაჟო შესაგებელი და სარჩელს არ ცნობს უსაფუძვლობის მოტივით - კონკრეტული არგუმენტები მოყვანილია, ამასთან მოპასუხე შუამდგომლობს მოწმეთა დაკითხვის შესახებ. საარბიტრაჟო განხილვის წინა დღეს, 14 თებერვალს საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მისმა მცირეწლოვანმა შვილმა მოიტეხა ხელი და იმყოფება სტაციონარულ მკურნალობაზე. შესაბამისად, წერილობითი განცხადებით ითხოვა საქმის განხილვის გადადება, რადგანაც როგორც მცირეწლოვანის

** შენიშვნებისათვის*

დედას, უწევს მუდმივი მეთვალყურეობა და მისი შვილის გვერდით ყოფნა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადებაზე არ დააკმაყოფილა, ჩათვალა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხე ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას, განიხილა საარბიტრაჟო სარჩელი წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა. მოსარჩელე მხარემ 22 თებერვალს მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა არ დაეკმაყოფილებინა საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, რადგანაც მას არ მიეცა შესაძლებლობა დაეცვა საკუთრი ინტერესები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ცნობს და აღასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რადგანაც საარბიტრაჟო მოპასუხეს თავისი პოზიცია სარჩელთან დაკავშირებით გამოხატული ჰქონდა საარბიტრაჟო შესაგებელში;
ბ. შეაჩერებს საქმის განხილვას და დაელოდება საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ამოწურვას;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს სარჩელს;
დ. არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ

** შენიშვნებისათვის*

157. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა საკრედიტო დაწესებულების საარბიტრაჟო სარჩელი ფიზიკური პირის მიმართ სასესხო დავალიანების გადახდევინების შესახებ. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებული იყო ელექტრონულად და ხელშეკრულება მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარუდგენია და არც არბიტრაჟს კომპეტენციის არარსებობაზე განუცხადებია. ტრიბუნალმა, შესაბამის მტკიცებულეებბზე დაყრდნობით საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა. მოსარჩელემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. საარბიტრაჟო მოპასუხეს არც სააპელაციო სასამართლოსათვის განუცხადებია რაიმე სახის პრეტენზია საარბიტრაჟო განხილვის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო:

ა. ცნობს და აღასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ დაკარგა შედავების უფლება;
ბ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და თავად განიხილავს მოთხოვნას მსესხებლის წინააღმდეგ;
გ. გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და მხარეებს წარმართავს პირველი ინსტანციის სასამართლოში;
დ. გადადებს განხილვას და განმეორებით მოითხოვს საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიციას საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობის თაობაზე.

** შენიშვნებისათვის*

158. **უცხოურ და საქართველოს კომპანიებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საქართველოს კომპანიამ (მყიდველი) უცხოურ კომპანიას (გამყიდველი) დაუკვეთა გარკვეული პროდუქციის მოწოდება და ივალდებულა გადაეხადა შეთანხმებული საზღაური. ხელშეკრულება შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება არბიტრაჟის მიერ ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი ლონდონი. საარბიტრაჟო დათქმა არ ითვალისწინებს კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა. უცხოურმა კომპანიამ (გამყიდველი) საქართველოს კომპანიასთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ შესთავაზა მას შეთანხმება არბიტრის კანდიდატურაზე. მყიდველმა (ქართული კომპანია) არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მხარეთა შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ინგლისის კანონმდებლობის („არბიტრაჟის შესახებ“ ინგლისის 1996 წლის აქტი) შესაბამისად, უცხოურმა კომპანიამ მიმართა ინგლისის სასამართლოს არბიტრის დანიშვნის შესახებ და მიუთითა, რომ დავის საგანია ხელშეკრულების შეწყვეტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის არსებული**

* *შენიშვნებისათვის*

ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად, დაინიშნა ერთპიროვნული არბიტრი. არბიტრის მიერ მიღებული იქნა პროცედურული ბრძანება, რომლითაც დადგინდა პროცესის მიმდინარეობის განრიგი. აღნიშნულის მიხედვით, მყიდველს (საქართველოს კომპანია) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხი უნდა წარედგინა მისი ელექტრონული ფორმით ჩაბარებიდან 30 დღეში ან ამ ვადის გასვლამდე 2 დღით ადრე მაინც მოეთხოვა ხსენებული ვადის გახანგრძლივება. მყიდველს არბიტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხი (შესაგებელი) არ წარუდგენია. არბიტრმა კვლავ მიიღო პროცედურული ბრძანება და მყიდველს დამატებით ორი კვირით გაუხანგრძლივა შეპასუხების წარდგენის ვადა. მყიდველს (ქართული კომპანია) საკუთარი პოზიცია არც ამ ვადაში წარუდგენია არბიტრისათვის. არბიტრის მიერ დამატებით მიცემული ორკვირიანი ვადის ბოლო დღეს მყიდველმა ითხოვა შესაგებლის წარდგენის ვადის გაგრძელება, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული არბიტრის მიერ იმ საფუძვლით, რომ მყიდველმა (ქართული კომპანია, მოპასუხე) მის წინააღმდეგ პროცესის დაწყების შესახებ იცოდა ჯერ კიდევ არბიტრის ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშვნამდე საკმაო ხნით ადრე, როდესაც მას ჩაბარდა საარბიტრაჟო პრეტენზია და ყველა დოკუმენტაცია და კორესპოდენცია და ჰქონდა საშუალება, რათა უზრუნველეყო სათანადო წარმომადგენლობა დავაში. ამის შემდგომ არბიტრმა დანიშნა საქმის ზეპირი მოსმენა და

** შენიშვნებისათვის*

მოპასუხე (ქართული კომპანია) მიიწვია ზეპირ მოსმენაზე. მოპასუხე ზეპირ მოსმენაზე არ გამოცხადდა და არც რაიმე სახის მტკიცებულება წარუდგენია არბიტრისათვის, შესაბამისად არ ისარგებლა შესაგებლის წარდგენის უფლებით. არბიტრის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე მხარეს დაეკისრა საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული თანხა, აგრეთვე საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

უცხოურმა კომპანიამ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ინგლისელი არბიტრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა. ქართულმა კომპანიამ (მყიდველი, მოპასუხე) უზენაესი სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვას და რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრული იყო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. ქართული კომპანია ამასთანავე მიუთითებდა, რომ არბიტრმა მას არ მისცა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლო:

ა. ცნობს და აღასრულებს ინგლისის არბიტრის გადაწყვეტილებას;

** შენიშვნებისათვის*

ბ. დაეთანხმება არბიტრის კომპეტენციას, რადგანაც დანიშნული იყო ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ უარს იტყვის აღსრულებაზე, რადგანაც მხარეს შეეზღუდა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;

გ. უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგანაც არბიტრი გასცდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;

დ. უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგანაც არბიტრი გასცდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს და, ამასთან, მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება კონკრეტულ არბიტრაჟზე.

159. დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის მიერ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად, UNCITRAL-ის რეგლამენტის საფუძველზე განხილული იქნა მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის საარბიტრაჟო სარჩელი ს.ს. „რუსთავის ფოლადის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ჩარხის საფასურის, 327 456 გირვანქა სტერლინგის დაკისრების შესახებ. საქმის ზეპირ მოსმენაზე საარბიტრაჟო მოპასუხე, მიუხედავად სათანადო წესით ინფორმირებულობისა, არ გამოცხადდა და არც საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სარჩელი დააკმაყოფილა. ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ აღასრულა. მანჩესტერის მანქანათმშენებელმა ქარხანამ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საარბიტრაჟო გა-

** შენიშვნებისათვის*

დაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა ასევე ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო განხილვაზე უნდა გამგზავრებულიყო კომპანიის იურისტი, რომელიც ლონდონში გამგზავრების წინ დააწვინეს სამშობიაროში და ნაადრევი მშობიარობით შეეძინა შვილი. ამასთანავე, სააქციო საზოგადოების მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარედგინა მტკიცებულებები, რომ მის მიერ შეძენილი ჩარხის საფასური იყო ბევრად ნაკლები და რომ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანა მოსარჩელის მიერ წარდგენილი არასწორი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა გამოკვლევა არბიტრაჟს არ განუხორციელებია. ამასთანავე მიუთითა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადახდო საშუალებას წარმოადგენს ლარი და რომ უცხოურ ვალუტაში ნებისმიერი თანხის დაკისრება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. შესაბამისად, ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ იშუამდგომლა არ დაკმაყოფილებულიყო მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და, თავის მხრივ, იშუამდგომლა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მას, როგორც საარბიტრაჟო პროცესის მონაწილეს საპატიო მიზეზის გამო (წარმომადგენლის ნაადრევი მშობიარობა) არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი პოზიცია, რის გამოც დარღვეულია მხარეთა თანასწორობის შესახებ UNCITRAL-ის რეგლამენტის და „საერთაშორისო

** შენიშვნებისათვის*

კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის ფუნდამეტური პრინციპები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს უზენაესი სასამართლო:

ა. გაიზიარებს ს.ს. „რუსთავის ფოლადის“ არგუმენტებს და გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, შესაბამისად არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;
ბ. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;
გ. შეაჩერებს საქმის განხილვას მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის შუამდგომლობაზე და განიხილავს ს.ს „რუსთავის ფოლადის“ შუამდგომლობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ;
დ. შეაჩერებს საქმის განხილვას მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის შუამდგომლობაზე, ს.ს „რუსთავის ფოლადის“ შუამდგომლობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ტერიტორიული განსჯადობით გადაუგზავნის ლონდონის საქალაქო სასამართლოს და კანონით დადგენილი ვადების დაცვით დაელოდება ამ გადაწყვეტილებას.

** შენიშვნებისათვის*

კაზუსები

I. საარბიტრაჟო შეთანხმება

1. მსესხებლის მიერ აღებული სესხის დაბრუნების საგარანტიო უზრუნველყოფის მიზნით შპს „ა“-მ საკრედიტო დაწესებულებასთან გააფორმა თავდებობის ხელშეკრულება, რომელშიც არსებობს შემდეგი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმა:

   ,,მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის დავას განიხილავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,,პროგრესი“. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებული საარბიტრაჟო დაწესებულება იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება დავას განიხილავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „განთიადი“.

არის თუ არა ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმება კანონშესაბამისი?

2. საბანკო დაწესებულებასა და ფიზიკურ პირს შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მუხლი წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომლის მიხედვით, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3500 ლარს, მხარეთა შორის წარმოშობილ დავას განიხილავს კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება (დასახელება მითითებულია), ხოლო

** შენიშვნებისათვის*

თუ დავის საგანი მითითებულ თანხაზე მეტია, საბანკო დაწესებულება უფლებამოსილია მიმართოს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. მსესხებელმა მოითხოვა საარბიტრაჟო დათქმის ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და შესაბამისი სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო?

3. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, კონკრეტული სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის წარმოშობის შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ აღემატება 2000 ლარს, დავას განიხილავს სასამართლო და მხარეები თანხმდებიან რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუყოვნებლივ. ამასთანავე, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2000 ლარს, ბანკს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟს. ამ შემთხვევაში დავას განიხილავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, „დავების განმხილველი ცენტრი“ სარჩელის შეტანის მომენტში მოქმედი დებულების შესაბამისად.

არის თუ არა ასეთი საარბიტრაჟო დათქმა უნაკლო?

4. საბანკო დაწესებულებასა და მსესხებელს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგი სახის საარბიტრაჟო შეთანხმებას:

** შენიშვნებისათვის*

„ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულებების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მიუხედავად, წინამდებარე გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების . . . . პუნქტით განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში, კლიენტი სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში, ხოლო სადავო საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს . . . . (შემდგომში-მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. ან მის სამართალმემკვიდრეს. საარბიტრაჟო განხილვა მოხდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების . . . . პუნქტში მოცემული დებულების შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვა ჩა-

* *შენიშვნებისათვის*

ტარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (კანონმდებლობის) შესაბამისად და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/ დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ პუნქტით და ხელშეკრულების დანართი N1 -ის . . . პუნქტში განსაზღვრულ საარბიტრაჟო შთანხმებასთან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთახმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული. არბიტრაჟის მეშვეობით დავის განხილვის პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ის . . . პუნქტში.

ხელშეკრულებიდან (მათ შორის მისი დანართებიდან) ან/ და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერი დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100000 (ასიათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში მხარეთა შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს თავად მუდმივმოქმედი სასამართლოს თავჯდომარე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან;

* *შენიშვნებისათვის*

თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 100000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, მხარეთა შორის დავა განიხილება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან დანიშნული 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელთაგან თითო არბიტრს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტის/დებულების შესაბამისად ნიშნავს თითოეული მხარე. ხოლო მესამე არბიტრს - მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან;

მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების დღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მოპასუხე - მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში (თუ მოპასუხე წარმოდგენილია ერთზე მეტი პირით, მაშინ ვადის ათვლა დაიწყება საარბიტრაჟო სარჩელის ერთ-ერთი მათგანისთვის (ყველაზე ადრე ჩაბარების გათვალისწინებით) ჩაბარების შემდეგი დღიდან. თუ კი საარბიტრაჟო დავაში რომელიმე მხარე მონაწილეობს ერთზე მეტი პირი, მათ ერთობლივად უნდა ისარგებლონ არბიტრის დანიშვნის უფლებით;

მესამე არბიტრის, რომელიც ამავე დროს იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, დანიშვნის უფლებას მხარეები გადასცემენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც არბიტრს ნიშ-

* *შენიშვნებისათვის*

ნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს ხელშეკრულების დანართი N1-ის 8.4.2.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ჩაითვლება რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით და რომ არბიტრის დანიშვნის უფლებას იგი გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარე არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან, შესაბამისი მხარის მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არბიტრის დანიშვნის თანადროულად შესაბამისმა მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს უნდა წარუდგინოს არბიტრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა არბიტრობაზე;

მოვალეობის შესრულების შუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შუწყდება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მუდმივმოქმედი სასამართლოს თავჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი მხარის დასაბუთებული წერილობითი განცხადებით;

მხარეს, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს მუდმივმოქმედი არბი-

** შენიშვნებისათვის*

ტრაჟის სასამართლოს თავჯდომარეს და არბიტრებს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც გახდა არბიტრის აცილების საფუძველი. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე დაეთანხმა აცილებას მისთვის არბიტრის აცილების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასარმართლოს თავჯდომარე ამ ვადი ამოწურვიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავჯდომარის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ გასაჩივრდება და მხარეები თანხმდებიან არბიტრის აცილების მოთხოვნით მიმართინ სასამართლოს;

არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან აცილებიდან/თვითაცილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ამგვარი არბიტრის ნაცვლად არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავჯდომარე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა ნუსხიდან;

საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით

---

* *შენიშვნებისათვის*

მიმართოს მუდმივმოქმედი არბიტაჟის სასამართლოს თავმჯდომარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას აქვს სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს შესაბამისად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ მათი ცნობა არ არის საჭირო;

საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება მოპასუხისათვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემის მომენტიდან;

თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება:

50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.

20000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვცნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით)

** შენიშვნებისათვის*

უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.

საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო თუ სხვა მოსაკრებელს და გადასახდელს გადაიხდის/აანაზღაურებს და ხარჯებს გაიღებს/აანაზღაურებს წაგებული მხარე;

მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო სარჩელზე შესაგებელი/შეპასუხება წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შესაგებელზე/შეპასუხებაზე;

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს საარბიტრაჟო სარჩელის განხილვის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობთ გათვალისწინებული ვადისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში საარბიტრაჟო გადაწყვეტრილება, რომელიც სხვა აუცილებელ შემადგენელ ნაწილებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე სამოტივაციო ნაწილს, უნდა გადასცეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სასამართლოს თავ-

* *შენიშვნებისათვის*

მჯდომარეს, რომელი გადაწყვეტილებაც უნდა გადაეცეს მხარეს მისი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისთანავე.“

არის თუ არა ასეთი საარბიტრაჟო დათქმა უნაკლო?

5. ფიზიკურმა პირმა მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ და მოითხოვა საკრედიტო ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო. მოპასუხეს შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრა 10 დღის ვადა. შესაგებელი წარდგენილი იქნა 5 დღის ვადაში, ხოლო სასამართლო გზავნილის მიღებიდან მე-10 დღეს წარადგინა შუამდგომლობა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ საკრედიტო ხელშეკრულებაში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა, რომლის მიხედვით საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მიერ, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო წარმოების წესებით (დებულება).

რა გადაწყვეტილება მიიღებს სასამართლო მოპასუხის შუამდგომლობაზე?

დადებით შემთხვევაში ჩამოაყალიბეთ შესაბამისი საპროცესო აქტი.

6. საბანკო დაწესებულებას და შპს „კერამიკას“ შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ხელშეკრულება უზრუნველყოფილი იქნა შპს „კერამიკას“

** შენიშვნებისათვის*

დირექტორის თავდებობით. საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია შპს „კერამიკას“ დირექტორის მიერ, შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. ასეთი დათქმა არ არის თავდებობის ხელშეკრულებაში, მაგრამ მას ხელს აწერს შპს „კერამიკას“ დირექტორი. საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო საბანკო დაწესებულებამ მიმართა საკრედიტო ხელშეკრულებით მხარეთა მიერ შეთანხმებულ არბიტრაჟს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

7. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა მხარეთა მიერ შეთანხმებულ არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, რომლის თანახმად მის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ სცნო იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არის ბათილი და მიუთითა, რომ ერთობლივი საქმიანობის დადების შესახებ ასეთი ხელშეკრულების დადებას ესაჭიროებოდა ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება. შესაბამისად მიიჩნია, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია, რადგანაც, მისი მოსაზრებით არბიტრაჟი ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე საარბიტრაჟო სარჩელს არ უნდა იხილავდეს.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

8. კატოვიცეს (პოლონეთი) სამკერვალო გაერთიანებამ გორის ბამბეულის კომბინატს დაუკვეთა ბამბის ნართის დიდი პარტია და წინასწარ გადაიხადა მისი საფასური. მხარეთა შორის კლასიკური სახით წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა - ურთიერთობა დამყარდა ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერის გზით. გამყიდველმა, გორის ბამბეულის კომბინატმა საწარმოო პრობლემებიდან გამომდინარე, დათქმულ ვადაში ვერ უზრუნველყო მყიდველისათვის სასურველი ნაწარმის მიწოდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ მყიდველმა გამყიდველს ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეატყობინა, რომ აღარ სურს მასთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება და მოითხოვა წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნება და საურავის გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და მისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვისაც. გორის ბამბეულის კომბინატმა აღნიშნული მოთხოვნა არ შეასრულა. კატოვიცეს სამკერვალო გაერთიანებამ „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“ ვენის კონვენციის ნორმებზე დაყრდნობით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს. გორის ბამბეულის კომბინატმა წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითა, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ გაფორმებულა. ამასთანავე აღნიშნა, რომ ვალდებულება არ შეუსრულებია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და თანხმობა განაცხადა დაუბრუნოს

** შენიშვნებისათვის*

მყიდველს მხოლოდ მის მიერ გადახდილი საფასური და უარი განაცხადა რაიმე სახის სანქციის დაკისრებაზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

9. შპს „განთიადმა“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ს.ს. „პროგრესის“ წინააღმდეგ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნით. მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება. მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში არსებობდა შემდეგი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმა: „ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება სადავო ხელშეკრულებასთან უნდა იქნეს გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, ამ წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრის მიერ“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ შეწყვიტა საქმის წარმოება. შპს „განთიადმა“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა მითითებული განჩინება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

10. მხარეთა შორის დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნა საარბიტრაჟო დათქმა. მენარდის მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულება დამკვეთმა ვადაზე ადრე შეწყვიტა და მენარდეს მოსთხოვა ავანსად გადახდილი თანხის

** შენიშვნებისათვის*

დაბრუნება. მენარდის მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო დამკვეთმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მენარდემ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის არარსებობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შეწყვეტილია თავად დამკვეთის მიერ და რომ მისი შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი ვრცელდება საარბიტრაჟო დათქმაზეც. ამასთანავე აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება ვერ შეასრულა საქართველოში კორონავირუსის გავრცელების გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, მას არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და, ამასთან, მხარეთა შორის არ არსებობს არც საარბიტრაჟო შეთანხმება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

11. ლუდის წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის მოწოდების შესახებ ბრემენის (გერმანია) საფუარის ქარხანას და თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებას შორის 2005 – 2018 წლებში დადებული 7 კონტრაქტიდან შვიდივე ითვალისწინებდა კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავის საარბიტრაჟო წესით განხილვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო წარმოების წესებით (DRC-ის დებულება) საქართველოს მატერიალური სამართლის გამოყენებით. მხარეთა შორის 2019 წელს დაი-

** შენიშვნებისათვის*

დო მორიგი კონტრაქტი, რომელიც არ ითვალისწინებდა კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესს. მხარეთა შორის დავა წარმოიშვა 2019 წელს გაფორმებული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით - გამყიდველმა, ბრემენის საფუარის ქარხანამ თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებას კონტრაქტით გათვალისწინებული ნედლეული არ მოაწოდა, თუმცა მისი საფასური მყიდველის მიერ სრულად იყო გადახდილი. თბილისის ლუდის საწარმოო გაერთიანებამ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედი არბიტრაჟს, „დავების განმხილველ ცენტრს“ (DRC). ბრემენის საფუარის ქარხანამ იშუამდგომლა საარბიტრაჟო განხილვის შესწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ დადებულა და რომ დავა უნდა განიხილოს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გერმანიის სამართლის ნორმების (ვენის 1980 წლის საერთაშორისო კონვენციის ნორმების თავისებურებების გათვალისწინებით) და არა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

12. საბანკო დაწესებულებას და ფიზიკურ პირს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომელშიც იყო საარბიტრაჟო დათქმა. კრედიტის გაცემა უზრუნველყოფილი იქნა მსესხებლის ახლობლის თავდებობით. თავდებობის ხელშეკრულებით თავდები გარანტად დაუდგა კრედიტის ამღებს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-

** შენიშვნებისათვის*

ლებების შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული იქნა კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულება. მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შესახებ მსესხებლის და თავდები პირის უშედეგო გაფრთხილების შემდეგ ბანკმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. თავდებმა პირმა არ ცნო საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია და განაცხადა, რომ მას კრედიტორთან არ დაუდია საარბიტრაჟო შეთანხმება და სურს მისი დავა განიხილოს სასამართლომ. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტზე და აღნიშნა, რომ თავდებობის ხელშეკრულებაში კონკრეტულადაა მითითებული, რომ თავდებმა იკისრა საბანკო კრედიტის საფუძველზე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და რომ მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულებაა მითითებული. შესაბამისად, ბანკმა მიიჩნია, რომ თავდებობის ხელშეკრულება არის საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და რომ თავდებობის ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება საკრედიტო ხელშეკრულების პირობებიც.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

13. მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა კონკრეტული საქონელი მყიდველის მიერ

** შენიშვნებისათვის*

საბანკო დაწესებულებაში გამოუხმობადი აკრედიტივის გახსნიდან 15 დღის ვადაში. ხელშეკრულება მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმასაც. გამყიდველი არ დაელოდა მყიდველის მიერ აკრედიტივის გახსნას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდა მყიდველს, რომელმაც უარი განაცხადა მის მიღებაზე. გამყიდველმა მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ ცნო არბიტრაჟის კომპეტენცია და მიუთითა, რომ ხელშეკრულება არ შესულა ძალაში, რადგანაც მას არ გაუხსნია აკრედიტივი, რაც მისი მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლას ნიშნავდა და, შესაბამისად, მისი მოსაზრებით არც საარბიტრაჟო დათქმას გააჩნდა იურიდიული ძალმოსილება.

გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი

14. ზალცბურგის (ავსტრია, მყიდველი) სასურსათო კომბინატს და ს.ს. ზუგდიდის ჩაის საწარმოო გაერთიანებას (გამყიდველი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს 110 ტონა პირველი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. მყიდველმა ავანსის სახით გადაიხადა საქონლის ღირებულების 40%. გამყიდველმა სახელშეკრულებო ვალდებულება არ შეასრულა. მყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს (GIAC).

* *შენიშვნებისათვის*

გამყიდველმა იშუამდგომლა საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის მოტივით და მიუთითა, რომ მართალია ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მისი შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი განსახილველად უნდა გადაეცეს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ არბიტრაჟს, მაგრამ არ არის მითითებული არც დავის განხილვის ადგილის (ქვეყანა) და არც საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო განხილვის წესების შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს არბიტრაჟი

** შენიშვნებისათვის*

II. არბიტრაჟის კომპეტენცია

15. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა მხარეთა მიერ შეთანხმებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, ამასთან, დანიშნა არბიტრი. ს.ს. „პროგრესმა“ ამასთანავე, განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

16. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, რომლის თანახმად მის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ სცნო უსაფუძვლობის მოტივით. ამასთან, შესაგებელში აღნიშნა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენ-

** შენიშვნებისათვის*

ცია, რადგანაც, მისი მოსაზრებით არბიტრაჟი უნდა იხილავდეს მხოლოდ ქონებრივ დავებს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

17. სამშენებლო ორგანიზაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად სამშენებლო ორგანიზაციამ ივალდებულა შეესრულებინა გარკვეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ხელშეკრულებით არ განსაზღვრულა შესაძლო დავის გადამწყვეტი ორგანო. დამკვეთმა შესრულებელს არ გადაუხადა თანხა და მიიჩნია, რომ მენარდემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რის გამოც შესრულებული სამუშაოს საფასური არ უნდა ანაზღაურებულიყო ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე. მენარდემ დამკვეთს წერილობით აუხსნა, რომ დამკვეთის პრეტენზიები უსაფუძვლო იყო და შესთავაზა სადავო საკითხის გადასაწყვეტად მიემართათ კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულებისათვის. მიღებულ წერილობით წინადადებას დამკვეთი დათანხმდა და საპასუხო წერილით მენარდეს დაუდასტურა მისი თანხმობა მენარდეს მიერ მითითებული არბიტრაჟისათვის მიმართვის თაობაზე. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, მენარდეს სარჩელის საფუძველზე მიიღო საქმის მასალების შესაბამისი გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მენარდემ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიმართა სააპელაციო სასამართლოს.

** შენიშვნებისათვის*

ჰქონდა თუ არა არბიტრაჟს მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია?

18. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საqმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა შეთანხმებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენისათვის გასაზღვრული ვადის ამოწურვამდე არბიტრაჟში წარადგინა განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მოცემულ განცხადებას უპასუხა მხოლოდ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

სწორია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება?

19. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, ამასთან, დანიშნა არბიტრი.

** შენიშვნებისათვის*

ს.ს. „პროგრესმა“ ამასთანავე, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას არბიტრაჟის კომპეტენციის არარსებობის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქალაქო სასამართლო?

20. შპს „განთიადს“ და ს.ს. „პროგრესს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში არსებობს საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო შპს „განთიადმა“ მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი, რომლის თანახმად მის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ სცნო უსაფუძვლობის მოტივით. ამასთან, შესაგებელში აღნიშნა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

21. საქართველოს ორ კერძო სტრუქტურას შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, მხრეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა თუ ნამდვილობის შესახებ, განსახილველად და მისი გადაწყეტისათვის უნდა გადასცემოდა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, შპს „დავების

** შენიშვნებისათვის*

განმხილველ ცენტრს“ (მიეთითა საიდენტიფიკაციო ნომერიც) ან, მხარეთა შეთანხმებით, სხვა საარბიტრაჟო დაწესებულებას. ნარდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით დამკვეთმა მენარდის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ სადავოდ გახადა არბიტრაჟის კომპეტენცია და მიუთითა, რომ მხარეებს შორის არ არსებობს საბოლოო შეთანხმება საარბიტრაჟო დაწესებულესთან დაკავშირებით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით

22. საბანკო დაწესებულებას და მსესხებელს შორის დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საარბიტრაჟო დათქმას. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ მისი პირობები ვრცელდებოდა შემადგენელ საკრედიტო ხელშეკრულებებზეც. გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება და მსესხებელს მიეცა კრედიტი. საკრედიტო ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის წესი. საკრედიტო ხელშეკრულება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო კრედიტის გამცემის მიერ ვადაზე ადრე იქნა შეწყვეტილი. საბანკო დაწესებულებამ შესაბამისი სარჩელით მიმართა გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინე-

** შენიშვნებისათვის*

ბულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მსესხებელმა მიმართა საქალაქო სასამართლოს არბიტრაჟის კომპტენციის არარსებობის აღიარების და ხელშეკრულების მოქმედების აღდგენის მოთხოვნით. საბანკო დაწესებულებამ მოითხოვა საქმის განხილვის შეწყვეტა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მინიშნებით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქალაქო სასამართლო?

23. მხარეებმა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს საარბიტრაჟო დათქმა. შემოსავლების სამსახურმა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმებასთან დაკავშირებით კონტრაქტორ მხარეს დაარიცხა ფულადი თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

აქვს თუ არა არბიტრაჟს კომპეტენცია განიხილოს ასეთი კატეგორიის დავა?

24. ფიზიკურ პირს და შპს კომპანია „ა“-ს შორის გაფორმებული შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებულია საარბიტრაჟო დათქმა და განსაზღვრულია კონკრეტული, იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულება და მხარეთა შორის ინდივიდუალური შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში განსაზღვრულია ასეთი დავის განხილვა ამ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესებით. მითითებული საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე ფიზიკურმა პირმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ინდივიდუალუ-

** შენიშვნებისათვის*

რი შრომითი დავის გადასაწყვეტად. მოცემული დავის განსახილველად დაინიშნა საარბიტრაჟო ტრიბუნალი. საარბიტრაჟო მოპასუხემ განცხადებით მიმართა საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მიუთითა, რომ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს არ გააჩნდა მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია. საარბიტრაჟო მოპასუხის არგუმენტები იყო შემდეგი: საარბიტრაჟო მოპასუხის (შპს კომპანია „ა“) წილის გარკვეული პროცენტის მფლობელი არის შპს „ბ“. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი პარტნიორი ამავდროულად არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, რომლის საარბიტრაჟო წარმოების წესების მიხედვითაც იხილება მოცემული დავა, (შპს „გ“) წილის გარკვეული ოდენობის მფლობელი, ხოლო შპს „ბ“-ს წილის გარკვეული ნაწილის მფლობელის (სხვა პარტნიორის, რომელიც არ არის შპს „გ“-ში პარტნიორი) მეუღლე არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, შპს „გ“-ს დირექტორი.

გააჩნია თუ არა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების შესაბამისად შექმნილ საარბიტრაჟო ტრიბუნალს მოცემული კონკრეტული დავის განხილვის კომპეტენცია?

სამართლებრივად რამდენად სწორად არის დაყენებული საკითხი?

25. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს შორის დადებულია სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულება უზრუნველყოფილია მესამე პირის თავდებობით და ასევე მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქონების იპოთე-

** შენიშვნებისათვის*

კით. მხარეთა შორის დადებული სესხისა და თავდებობის ხელშეკრულებები შეიცავს ასეთი შინაარსის საარბიტ-რაჟო დათქმას: „წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნე-ბისმიერი დავა, მათ შორის, ნებისმიერი საკითხი ხელშეკ-რულების, მისი ცალკეული ნაწილის ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ, რომლის ღირებულება (დავის საგანი) აღემატება 3000 (სამი ათასი) ლარს, უნდა იქნეს გადაწყვეტილი არ-ბიტრაჟის მიერ, კერძოდ არბიტრაჟი ,,დავების განმხილ-ველ ცენტრი"-ის (ს/კ 204547348) მიერ საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღისათვის მოქმედი საარბიტრაჟო წარმოების წესების (დებულების) შესაბამისად. საარბიტ-რაჟო განხილვის ადგილად განსაზღვრული იქნეს ქალაქი თბილისი, ხოლო წარმოების ენად - ქართული". ამავდრო-ულად, იპოთეკის ხელშეკრულება, პუნქტი: „იპოთეკარის ინტერესების დაკმაყოფილება", ითვალისწინებს იპოთე-კარის დაკმაყოფილების კონკრეტულ ჩამონათვალს:

იპოთეკით უზრუნველყოფილი რომელიმე ვალდებუ-ლების დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში „იპოთეკარი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის საგნიდან საქართველოს კა-ნონმდებლობის შესაბამისად და ამ მიზნით განახორცი-ელოს ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებათაგან ნებისმიე-რი:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის

** შენიშვნებისათვის*

შესაბამისად პირდაპირ მიიღოს საკუთრებაში იპოთეკის საგანი, თუ „იპოთეკარი“ და „მესაკუთრე“ ამის თაობაზე წერილობით მიმართავენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „საჯარო რეესტრი“);

- იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს აუქციონის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, „მესაკუთრე“ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ აუქციონის ორგანიზება უზრუნველყოს სპეციალისტმა, რომელიც ამავე დროს არის „იპოთეკარი“. სპეციალისტის ანაზღაურება შეადგენს სარეალიზაციო ქონების 2%-ს (აუქციონის ორგანიზება და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე - 309-ე მუხლებით);
- იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს სასამართლოსათვის მიმართვის და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებით აღსრულების გზით.

იპოთეკის ხელშეკრულების შემდეგი პუნქტის თანახმად განსაზღვრულია, რომ:

„თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები საკმარისი არ იქნება იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს მოთხოვნის ოდენობას, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად

* *შენიშვნებისათვის*

ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის საგნის ღირებულების ამ იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით. შესაბამისად, თუ ამონაგები თანხა არ ფარავს სრულად „იპოთეკარის“ მოთხოვნას, „იპოთეკარი“ იტოვებს უფლებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მსესხებლის და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა ქონებით. იგივე გავრცელდება იმ ხარჯებზეც და დანახარჯებზეც, რაც შეიძლება წარმოიშვეს იპოთეკის საგნის რეალიზაციის პროცესში. სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების, 7500 ლარის გადახდის თაობაზე მსესხებლის, თავდების და იპოთეკის საგნის მესაკუთრის უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, გამსესხებელმა საარბიტრაჟო სარჩელით მოითხოვა: სესხის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, მოპასუხეთათვის დავალიანების თანხის, საპროცენტო სარგებლის და მიუღებელი შემოსავლის, აგრეთვე გაწეული ხარჯის: საარბიტრაჟო სარჩელზე გადახდილი მოსაკრებლის და სარჩელის ასლების მომზადებისათვის გაწეული საფასურის სოლიდარულად დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნას აგრეთვე შეადგენს იპოთეკის საგნის რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგებით მსესხებლის ვალდებულების დაუფარაობის შემთხვევაში აღსრულების მიქცევა მსესხებლისა, თავდებების და იპოთეკის საგნის მესაკუთრის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებებზე. არც ერთ საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებლის ან/და არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განცხადების წარდგენის უფლებით არ უსარგებლია.

** შენიშვნებისათვის*

აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს კომპეტენცია განიხილოს საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ?

26. საქართველოს ორ კერძო სტრუქტურას შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, მხრეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა თუ ნამდვილობის შესახებ, განსახილველად და მისი გადაწყეტისათვის უნდა გადასცემოდა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, შპს „დავების განმხილველ ცენტრს“ (მიეთითა საიდენტიფიკაციო ნომერიც) ან, მხარეთა შეთანხმებით, სხვა საარბიტრაჟო დაწესებულებას. ნარდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით დამკვეთმა მენარდის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, შპს „დავების განმხილველ ცენტრს“. საარბიტრაჟო მოპასუხემ სადავოდ გახადა არბიტრაჟის კომპეტენცია და მიუთითა, რომ მხარეებს შორის არ არსებობს საბოლოო შეთანხმება საარბიტრაჟო დაწესებულესთან დაკავშირებით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით

27. მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა გამყიდველისაგან შეი-

** შენიშვნებისათვის*

ძინა 1000 ტონა დიზელის საწვავი. მხარეთა შორის განისაზღვრა ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა: მიწოდების ვადები და საშუალება, ფასი, ანგარიშსწორების წესი. ხელშეკრულება მოიცავდა ასევე საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების საქართველოს სავაჭრო-სამრეწველოსთან არსებული არბიტრაჟის საარბიტრაჟო განხილვის წესების მიხედვით განხილვის შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს რამდენიმე ეტაპად მიაწოდა 1800 ტონა დიზელის საწვავი. მყიდველმა ნასყიდობის საგანი მიიღო, ნაწილი მოიხმარა, ხოლო დანარჩენი გაყიდა სხვა მომხმარებელზე, ოღონდ ანგარიშწორება გამყიდველთან არ განახორციელა. გამყიდველმა მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას არ ითვალისწინებდა, რის გამოც მიაჩნდა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა დავის განხილვის კომპეტეცია.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი

28. დამკვეთსა და მენარდეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს მიერ გაცემულია საბანკო გარანტია, რომელშიც მითითებულია, რომ გაცემულია დამკვეთსა და მენარდეს შორის

** შენიშვნებისათვის*

დადებული ნარდობის კონკრეტული ხელშეკრულებით მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საბანკო გარანტია არ მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას და გარანტსა და დამკვეთს შორის არც არასდროს დადებულა დამოუკიდებელი საარბიტრაჟო შეთანხმება. მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დამკვეთმა გარანტისაგან მოითხოვა საბანკო გარანტიის განაღდება. ბანკმა კონკრეტულ საფუძვლებზე მითითებით უარი განაცხადა საბანკო გარანტიის განაღდებაზე. დამკვეთმა მიმართა მასსა და მენარდეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებაში მითითებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოპასუხედ მიუთითა ს.ს. „თიბისი ბანკი“. ამ უკანასკნელმა არ სცნო არბიტრაჟის კომპეტენცია და მიუთითა, რომ მას არასდროს განუცხადებია თანხმობა დავის საარბიტრაჟო განხილვის შესახებ და, მით უმეტეს, ის არ შეთანხმებულა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე.

გააჩნია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია

29. მხარეთა საარბიტრაჟო დათქმით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა ადვოკატმა, რომელიც შპს „წარმატებას“ უწევდა საადვოკატო და საკონსულტაციო მომსახურებას შესაბამისი ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა. უკანასკნელად, ხელშეკრულების

** შენიშვნებისათვის*

მოქმედების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 1 ივლისამდე. 2019 წლის 1 მარტს შპს „წარმატებამ“ ელექტრონული წერილით აცნობა ადვოკატს, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 1 ივლისის შემდეგ აღარ გაგრძელდებოდა. ადვოკატმა მიიჩნია, რომ თავისი შინაარსით ხელშეკრულება შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შემცველიც იყო და რომ მოცემულ დავაზე უნდა გავრცელებულიყო შრომის კოდექსის ნორმები და რამდენადაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა ორზე მეტად გაგრძელდა და ხანგრძლივობა აღემატებოდა 30 თვეს, ხელშეკრულება ითვლებოიდა უვადო შრომით ხელშეკრულებად და მისი შეწყვეტის წესიც შრომის კოდექსის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და კომპენსაციის, 1 წლის შრომის ანაზღაურების დაკისრება დამსაქმებლისათვის. საარბიტრაჟო მოპასუხემ უარყო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და მიუთითა, რომ ადვოკატთად დადებული ხელშეკრულება ნარდობის ხელშეკრულებაა და არა შრომითი, შესაბამისად, არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული შრომის კოდექსის ნორმები. ამასთანავე, საარბიტრაჟო მოპასუხემ ეჭვქვეშ დააყენა საარბიტრაჟო დაწესებულების კომპეტენცია და მიუთითა შემდეგი:

- შპს „წარმატებას“ ინფორმაციით საარბიტრაჟო მოსარჩელე მჭიდრო საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდა საარბიტრაჟო დაწესებულებასა და მის არბიტრებთან

** შენიშვნებისათვის*

და რამდენადაც მისთვის ცნობილია, ირიცხებოდა კიდეც საარბიტრაჟო დაწესებულების არბიტრთა სიაში. თუმცა დღევანდელი მონაცემებით იგი, ოფიციალურ ვებ-გვერდზე არბიტრთა სიაში არ იძებნება;

- საარბიტრაჟო მოპასუხეც და მისი წარმომადგენლებიც გამოხატავენ დიდ პატივისცემას საარბიტრაჟო დაწესებულების მიმართ და სწორედ იმ რეპუტაციის გათვალისწინებით, რაც მას გააჩნია, ფიქრობს, რომ სახეზეა აშკარა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, რის გამოც საარბიტრაჟო დაწესებულებამ უარი უნდა თქვას წინამდებარე საარბიტრაჟო დავის განხილვაზე, რომელი კონკრეტული არბიტრიც არ უნდა იყოს ჩართული მის განხილვაში;
- საარბიტრაჟო დაწესებულების შიდა რეგლამეტის მე-7 მუხლი განამტკიცებს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს. კერძოდ, 7.3 პუნქტით, საარბიტრაჟო დაწესებულების სასამართლოს თავმჯდომარეს, სასამართლოს წევრებს და სამდივნოს წევრებს არა აქვთ უფლება გამოვიდნენ მხარის წარმომადგენლად იმ საქმეებში, რომლებიც განიხილება ამ საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. ამავე მუხლის 7.3 პუნქტით, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევად განიხილება, როცა საარბიტრაჟო სასამართლოს რომელიმე წევრი აღმოჩნდება ჩართული რომელიმე საარბიტრაჟო განხილვაში ან წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებით საარბიტრაჟო განხილვის მხარესთან პირადი, ან საქმიანი ურთიერთობიდან ან საქმის შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე;

** შენიშვნებისათვის*

- გარდა ამისა, როგორც საარბიტრაჟო გზავნილიდან გახდა ცნობილი, დავის განმხილველ არბიტრად პირდაპირ დაინიშნა კონკრეტული არბიტრი. მოპასუხე გამოხატავს რა პატივისცემას საქმის განმხილველი არბიტრის პროფესიონალიზმისა და რეპუტაციის მიმართ, იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი პირდაპირი დანიშვნა არ შეესაბამება საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების პირობებს და უკანონოდ ლახავს საარბიტრაჟო მოპასუხის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს არბიტრის შერჩევაში. კერძოდ, დებულების მე-14 მუხლი ითვალისწინებს არბიტრაჟის ფორმირების შესაძლებლობას როგორც 1, ისე 3 არბიტრის მონაწილეობით. 15.2 მუხლით, „იმ შემთხვევაში, თუ დავა უნდა განიხილოს ერთმა არბიტრმა, მხარეებს შეუძლიათ ერთობლივად დაასახელონ არბიტრის კანდიდატურა 15 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი. თუ ამ პროცედურის დაცვით ვერ მოხდება არბიტრის კანდიდატურის წარდგენა, არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო დაწესებულების სასამართლო;
- საგულისხმოა, რომ გარდა პროცედურული მხარისა, არბიტრაჟის კანდიდატურის წარდგენის დროს დებულების 8.1 პრიმა მუხლის თანახმად არბიტრობის კანდიდატები წარადგენენ დეკლარაციას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, სადაც დეტალურად ხდება მითითება ყველა იმ პირადი თუ საქმიანი ურთიერთობისა და კავშირებისა, რომელიც არბიტრს შეიძლება ჰქონდეს დავის მხარესთან, და რამაც შეიძლება გააჩინოს თუნდაც მინიმალური ეჭვი მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში;

** შენიშვნებისათვის*

- არბიტრაჟის და შესაბამისად არბიტრების მიუკერძოებლობის, ნეიტრალიტეტისა და ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ნებისმიერი გარემოების გამორიცხვის ვალდებულებას განამტკიცებს არბიტრთა ეთიკის კოდექსი, რაც არბიტრაჟის დებულების 2.6 მუხლის თანახმად ასევე წარმოადგენს არბიტრაჟის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპს;
- საგულისხმოა, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე ნაწილობრივ გათავისუფლებული იქნა საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან (გადახდილია მხოლოდ 30%) ისე, რომ ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს დებულება და, მეორეც, ამის თაობაზე არც ნამსჯელი და არც რაიმე დასაბუთებული გადაწყვეტილება საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების დროს მიღებული არ არის, რაც შეიძლება მიანიშნებდეს არბიტრაჟის მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ და მის სასარგებლოდ გარკვეულ შეღავათებზე;
- ყველა ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გააჩნია ინფორმაცია (მათ შორის თავის დროზე გაცხადებული თავად საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ) საარბიტრაჟო მოსარჩელისა და არბიტრაჟს/არბიტრებს შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის თაობაზე, შპს „წარმატებას“ მიაჩნია, რომ არბიტრაჟის მიერ თავად უნდა გაკეთდეს მკაფიო დეკლარაცია საარბიტრაჟო მოსარჩელესთან მისი

* *შენიშვნებისათვის*

ნებისმიერი თანამშრომლობისა და შემხებლობის შესახებ და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, მთლიანად არბიტრაჟმა უარი უნდა თქვას დავის განხილვაზე. ასევე არასწორად მიაჩნია საქმის განმხილველი არბიტრის პირდაპირი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაც, რაც დამატებითი მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს მას შემდეგ, რაც გადაწყდება მთლიანობაში არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხი;

- ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაზე უარის შემთხვევაში (მათ შორის თავად საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში), იგი (საარბიტრაჟო მოპასუხე) ადასტურებს თანხმობას დავა განხილილი იქნას საერთო სასამართლოების მიერ კანონით დადგენილი წესით.

რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ერთარბიტრიანმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. ჩაითვლება თუ არა, რომ მას აქვს დავის განხილვის კომპეტენცია

30. სადაზღვევო კომპანია „გარანტმა“ რეზინო-ტექნიკური ნაკეთობების დამამზადებელ საწარმოზე გასცა უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ამ უკანასკნელის მიერ მყიდველის, ს.ს. „მხატვარის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავდა საარბიტრა-

** შენიშვნებისათვის*

ჟო დათქმას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების კონკრეტული, იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ განხილვის შესახებ. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებმა არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანეს მასში. მიმწოდებელმა, რეზინო-ტექნიკური ნაკეთობების დამამზადებელ საწარმომ დაარღვია ხელშეკრულების დამატებით შეთანხმებული პირობები. სადაზღვევო კომპანიამ არ დააკმაყოფილა ს.ს. „მხატვარის“ მოთხოვნა საბანკო გარანტიის განაღდების შესახებ. ს.ს. „მხატვარმა“ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას სადაზღვევო კომპანიის მიმართ. სადაზღვევო კომპანიამ საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინა განცხადება, რომლითაც არ ცნო არბიტრაჟის კომპეტენცია იმ საფუძვლით, რომ მან უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გასცა თავდაპირველი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და მიუთითა, რომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე და რომ შეცვლილი პირობები მასთან არ ყოფილა შეთანხმებული.

იმსჯელეთ არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ

31. მხარეთა შორის 2019 წლის აგვისტოში დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნაძვს“ შპს „ბარაკონისათვის“ 2019 წლის 15 დეკემბრამდე უნდა მიეწოდებინა საახალწლო ნაძვის ხეების დიდი პარტია. ხელშეკრულების თანახმად შპს „ბარაკონმა“ (მყიდველი) შპს

** შენიშვნებისათვის*

„ნაძვს“ წინსწრებით გადაურიცხა შეძენილი საქონლის სრული საფასური. ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, 2019 წლის 15 დეკემბრისათვის შპს „ნაძვს“ სახელშეკრულებო ვალდებულება არ შეუსრულებია. 2019 წლის 16 დეკემბერს ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც პირდაპირ ეთერში დილის 11 საათზე გავიდა, შპს „ბარაკონის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმწოდებელმა დროულად არ უზრუნველყო საახალწლო ნაძვის ხეების მიწოდება, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის მომარაგებას აღნიშნული საქონლით. აღნიშნული ინტერვიუს დასრულებისთანავე შპს „ბარაკონს“ დაუკავშირდა შპს „სიურპრიზი“ და შესთავაზა საახალწლო ნაძვის ხეების განუსაზღვრელი რაოდენობით დაუყოვნებლივი მიწოდება. შპს „ბარაკონი“ ასეთ შეთავაზებას დათანხმდა. ინტერვიუს მომდევნო დღეს, 2019 წლის 17 დეკემბერს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, შპს „ნაძვმა“ შპს „ბარაკონს“ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი კორესპოდენციით მოუბოდიშა ვადის დარღვევის გამო და აცნობა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (საახალწლო ნაძვის ხეები) უკვე დატვირთულია შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე და დილის 9 საათისათვის იქნება დანიშნულების ადგილზე. შპს „ბარაკონმა“, რომელსაც დილით მართლაც მიეწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაძვის ხეების სრული ასორტიმენტი, უარი განაცხადა მათ მიღებაზე. შპს „ბარაკონმა“ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით

** შენიშვნებისათვის*

გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოპასუხის, შპს „ნაძვისაგან“ მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, აგრეთვე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საარბიტრაჟო სარჩელში მოსარჩელემ მიუთითა, რომ მან შეწყვიტა ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგანაც დამატებითი ვადის მიცემას არ ჰქონდა აზრი და რომ მან დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების მიმართ, რადგანაც გააჩნდა პატივსადები მიზეზი - მოსახლეობის დროული უზრუნველყოფა, რაც რეალური საფრთხის წინაშე იყო მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და ამ დროს გამოჩნდა რა კონკრეტული, ალტერნატიული წინადადება საახალწლო ნაძვის ხეების მყისიერი მიწოდების შესახებ, კონტრაქტი ახალ მყიდველთან გააფორმა. შპს „ნაძვმა“ მიიჩნია, რომ კრედიტორმა ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე ბოროტად გამოიყენა ხელშეკრულების შეწყვეტის კანონით მინიჭებული უფლება, ამასთან, ის საფრთხე, რასაც შპს „ბარაკონი“ სატელევიზიო სიუჟეტში აღნიშნავდა, 2019 წლის 18 დეკემბრისათვის უკვე აღარ არსებობდა. შპს „ნაძვმა“ ამასთანავე შეგებებული სარჩელით მიმართა არბიტრაჟს და მორალური ზიანის ანაზღაურება შპს „ბარაკონის“ მიერ მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის. შეგებებული სარჩელის ავტორმა ამავდროულად მიუთითა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა კომპეტენცია განეხილა შპს „ბარაკონის“ სარჩელი, რადგანაც მხარეთა საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

დათქმის თანახმად არბიტრაჟს უნდა გადასცემოდა დავა, რომელიც ხელშეკრულების შესრულებასთან იქნებოდა დაკავშირებული, მოცემული სარჩელი კი ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარეა.

იმსჯელეთ არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ ორივე მოთხოვნის შემთხვევაში

32. მსესხებლის მიერ საკრედიტო დაწესებულებიდან მისაღები საბანკო კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა სხვადასხვა პირის ორი უძრავი ქონება, რაც შესაბამისად აისახა საჯარო რეესტრში. კრედიტის გაცემის შემდეგ მსესხებელთან, ასევე უძრავი ქონების მესაკუთრეებთან წერილობითი ფორმით დადებული იქნა საარბიტრაჟო შეთანხმება. ორივე უძრავი ქონების მესაკუთრე რამდენჯერმე შეიცვალა. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ბანკმა შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება და მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხეებად მითითებული იქნა როგორც მსესხებელი, ასევე სარჩელის აღძვრის მომენტისათვის უძრავი ქონების მესაკუთრეები. ამ უკანასკნელებმა განცხადებით მიმართეს საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ ფორმირებულ სააბიტრაჟო ტრიბუნალს და განაცხადეს, რომ მათ მიმართ საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ გააჩნია კომპეტენცია, რადგანაც მათ არასდროს განუცხადებით თანხმობა საარბიტრაჟო განხილვის შესახებ.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი უძ-რავი ქონების მესაკუთრეებთან მიმართებაში

33. გერმანულ კომპანიას (გამყიდველი) და ქართულ საწარმოს (მყიდველი) შორის დაიდო კონტრაქტი კონკრეტული საქონლის ნასყიდობის შესახებ. კონტრაქტი მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმასაც დავის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, „დავების განმხილველი ცენტრის“ მიერ განხილვის შესახებ. კონტრაქტის თანახმად მყიდველს, მის მომსახურე ბანკში უნდა გაეხსნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2007 წლის N600 პუბლიკაციით დამტკიცებული უნიფიცირებული წესებით („უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტური აკრედიტივისათვის“) გათვალისწინებული დოკუმენტური აკრედიტივი, რომლის საფუძველზეც განაღდდებოდა გამყიდველის მიერ გამოგზავნილი საქონლის საფასური. გამყიდველის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, გამყიდველმა მყიდველს სრულად გამოუგზავნა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი. გამყიდველმა აკრედიტივით გათვალისწინებული თანხა ვერ მიიღო. მისი მომსახურე ბანკისაგან მიღებული შეტყობინების თანახმად, ემიტენტმა ბანკმა აკრედიტივის განაღდება არ განახორციელა. აღნიშნულის შემდეგ მყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოითხოვა მყიდველს დაკისრებოდა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის საფასური. მყიდველმა წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი საარბიტრაჟო შესაგებელი და მიუთითა, რომ მან

* *შენიშვნებისათვის*

სრულად შეასრულა კონტრაქტის პირობები, ხოლო მომსახურე საბანკო დაწესებულებამ, ემიტენტმა ბანკმა დაარღვია „უნიფიცირებული წესებით“ გათვალისწინებული წესები და მყიდველის მომსახურე ბანკს არ გადაურიცხა დოკუმენტური აკრედიტივით აკუმლირებული თანხა. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხემ მიიჩნია, რომ ის არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ მყიდველს არ მიუღია საქონლის საფასური. ამასთანავე იშუამდგომლა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს სათანადო მოპასუხედ მოეწვია მისი მომსახურე ბანკი (ემიტენტი ბანკი). საარბიტრაჟო მოსარჩელე აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მყიდველის მომსახურე ბანკი ჩართო თანამოპასუხედ. ბანკმა თავის საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ მისთვის უცნობი იყო კონტრაქტის შესრულების პირობები და რომ გამყიდველს მისთვის არ უცნობებია განხორციელებული მიწოდების შესახებ. ბანკმა თავის მხრივ იშუამდგომლა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამყიდველის მომსახურე ბანკისაგან შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რის შემდეგ ბანკმა ახალი შუამდგომლობით ტრიბუნალის კომპეტენციის არარსებობაზე მიუთითა. აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა იმსჯელა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად, არ დააკმაყოფილა იგი და თავისი საბოლოო გადაწყვეტილებით აკრედიტივით აკუმლირებული თანხის განაღდება დააკისრა ემიტენტ ბანკს.

** შენიშვნებისათვის*

შეაფასეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება

34. ავსტრიის სავაჭრო დაწესებულებას (მყიდველი) და საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ კომერციულ გაერთიანებას (გამყიდველი) შორის 2019 წლის 15 იანვარს დაიდო კონტრაქტი, რომლის თანახმად განისაზღვრა საქართველოში წარმოებული კონკრეტული ნაწარმის მიწოდება მყიდველისათვის. კონტრაქტის თანახმად განისაზღვრა მიწოდების ორი ეტაპი და ანგარიშსწორება თითოეული პარტიის მიწოდების შემდეგ, ასევე თითოეული მისაწოდებელი საქონლის პარტიის ფასი. კონტრაქტი ასევე შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას, რომლის თანახმად მხარეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოს კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების (დებულება) წესების მიხედვით, თუმცა საარბიტრაჟო დათქმა არ შეიცავდა საარბიტრაჟო დაწესებულების დასახელებას, მის ადგილმდებარეობას და ორგანიზაციული მოწყობის ფორმას, ისევე როგორც მითითებას გამოსაყენებელ სამართალზე. გამყიდველმა (ქართული მხარე) მყიდველს (ავსტრიული მხარე) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდა მხოლოდ პირველი პარტია და მხარეთა შორის ანგარიშსწორება მიწოდებული საქონლის პარტიაზე განხორციელდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორე პარტია გამყიდველმა მყიდველს არ მიაწოდა. მყიდველმა, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ სხვა გამყიდველისაგან შეიძინა ის საქონელი, რაც ხსე-

* *შენიშვნებისათვის*

ნებული კონტრაქტით უნდა მიეღო ქართული მხრისაგან და რადგანაც მის მიერ შეძენილი საქონელი იყო ბევრად უფრო ძვირი, მყიდველმა მოითხოვა კონტაქტის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზრაურება (ფასთა სხვაობა - მყიდველს სხვა გამყიდველისაგან საქონლის შეძენა ბევრად უფრო ძვირი დაუჯდა) და საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა იმ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომლის წესებიც იყო მითითებული სავაჭრო კონტრაქტში. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის მეორე პარტიის მიუღებლობა გამოწვეული იყო საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ საექსპორტო ლიცენზიის გაუცემლობით, ამასთან მიუთითა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნდა მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია, რადგანაც მხარეები კონკრეტულ არბიტრაჟზე არ ყოფილან შეთანხმებული.

იმსჯელეთ არბიტრაჟის კომპეტენციის არსებობის და გამოსაყენებელი სამართლის შესახებ

35. მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული საარბიტრაჟო დათქმის თანახმად გათვალისწინებულია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვა. დამკვეთმა ვადაზე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება. მენარდემ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო

** შენიშვნებისათვის*

წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. დამკვეთმა საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიმართა კომპეტენციის არქონის შესახებ შესაბამისი განცხადებით და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იყო უფლებამოსილი განეხილა მენარდის მიერ აღძრული სარჩელი, რადგანაც სასარჩელო მოთხოვნა იყო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება და დავის საგანი სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა განცხადების არგუმენტი, მიიჩნია, რომ გააჩნდა დავის განხილვის კომპეტენცია და დაიწყო სარჩელის არსებითი განხილვა. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე დამკვეთმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა საარბიტრაჟო ტრიბუნალის დადგენილება კომპეტენციის არსებობის თაობაზე და მიუთითა, რომ დავის საგანი სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვეთის საჩივრის განხილვამდე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა.

დაასაბუთეთ სააპელაციო სასამართლოს მიერ მისაღები საპროცესო აქტი

** შენიშვნებისათვის*

III. საარბიტრაჟო განხილვა, სამართლის ნორმათა გამოყენება

36. საარბიტრაჟო დავაში, რომელიც საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით ხორციელდება, არბიტრი ვეღარ ასრულებს მის მოვალეობას. საარბიტრაჟო მოპასუხემ მიმართა სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საარბიტრაჟო მოსარჩელემ - საარბიტრაჟო დაწესებულების სტრუქტურას - სასამართლოს, რომელმაც მოცემულ დავაზე დანიშნა სხვა არბიტრი.

არის თუ არა უფლებამოსილი სასამართლო განიხილოს მოცემული განცხადება?

37. საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ საარბიტრაჟო დაწესებულებამ საარბიტრაჟო მოპასუხეს, შპს „გარანტს“ გაუგზავნა საარბიტრაჟო სარჩელი, რომელიც ფოსტის მიერ დაბრუნებული იქნა იმ მოტივით, რომ გზავნილში მითითებულ მისამართზე ასეთი ადრესატი არ იმყოფება. საარბიტრაჟო დაწესებულების სამდივნომ გზავნილი გაუგზავნა მოპასუხის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს მისი ბინის მისამართზე და, ამავდროულად განახორციელა სატელეფონო დაკავშირების რამდენიმე მცდელობა, რაც აღმოჩნდა წარუმატებელი - ტელეფონი იყო გამორთული. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საარბიტრაჟო დაწესებულების რეგისტრატორმა დაადგინა მოპასუხის დამფუძნებლის ვინაობა

** შენიშვნებისათვის*

და მისი საცხოვრებელი ბინის მისამართი და გზავნილი გაუგზავნა მას, ბინის მისამართზე. აღნიშნული გზავნილი ადრესატს ვერ ჩაბარდა.

აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს საფუძველი გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევისათვის?

38. საკრედიტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას და მსესხებელთან და მის სოლიდარულ თავდებებთან შეთანხმებულ საარბიტრაჟო დათქმებში გათვალისწინებული დებულების შესაბამისად მოითხოვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყება და მოპასუხეთათვის (მსესხებელი და სოლიდარული მოვალეები/თავდებები) ძირითადი დავალიანების თანხის, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს, აგრეთვე გაწეული ხარჯის: საარბიტრაჟო სარჩელზე გადახდილი მოსაკრებლის, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის სააპელაციო სასამართლოში გაწეული ხარჯის, მომსახურების სააგენტოში გადახდილი თანხის და სარჩელის ასლების მომზადებისათვის გაწეული საფასურის სოლიდარულად დაკისრება. საარბიტრაჟო მოპასუხემ, მსესხებელმა საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარადგინა, ხოლო თავდებმა პირებმა წარდგენილ შესაგებელში მიუთითეს, რომ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელიდან შეიტყვეს და რომ მათ არ მიუღიათ წერილობითი გაფრთხილება.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი სარჩელთან დაკავშირებით და როგორ განაწილდება საქმის წარმოების ხარჯები?

39. საკრედიტო დაწესებულებამ მსესხებლის და მისი თავდები პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმართა სესხის და თავდებობის ხელშეკრულებებში მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მხარეებს საარბიტრაჟო გზავნილი ვერ ჩაბარდათ ხელშეკრულებებში მითითებულ მისამართებზე საფოსტო დაწესებულების მეშვეობით ორჯერ გაგზავნის მიუხედავად. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ მეორე საფოსტო გზავნილი დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა საარბიტრაჟო მოპასუხეების საჯარო წესით ინფორმირება მათ წინააღმდეგ დაწყებული საარბიტრაჟო განხილვის შესახებ. საჯარო შეტყობინების ტექსტში მიეთითა, რომ საარბიტრაჟო დაწესებულებას მიმართა გამსესხებელმა კონკრეტული მსესხებლის და კონკრეტული თავდები პირების მიმართ და მიეთითა საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სესხის და სასესხო (ძირითადი დავალიანება, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ვადაგადაცილების პირგასამტეხლო) დავალიანების შესახებ.

შეაფასეთ საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება

40. კომპანია „მეგობრობამ“ და ფიზიკურმა პირმა 2018 წლის 15 იანვარს გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფიზიკური პირი

** შენიშვნებისათვის*

კომპანიისაგან შეიძენდა 66 000 ლარის ელექტროსაქონელს. ხელშეკრულების თანახმად, ფიზიკურ პირს კომპანიისათვის 10 დღის ვადაში უნდა გადაეხადა მის მიერ შეკვეთილი საქონლის საფასური, ხოლო კომპანიას კი ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველეყო ამ საქონლის ფიზიკური პირისათვის მიწოდება. ხელშეკრულებით განისაზღვრა გამოსაყენებელი სამართალი: საქართველოს კანონმდებლობა. ფიზიკურმა პირმა პირობა დათქმულ ვადაში შეასრულა. კომპანიას ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადაში მისი ვალდებულება არ შეუსრულებია. საქონლის მიწოდებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის და კომპანიის უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის თანახმად სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316, 317, 361-ე, 352-ე და 405-ე მუხლები. საარბიტრაჟო მოპასუხემ, კომპანია „მეგობრობამ“ საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ ვალდებულება მართალია მის მიერ არ შესრულდა, მაგრამ ამაში მისი ბრალი გამორიცხა და მიუთითა, რომ ფიზიკურ პირთან გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი ამ უკანასკნელისათვის უნდა მიეწოდებინა მის კონტრაქტორ კომპანიას, რომელთანაც გააფორმა ხელშეკრულება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელშეკრულების პირობები დაარღვია. არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა.

** შენიშვნებისათვის*

რა სამართლებრივი საფუძვლით შეეძლო არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილება?

იყო თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალი შებოჭილი საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი ნორმების გამოყენებით?

41. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

იმსჯელეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ

42. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. საარბიტრაჟო მოპასუხემ იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა საარბიტრაჟო მოპასუხემ დაასაბუთა იმით, რომ საჭიროდ მიაჩნია ექსპერტების და მოწმეების დაკითხვა, მათ შორის რამდენიმე პირის დაკითხვა ვიდეო კონფერენციის ჩატარების გზით.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი წარმოდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით და ეწინააღმდეგება თუ არა ვიდეო კონფერენციის ჩატარების მოთხოვნა კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს?

43. საარბიტრაჟო ტრიბუნალის დადგენილებით საქმის ზეპირი განხილვა დანიშნულია 15 თებერვლისათვის. საარბიტრაჟო მოპასუხეს, ფიზიკურ პირს წარდგენილი აქვს საარბიტრაჟო შესაგებელი და სარჩელს არ ცნობს უსაფუძვლობის მოტივით - კონკრეტული არგუმენტები მოყვანილია, ამასთან მოპასუხე შუამდგომლობს მოწმეთა დაკითხვის შესახებ. საარბიტრაჟო განხილვის წინა დღეს, 14 თებერვალს საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მისმა მცირეწლოვანმა შვილმა მოიტეხა ხელი და იმყოფება სტაციონარულ მკურნალობაზე. შესაბამისად, წერილობითი განცხადებით ითხოვა საქმის განხილვის გადადება, რადგანაც როგორც მცირეწლოვანის დედას, უწევს მუდმივი მეთვალყურეობა და მისი შვილის გვერდით ყოფნა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადებაზე არ დააკმაყოფილა, ჩათვალა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხე ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას, განიხილა საარბიტრაჟო სარჩელი წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა. მოსარჩელე მხარემ 22 თებერვალს მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხემ სააპელაციო

** შენიშვნებისათვის*

სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა არ დაეკმაყოფილებინა საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, რადგანაც მას არ მიეცა შესაძლებლობა დაეცვა საკუთრი ინტერესები.

დაასაბუთეთ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება

44. იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიას და ფოთის საზღვაო პორტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ფოთის პორტმა იკისრა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკისაგან იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიის მიერ შეძენილი ჩაის ნედლეულის ტრანსპორტირება ფოთის პორტიდან იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიის კუთვნილ ტერმინალამდე. ხელშეკრულების თანახმად გადამზიდავმა გამორიცხა მისი პასუხისმგებლობა ტრანსპორტირების პერიოდში გადასაზიდი საქონლის დაზიანებისათვის. ამასთან, მხარეებმა გამოსაყენებელ სამართლად განსაზღვრეს თურქეთის სამართალი. ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა შესაძლო დავის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ განხილვას. გადამზიდავმა დანიშნულების ადგილზე ტვირთი ჩაიტანა. კონტეინერების გახსნის შემდეგ იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიამ დააფიქსირა მის მიერ შეძენილი ჩაის დაზიანება - სისველე, რაც გამოწვეული იყო ტრანსპორტირების პროცესში დასველების შედეგად. დამკვეთმა, იზმირის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიამ ფოთის პორტის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საქართველოს საერთაშორისო

** შენიშვნებისათვის*

საარბიტრაჟო ცენტრს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. გადამზიდავმა საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ ხელშეკრულების თანახმად მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხა, რაც პირდაპირ იქნა დაფიქსირებული გადაზიდვის ხელშეკრულებაში. საარბიტრაჟო მოსარჩელემ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავის განხილვა თურქეთის სამართლის მიხედვით ხორციელდება, რომელიც უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, დავის განხილვის ადგილი არის საქართველო და საქართველოს კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საზღვაო კოდექსი) არ უშვებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეზღუდვას, შესაბამისად, ასეთი დათქმა არის ბათილი და რომ სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რადგანაც გადამზიდავი არ უარყოფს გადასაზიდი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის დროს დაზიანებას და არც ზიანის ოდენობას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

45. ლიდსის (ინგლისი) სამკერვალო ფაბრიკასა და თელავის ძაფსაგრეხ გაერთიანებას შორის დაიდო შალის ნართის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის მიხედვით სადავო საკითხების გადაწყვეტისას გამოსაყენებელი სამართალი არის ქართული, ამასთანავე აღნიშნულია, რომ იმ საკითხების გადაწყვეტისას, რაც არ არის მოწესრიგებული ქართული სამართლით, გამოიყენება ინგლისის სამართალი. დავის

** შენიშვნებისათვის*

განმხილველი ორგანოა დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი (CIArb-ი) ამ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად.

არის თუ არა ნამდვილი მხარეთა შეთანხმება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის ნაწილში

46. ევროკავშირის წევრი ქვეყნის (მყიდველი) და საქართველოს სამრეწველო საწარმოს (გამყიდველი) შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული გამოსაყენებელი სამართლის საკითხი. საარბიტრაჟო დათქმის თანახმად დავა უნდა განიხილოს სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრმა მისი რეგლამენტის შესაბამისად.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი

47. საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი და არბიტრაჟს სთხოვეს მორიგების დამტკიცება შეთანხმებული პირობებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი განაცხადა მორიგების დამტკიცებაზე იმ საფუძვლით, რომ მორიგების აქტი წარდგენილი იქნა მთავარი სხდომის მიმდინარეობისას.

იმსჯელეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ქმედების მართლზომიერებაზე

48. საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე მხარეებმა წარადგინეს

** შენიშვნებისათვის*

მორიგების აქტი და არბიტრაჟს სთხოვეს მორიგების დამტკიცება შეთანხმებული პირობებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი განაცხადა მორიგების დამტკიცებაზე იმ საფუძვლით, რომ მორიგების აქტი წარდგენილი იქნა უკვე მთავარი სხდომის მიმდინარეობისას. ამასთან, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოსაზრებით მორიგების პირობები არ შეესაბამებოდა მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს, იყო კანონშეუსაბამო და ლახავდა მესამე პირის ინტერესებს.

იმსჯელეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ქმედების მართლზომიერებაზე

49. საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი და არბიტრაჟს სთხოვეს მორიგების დამტკიცება შეთანხმებული პირობებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარი განაცხადა მორიგების დამტკიცებაზე იმ საფუძვლით, რომ მორიგების აქტი წარდგენილი იქნა უკვე მთავარი სხდომის მიმდინარეობისას. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილებით დაამტკიცა მორიგება და შეწყვიტა საქმის წარმოება მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით. მოპასუხე მხარემ დაარღვია შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება და არ გადაუხადა მოსარჩელე მხარეს მორიგებით გათვალისწინებული თანხა. კრედიტორმა მიმართა არბიტრაჟს საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

** შენიშვნებისათვის*

50. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის საარბიტრაჟო სარჩელი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შესახებ დაკმაყოფილდა და დამკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის გადახდა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების თაობაზე მენარდის მოთხოვნაზე მოპასუხე მხარის, იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, შპს-ს დირექტორმა მენარდეს წერილობით უპასუხა, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას გადაუხდიდა 10 დღის ვადაში. წერილობითი პასუხის გაგზავნიდან რამდენიმე დღეში შპს-ს დირექტორი დააპატიმრეს მენარდის მკვლელობის ბრალდებით და სასამართლოს მიერ განესაზღვრა აღკვეთის ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა. გარდაცვლილი მენარდის მეუღლე გარდაცვლილის დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოაჩენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას. კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში გარდაცვლილის მეუღლემ აიღო სამემკვიდრეო მოწმობა.

რა წესით შეძლებს გარდაცვლილის მეუღლე მისი მამკვიდრებლისათვის მიკუთვნებული თანხის მიღებას

51. ბურგასის ნავთობქიმიურ კომბინატს (ბულგარეთი, გამყიდველი) და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას (მყიდველი) შორის დადებული კონტრაქტის თანახმად ნავთობით დატვირთული ტანკერების არადროული დაცლის გამო მყიდველი გადაუხდის გამყიდ-

** შენიშვნებისათვის*

ველს „Worldscale“ კლასიფიკაციით განსაზღვრული ტარიფით საჯარიმო სანქციას, რადგანაც გამყიდველს გემის მფლობელ კომპანიასთან დადებული ჩარტერული კონტრაქტის თანახმად მოუწევს დემერეჯის (ტვირთის მეპატრონის მიერ გემის მფლობელისათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოჰყვება პორტში ხომალდის შეყოვნებას, თუ სატვირთო სამუშაოებს ჩარტერით გათვალისწინებულ დროზე მეტი დასჭიდა) გადახდა. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ტანკერების დაცლის შეყოვნების გამო გამყიდველმა საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟს და მოითხოვა მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის დაკისრება. საარბიტრაჟო სარჩელს ერთვოდა ისეთი მტკიცებულებები, როგორიცაა ტანკერების კაპიტნებისა და მყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი Notice of readiness, time sheets, statements of Facts და სხვა. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ ცნო საარბიტრაჟო სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მის მიერ გემთმფლობელ კომპანიისათვის დემერეჯის გადახდის მტკიცებულება და რადგანაც მის მიერ არ არის დადასტურებული ზიანის არსებობის ფაქტი, სარჩელი უსაფუძვლოა. ამასთანავე მყიდველმა მიუთითა, რომ მიიღო კონოსამენტში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები პროდუქცია (ნავთობპროდუქტი), რის გამოც თავის მხრივ წარადგინა შეგებებული სარჩელი. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ (ძირითადი სარჩელის

* *შენიშვნებისათვის*

მოსარჩელე) მიუთითა კონტრაქტის შესაბამის მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქციის დაზღვევას და წარმოადგინა სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული პოლისები თითოეულ ტანკერზე, რომლის თანახმად პროდუქციის რაოდენობაზე პასუხისმგებელი იყო სადაზღვევო კომპანია, რომლისათვისაც უნდა მიემართა მყიდველს - თავდაპირველი საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეს.

როგორ გადაწყვეტს დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

52. ბათუმის საცალო სავაჭრო გაერთიანებამ (გამყიდველი) მხარეთა შორის გაფორმებული საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ საარბიტრაჟო მოპასუხის, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (მყიდველი) წინააღმდეგ ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული პროდუქციის - აბრეშუმის ძაფის საფასურის, 100 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (აბრეშუმის ძაფი) მოპასუხე მხარეს მიეწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ მოპასუხე არ იხდის მიღებული საქონლის საფასურს. სარჩელის აღძვრის და საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შემდეგ განხორციელდა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია და მისგან გამოიყო სტრუქტურული ერთეული, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო დამოუკიდებელი საწარმოს, ქუთაისის ძაფსაგრეხი ფაბრიკის სახელით. სამეწარმეო რე-

** შენიშვნებისათვის*

ესტრში განხორციელებულდა ცვლილების რეგისტრაცია და აღნიშნული რეორგანიზაცია აისახა. საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარედგინა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შესაგებელი, რომლის თანახმად საარბიტრაჟო მოპასუხე მიიჩნევდა, რომ ახლადშექმნილი სამეწარმეო სუბიექტი ჩართული უნდა ყოფილიყო საქმის განხილვაში და რომ ქონებრივი პასუხისმგებლობა მას უნდა დაკისრებოდა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და საარბიტრაჟო მოპასუხედ ქუთაისის ძაფსაგრეხი ფაბრიკაც დაასახელა. ქუთაისის ძაფსაგრეხმა ფაბრიკამ საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ ის გამოიყო როგორც ახალი სუბიექტი და რეორგანიზაციის შესახებ აქციონერების მიღებული გადაწყვეტილებით არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ვალების ქუთაისის ძაფსაგრეხ ფაბრიკაზე გადაკისრების შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი სარჩელთან დაკავშირებით?

53. ქალაქ ზუგდიდის ერთ-ერთ კომერციულ საწარმოსა და ქალაქ თელავის ასევე ერთ-ერთ კომერციულ საწარმოს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი. საარბიტრაჟო შეთანხმება დავის განხილვის ფორმად ითვალისწინებს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას. მხარეთა თხოვნით, საარბიტრაჟო მოსმენა განხორციელდა როგორც ქალაქ ზუგდიდში, მო-

* *შენიშვნებისათვის*

სარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით, ასევე ქალაქ თელავში, მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. მხარეთა პოზიციების მოსმენის, მოწმეთა დაკითხვის, ადგილობრივი დათვალიერებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში ერთ-ერთ მხარეს გაუჩნდა ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის შუამდგომლობა აცილების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ, გააგრძელა განხილვა და შემდეგ კი გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს საარბიტრაჟო მოპასუხემ არბიტრის აცილების შესახებ?

54. მოსარჩელემ თანაარბიტრად დაასახელა შესაბამისი პიროვნება, რომელმაც შეავსო განაცხადი მხარეთაგან დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. მოპასუხემ მოითხოვა მოსარჩელის მიერ მითითებული კანდიდატურის აცილება და მიუთითა, რომ ის ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი, რადგანაც სხვა ანალოგიურ დავაში მონაწილეობდა მხარის (სხვა მხარის, რომელიც მოცემულ საქმეში არ მონაწილეობს) წარმომადგენლის სახით და იმ სასამართლო განხილვაში გამოხატა პოზიცია რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ამ პროცესში მოპასუხის პოზიციას. მოპასუხემ მიუთითა, რომ ის სადავოდ არ ხდის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კანდიდატის

** შენიშვნებისათვის*

დამოუკიდებლობას, ის სადავოს ხდის მხოლოდ მის მიუკერძოებლობას. მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას და მიუთითა რომ დაუკავშირებელი მხარის წარმომადგენლობა ამ დავასთან დაუკავშირებელ პროცესში არ განაპირობებს არბიტრის მიკერძოებულობას.

დაასაბუთეთ, არსებობს თუ არა არბიტრის აცილების საფუძველი?

55. მოსარჩელემ დაასახელა თანაარბიტრობის კანდიდატი. მოპასუხე არ ეთანხმება არბიტრად მის დანიშვნას, ვინაიდან იურიდიული კომპანია, სადაც მოსარჩელის მიერ დასახელებული არბიტრობის კანდიდატი პარტნიორია და თავად მოსარჩელის წარმომადგენელი იურიდიული კომპანია წარმოადგენენ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის (სიფა) წევრებს. შესაბამისად, არბიტრობის კანდიდატს და მოსარჩელის წარმომადგენელს გააჩნიათ გარკვეული ურთიერთობა და საერთო მიზნები და ეჭვს იწვევს მისი დამოუკიდებლობა. არბიტრობის კანდიდატმა მოპასუხის არგუმენტების საპასუხოდ გააკეთა შემდეგი კომენტარები - მას არა აქვს ინტერესთა კონფლიქტი, დამოუკიდებელია და დარჩება ასეთად. მართალია იცნობს მოსარჩელის წარმომადგენელს, შეხვედრია მას კონფერენციებზე, მაგრამ მას არასოდეს ჰქონია მასთან საქმიანი ურთიერთობა მოსარჩელის წარმომადგენელთან. მანვე აღნიშნა, რომ სიფა არ წარმოადგენს მომგებიან ორგანიზაციას და არ ნაწილდება მოგება მის წევრებს შორის.

** შენიშვნებისათვის*

დაასაბუთეთ, არსებობს თუ არა არბიტრობის კანდიდატის აცილების საფუძველი?

56. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

დაასაბუთეთ, თუ ასეთი არბიტრი დანიშნულია საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ მისი სიითი შემადგენლობიდან, პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვა ხომ არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო განხილვის წესებს, რომელთა მიხედვით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას არბიტრის საქმის განხილვიდან ჩამოცილება შესაძლებელია თავად ამ საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ

57. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსის თანახმად, პირი უნდა დათანხმდეს არბიტრად დანიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ:

ა. მას შეუძლია იმოქმედოს მიუკერძოებლად;
ბ. მას შეუძლია იმოქმედოს მხარეებისაგან, პოტენციური მოწმეებისაგან და სხვა არბიტრებისაგან დამოუკიდებლად;

** შენიშვნებისათვის*

გ. გააჩნია სათანადო კომპეტენცია;
დ. აქვს საკმარისი დრო დაიწყოს საარბიტრაჟო განხილვა პროცესის მოთხოვნების შესაბამისად და განხილვის დაწყების შემდეგ დაუთმოს სათანადო დრო და ყურადღება პროცესს.

არის თუ არა შესაძლებელი დაინიშნოს პირი არბიტრად მითითებული პრინციპების დაუცველად?

58. რა უნდა მოიმოქმედოს საქმეზე არბიტრად დანიშნულმა პირმა, თუ მას საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ეჭვი შეეპარა თავის უნარში, დარჩეს მიუკერძოებელი ან დამოუკიდებელი?

59. შეუძლია თუ არა არბიტრობის კანდიდატს იკითხოს მხარეების, მათი წარმომადგენლების და მოწმეების ვინაობა, ასევე საქმის ზოგადი საკითხები?

60. უნდა ესწრებოდეს თუ არა არბიტრი მხარეთა მორიგების ან მედიაციის პროცესში?

61. ავსტრიის (გამყიდველი) და საქართველოს (მყიდველი) კომერციულ ორგანიზაციებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა შეიძინა ძვირადღირებული ავეჯის დიდი პარტია. კონტრაქტის თანახმად, მიწოდება უნდა განხორციელებულიყო მყიდველის მიერ სატრანსპორტო რეკვიზიტების გამყიდველისათვის შეტყობინების შემდეგ. ამავე კონტრაქტის თანახმად საქონლის საფასურის ანაზღაურება განხორციელდებოდა მისი რეალიზაციის შემდეგ. კონტრაქტი

* *შენიშვნებისათვის*

ითვალისწინებდა საარბიტრაჟო დათქმას კონტრაქტის შესრულებიდან გამომდინარე დავის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ განხილვის შესახებ, მაგრამ არ იყო განსაზღვრული გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი. კონტრაქტზე ხელმოწერიდან 15 დღის შემდეგ მყიდველმა გამყიდველს ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნა სატრანსპორტო რეკვიზიტები, რის შემდეგ გამყიდველმა მყიდველს გამოუგზავნა კონტრაქტით გათვალისწინებული ავეჯის სრული პარტია. საქონლის გამოგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგ მყიდველმა გამყიდველს შეატყობინა, რომ შეექმნა პრობლემები და სთხოვა დაებრუნებინა გამოგზავნილი საქონელი. გამყიდველმა საქონლის დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას, მყიდველის უარის გამო, დაიქირავა სასაქონლო საწყობი და მოიძია სხვა მყიდველი, რომელმაც კონტრაქტით გაცხადებული საფასურის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადახდაზე განაცხადა თანხმობა. გამყიდველი ასეთ შეთავაზებას დათანხდა, რადგანაც არ ჰქონდა სხვა გამოსავალი. აღნიშნულის შემდეგ გამყიდველმა მიმართა კონტრაქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას.

რომელ მატერიალურ სამართალს დაეფუძნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება და როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება

62. საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებით განსახილველ საერთაშორისო დავაში საარბიტრაჟო მოპასუ-

** შენიშვნებისათვის*

ხემ იშუამდგომლა დავის „საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტური ორგანიზაციის წესებით“ („პრაღის წესები“) განხილვის შესახებ. სარბიტრაჟო მოსარჩელე მოითხოვს პროცედურული საკითხების წარმართვას მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი შუამდგომლობასთან დაკავშირებით?

63. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად მხარეები ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდნენ.

რა საპროცესო აქტი იქნება მიღებული არბიტრაჟის მიერ?

64. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოსარჩელე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

65. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცეს-

** შენიშვნებისათვის*

ზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოსარჩელე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

66. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა საარბიტრაჟო მოპასუხე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

67. საარბიტრაჟო განხილვაზე არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილების და პროცესზე მოწვევის მიუხედავად, საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე. ამასთან, მოპასუხეს არ ჰქონდა წარმოდგენილი საარბიტრაჟო შესაგებელი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

68. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება საქმის ზეპირი მოსმენის შესახებ და დანიშნა საქმის მოსმენის თარიღი. საარბიტრაჟო მოპასუხეს ორჯერ გაეგზავნა უწყება და უწყება ორჯერვე ფოსტის მიერ დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით.

** შენიშვნებისათვის*

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის რეაგირება?

69. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა რუსული ენა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელიც რუსულენოვანი, მაგრამ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა რუსულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - ქართველები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში?

70. ესპანურ კომპანიას და საქართველოს საპარტნიორო ფონდს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ესპანურმა კომპანიამ საქართველოს საპარტნიორო ფონდს სესხის სახით გამოუყო 15 მილიონი ევრო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სესხის დაბრუნების ვადა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პროცენტზე დასარიცხ პროცენტსაც (პროცენტის პროცენტი). ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ით-

* *შენიშვნებისათვის*

ვალისწინებდა შესაძლო დავის საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ განხილვას. საქართველოს საპარტნიორო ფონდის მიერ ვალი არ იქნა დაბრუნებული. გამსესხებელმა მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ არბიტრაჟს და მოითხოვა საარბიტრაჟო მოპასუხეს დაკისრებოდა როგორც ძირითადი დავალიანება, ასევე ვადაგადაცილების პროცენტი მის მიერ ნაანგარიშები რთული პროცენტის ფორმულით. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ უარყო დავალიანების არსებობა, ოღონდ მიუთითა პროცენტის პროცენტზე შეთანხმების ბათილობაზე, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

71. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საქართველოში რეგისტრირებულმა საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებიც ქართველები არიან, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - პოლონელები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებე-

** შენიშვნებისათვის*

ლი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში?

72. ავსტრიულ (გამყიდველი) და ქართულ (მყიდველი) კომპანიებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა შეიძინა კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი. კონტრაქტის თანხმად გამყიდველმა ივალდებულა მყიდველის მიერ შეძენილი საქონლის გაგზავნა საქონლის საფასურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. მყიდველმა მის მიერ შეძენილი საქონლის საფასური სრულად გადაიხადა. გამყიდველმა მყიდველს შეძენილი საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოუგზავნა. კონტრაქტი მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმასაც, რომლის თანახმად მხრეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი სადავო საკითხი განხილული უნდა იყოს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ. საარბიტრაჟო დათქმა არ ითვლისწინებს არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელ სამართალს. მყიდველმა მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ არბიტრაჟს - საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს და მისი მოთხოვნა დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე. საარბიტრაჟო მოპასუხემ მიიჩნია, რომ სარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის (ავსტრია) მატერიალური სამართალი.

** შენიშვნებისათვის*

დაასაბუთეთ რომელი ქვეყნის კანონმდებლობას დაეფუძნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

73. ზალცბურგის (ავსტრია, მყიდველი) სასურსათო კომბინატს და ს.ს. ზუგდიდის ჩაის საწარმოო გაერთიანებას (გამყიდველი) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს 110 ტონა პირველი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. ხელშეკრულების თანახმად მასზე ხელის მოწერიდან ერთი თვის ვადაში მყიდველმა უნდა გახსნას დოკუმენტური აკრედიტივი, ხოლო გამყიდველმა მყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (შეთანხმებული ხარისხის ჩაი). ხელშეკრულებით განისაზღვრა დავის საარბიტრაჟო წესით განხილვა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ (DRC) მიერ მისი საარბიტრაჟო განხილვის წესების (DRC-ის დებულება) შესაბამისად. კონტრაქტით არ განსაზღვრულა არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი. მყიდველმა მიმართა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არბიტრაჟს და მოითხოვა ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნება, რადგანაც გამყიდველმა არ მიაწოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩაი და შეწყვიტა ხელშეკრულება. გამყიდველმა საარბიტრაჟო შესაგებლით არ უარყო ხელშეკრულების შეწყვეტა და მიუთითა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი იყო მყიდველის მხრიდან აკრედიტივის გახსნის შესახებ სავალდებულო პირობის დარღვევა და, თავის მხრივ, წარადგინა შეგებე-

** შენიშვნებისათვის*

ბული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა პირგასამტეხლო აკრედიტივის გახსნაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევისათვის და, ასევე, ზიანის ანაზღაურება, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისათვისაც.

რომელ მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს დაეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილება

74. ფრანგულ კომპანიას (მყიდველი) და ქართულ კომპანიას (გამყიდველი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მყიდველმა შეიძინა მისი საწარმოსათვის აუცილებელი ნედლეული. გამყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია (მისი საწარმოსათვის აუცილებელი ნედლეული) მყიდველის მისამართით დროულად გააგზავნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებით, ხოლო მყიდველმა ეს პროდუქცია განაბაჟა, მიიღო სწარმოო პროცესში გამოსაყენებლად და მისგან დამზადებული საბოლოო პროდუქცია გაუშვა საცალო ქსელში. გამყიდველმა მყიდველს მოსთხოვა პროდუქციის საფასურის გადახდა. აღნიშნული მოთხოვნა მყიდველმა არ შეასრულა. გამყიდველმა მიმართა საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს, რადგანაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებობდა საარბიტრაჟო დათქმა, რომლის თანახმად მხარეთა შორის მოცემული კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად უნდა გადასცემოდა კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. მყიდველმა საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთი-

* *შენიშვნებისათვის*

თა, რომ კონტრაქტი, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას, ხელმოწერილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული პარიზის საექსპერტო დაწესებულების გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად დგინდებოდა, რომ კონტრაქტზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული მასზე ხელმომწერად მითითებული პირის, კომპანიის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც არ იმყოფებოდა თბილისში, კონტრაქტის ხელმოწერის დროს, მაშინ როდესაც ეს კონტრაქტი ხელმოწერილი იქნა თბილისში და კომპანიის ხელმძღვანელის ნაცვლად ხელმოწერილი იქნა სავაჭრო წარმომადგენლის მიერ, რომელსაც არ ჰქონდა კონტრაქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება. შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხედ მითითებულმა ფრანგულმა კომპანიამ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო დათქმა არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის გამო იყო ბათილი, არბიტრაჟს არ გააჩნდა მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია და რომ ეს დავა ექვემდებარებოდა საფრანგეთის სასამართლოს იურიდიქციას, რის გამოც ითხოვა საარბიტრაჟო წარმოების შეწყვეტა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ დაადასტურა, რომ კონტრაქტი მყიდველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (კომპანიის ხელმძღვანელი) სახელით მოაწერა სავაჭრო წარმომადგენელმა, რომელსაც არ ჰქონდა წერილობითი რწმუნებულება, მაგრამ საქმიანი კონტაქტებიდან გამომდინარე, მათ ის აღიქვეს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირად. ამასთანავე, სა-

** შენიშვნებისათვის*

არბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზეც, რომ მყიდველმა მთლიანობაში კონტრაქტი მოიწონა, რადგანაც დადგენილი პროცედურების დაცვით მიიღო (განაბაჟა) და, უფრო მეტიც, მიღებული ნედლეული გადაამუშავა და მისგან საკუთარი პროდუქცია გამოუშვა, რომელიც საავჭრო ქსელს მიაწოდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი

75. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საქართველოში რეგისტრირებულმა საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებიც ქართველები არიან, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - პოლონელები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო შესაგებელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები რუსულ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო შესაბამისი მტკიცებულებები კი ქართულ ენაზე.

** შენიშვნებისათვის*

როგორი იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება ასეთ შემთხვევაში?

76. სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ უცხო ქვეყნის გემთმფლობელის წინააღმდეგ აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საარბიტრაჟო მოსარჩელეებმა, გემის ეკიპაჟის წევრებმა მოითხოვეს ამჟამად ფოთის საზღვაო აკვატორიაში მყოფი, მოპასუხის კუთვნილი გემის მიმართ ფოთის პორტის დატოვების აკრძალვის და აღნიშნულ გემზე ყადაღის დადების გამოყენება. მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ გემთმფლობელის მიმართ არსებული მოთხოვნა როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, წარმოადგენს ე.წ. პრივილეგირებულ საზღვაო მოთხოვნას, რომელიც ექვემდებარება პირველ რიგში დაფარვას და აღნიშნული მოთხოვნა იფარება გემის ღირებულებიდან.

რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული განცხადება?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

77. უცხოურმა კომპანიამ ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟს (L.M.A.A.) ინდოეთის გემთმფლობელი კომპანიის წინააღმდეგ მიმართა სარჩელით ჩარტერის ხელშეკრულების პირობების დარღვევით

** შენიშვნებისათვის*

მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საარბიტრაჟო მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქუთაისის საააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ფოთის პორტის რეიდზე მყოფ გემზე ყადაღის დადება და პორტის ტერიტორიის დატოვების აკრძალვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლომ მიუთითა, რომ:

- მხარეები შეთანხმებულები იყნენ დავის ინგლისიის სამართლის მიხედვით გადაწყვეტაზე;
- „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში და ტერიტორიულ ზღვებში უცხო ქვეყნის გემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის შემთხვევაში სარჩელი აღიძვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განიხილება მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ;
- უცხო ქვეყნის გემის მიმართ, რომელიც გამოვიდა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებიდან და კვეთს საქართველოს ტერიტორიულ ზღვას ან იმყოფება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში, შეიძლება მიღებული იქნეს იძულებითი ზომები სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით;
- მითითებული ნორმა ეხება სასამართლოებში არსებითად განსახილველ დავებს;
- მოცემული ნორმა არ ეხება სახელმწიფოს ფარგლებს გა-

** შენიშვნებისათვის*

რეთ მოქმედ არბიტრაჟებში განსახილველ დავებს, რადგანაც აღნიშნული ტიპის არბიტრაჟებთან მიმართებაში მოცემული კანონი ადგენს განსხვავებულ წესს. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73 1 მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ხდება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით; მხარეთა შეთანხმება ინგლისის სამართლის წესების გამოყენებაზე მოიცავს როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის ნორმებს.

მითითებული განჩინება უცხოურმა კომპანიამ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა:

- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ და არა საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. შესაბამისად, მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებაში აღნიშნული ინგლისის სამართლის შესახებ შეთანხმება არ მოიცავს ინგლისის საპროცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობას;
- „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი შეიცავს სამ კოლიზიურ ნორმას და მათი სტრუქტურული ელემენტები (ჰიპოთეზა და დისპოზიცია) განსხვავებულია ერთმანეთისაგან და ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ კოლიზიურ ნორმებს; მითითებული კა-

** შენიშვნებისათვის*

ნონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი გაგებული უნდა იქნეს მხოლოდ ზოგადად და სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან - საქართველოს მიერ აღიარებულია და წარმოადგენს მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენცია (საქართველო შეუერთდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 9 სექტემბრის 562 დადგენილებით);

- სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლადაა მითითებული „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლზე, რადგანაც მითითებული ნორმა საერთოდ არ ეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ არბიტრაჟებში განსახილველ საქმეებს, ნორმის შინაარსიდან მხოლოდ ის იკვეთება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა იყოს აღსასრულებელი საქართველოში ან საქართველოს სასამართლოს გააჩნდეს საერთაშორისო კომპეტენცია;
- საქართველოში სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებისათვის საქართველოს სასამართლოსათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოს ფარგლებს გარეთ დავა არბიტრაჟში მიმდინარეობს თუ სასამართლოში. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფის ზომების შესახებ განცხადების განმხილველი სასამართლო უნდა შემოიფარგლოს დაინტერესებული მხარის მიერ მითითებული დავის ორგანოს კომპეტენტურობის ფორმალური კონტროლით. კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით უნდა და-

** შენიშვნებისათვის*

სტურდებოდეს, რომ იმავე მხარეებს შორის არსებითი დავა ნამდვილად აღძრულია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან დავის არსებითად განხილვის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში;

- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ მხარეს ენიჭება უფლება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს რომელსაც, თავის მხრივ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში გააჩნია იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლოს მიერ, ასეთი ასეთი უზრუნველყოფის გამოყენების პროცედურა უნდა განხორციელდეს ერთი პირობით გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებები. ნორმის ანალიზით ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია იზღუდებოდეს მხოლოდ საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებით და არა რაიმით - ნორმით არაა განსაზღვრული, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ზომების გამოყენების დამაბრკოლებელი, საერთაშორის საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებით გათვალისწინებული ე.წ. „ნეგატიური პირობის“ არარსებობა წარმოადგენს დაინტერესებული მხარის მტკიცების საგანს. შესაბამისად,

** შენიშვნებისათვის*

სასამართლომ არ უნდა თქვას უარი მოთხოვნაზე იმ გარემოებათა გამო, რომელიც არ წარმოადგენს განმცხადებლის მტკიცების ვალდებულებას. შესაბამისად, სასამართლო უნდა შემოიფარგლოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით (მხარეებს შორის არსებითი დავა ნამდვილად აღძრულია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან დავის არსებითად განხილვის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში) და ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის პრეიუდიციული ბუნებით.

დაასაბუთეთ წარდგენილ საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მისაღები განჩინება.

78. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვრა საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო დაწესებულებას მიმართა საარბიტრაჟო სარჩელით და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი და იშუამდგომლა საქმის ზეპირი განხილვის ჩატარების შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი და გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ზეპირი განხილვის დანიშვნის გარეშე.

შეაფასეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება.

** შენიშვნებისათვის*

79. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით დანიშნა 2 ექსპერტი სხვადასხვა საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტებმა დასკვნა არბიტრაჟში წარადგინეს. არბიტრაჟმა ექსპერტების წერილობითი დასკვნები გადაუგზავნა მხარეებს. საარბიტრაჟო მოპასუხემ ერთ-ერთი ექსპერტის დასკვნაში მითითებული მოსაზრების გასაბათილებლად, საკუთარი ინიციატივით ჩაატარებინა ექსპერტიზა სხვა ექსპერტს და წარადგინა აღნიშნული დასკვნა ზეპირი განხილვის დროს. ამავდროულად მოითხოვა მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შემდგენელი ექსპერტის მიწვევა საქმის ზეპირ განხილვაზე, ხოლო არბიტრაჟის მიერ დანიშნული ექსპერტის მიმართ განაცხადა აცილება.

რა რეაგირება ექნება საარბიტრაჟო ტრიბუნალს?

80. საარბიტრაჟო მოპასუხემ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრის აცილების შესახებ შესაბამისი განცხადებით მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას. ხსენებული განცხადება განსახილველად გადაეცა საარბიტრაჟო ტრიბუნალს. აცილების საფუძვლად განმცხადებელი მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ ასაცილებელი წევრი როგორც ადვოკატი სოციალურ ქსელში მეგობრობდა საარბიტრაჟო მოსარჩელის ინტერესების დამცველთან და ამ მეგობრობის ფარგლებში ჰქონდათ არაერთი გაზიარება. მითითებული განცხადების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ტრიბუნალის იმ წევრმა, რომლის აცილების საკითხიც განიხილებოდა და მან დაადასტურა განცხადებაში

** შენიშვნებისათვის*

მოყვანილი გარემოება. ტრიბუნალის გადაწყვეტილებით განცხადება მიჩნეული იქნა უსაფუძვლოდ.

შეაფასეთ:

ა. საარბიტრაჟო დაწესებულების ქმედება;
ბ. არსებობდა თუ არა აცილების საფუძველი;
გ. უნდა მიეღო თუ არა მონაწილეობა ტრიბუნალის წევრს განცხადების განხილვაში

81. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით მოსთხოვა სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში, ამასთანავე მოითხოვა დახმარება კონკრეტული მოწმეების საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მიზნით. სასამართლომ უარი განაცხადა ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ დავა წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის საგანს.

შეაფასეთ როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ასევე სასამართლოს მოქმედება.

82. არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანა 2016 წლის 10 თებერვალს და მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი გადასცა მხარეებს. 2016 წლის 16 მარტს საარბიტრაჟო მოსარჩელემ აღმოჩინა, რომ გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებაში დაშვებული იყო შეცდომა და მიმართა არბიტრაჟს გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით და აღნიშნულის შესახებ შეატყობინა საარბიტრაჟო მოპასუხესაც. მოპასუხემ განცხა-

** შენიშვნებისათვის*

დებით მიმართა არბიტრაჟს და მოითხოვა მოსარჩელის განცხადების დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ მოსარჩელმ გაუშვა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის მოთხოვნის ვადა. არბიტრაჟმა, მოპასუხის პროტესტის მიუხედავად გაასწორა შეცდომა, რაც დააფიქსირა შესაბამისი გადაწყვეტილებით (უსწორობის გასწორების შესახებ), რომელშიც მიუთითა, რომ მხარეებს გადაწყვეტილება გადაეცათ 2016 წლის 17 თებერვალს და არ იყო გასული შეცდომის გასწორების მოთხოვნით მიმართვის ვადა.

შეაფასეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედება.

83. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით მოსთხოვა სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში, ამასთანავე მოითხოვა დახმარება კონკრეტული მოწმეების საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის მიზნით. სასამართლომ უარი განაცხადა ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ დავა წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის განხილვის საგანს.

შეაფასეთ როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ასევე სასამართლოს მოქმედება.

84. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საკუთარი ინიციატივით დანიშნა 2 ექსპერტი სხვადასხვა საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტებმა დასკვნა არბიტრაჟში წარადგინეს. არბიტრაჟმა ექსპერტების წერილო-

** შენიშვნებისათვის*

ბითი დასკვნები გადაუგზავნა მხარეებს. საარბიტრაჟო მოპასუხემ ერთ-ერთი ექსპერტის დასკვნაში მითითებული მოსაზრების გასაბათილებლად, საკუთარი ინიციატივით ჩაატარებინა ექსპერტიზა სხვა ექსპერტს და წარადგინა აღნიშნული დასკვნა ზეპირი განხილვის დროს. ამავდროულად მოითხოვა მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შემდგენელი ექსპერტის მიწვევა საქმის ზეპირ განხილვაზე, ხოლო არბიტრაჟის მიერ დანიშნული ექსპერტის მიმართ განაცხადა აცილება.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა?

85. კომპანია „მეგობრობამ“ და ფიზიკურმა პირმა 2018 წლის 15 იანვარს გაფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფიზიკური პირი კომპანიისაგან შეიძენდა 66 000 ლარის ელექტროსაქონელს. ხელშეკრულების თანახმად, ფიზიკურ პირს კომპანიისათვის 10 დღის ვადაში უნდა გადაეხადა მის მიერ შეკვეთილი საქონლის საფასური, ხოლო კომპანიას კი თანხის მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველეყო ამ საქონლის ფიზიკური პირისათვის მიწოდება. ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში ფიზიკურმა პირმა ვალდებულება შეასრულა, ხოლო კომპანიამ მისი ვალდებულება არ შეასრულა. კომპანიის უშედეგო წერილობითი გაფრთხილების შემდეგ ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვა-

* *შენიშვნებისათვის*

ლისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას. სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 352-ე და 405-ე მუხლები. საარბიტრაჟო მოპასუხემ, კომპანია „მეგობრობამ“ საარბიტრაჟო შესაგებელში მიუთითა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობაში არ არის მისი ბრალი, რადგანაც კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი მას არ მოაწოდა თავისმა მომწოდებელმა, რომელთანაც გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება და ამ უკანასკნელმა დაარღვია მიწოდების ვადები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი და შებოჭილია თუ არა ტრიბუნალი მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლებით?

86. კომპანია ,,აბრეშუმის გზა“-ს (მყიდველი) და კომპანია ,,ესკულაპე“-ს (გამყიდველი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ,,ესკულაპე“-ს ,,აბრეშუმის გზა“-სთვის უნდა მიეწოდებინა სამედიცინო მედიკამენტები. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდეგ საარბიტრაჟო დათქმას:

,,წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული გარკვეული დავა საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტისთვის გადაეცემა არბიტრაჟს, თბილისში. იმ შემთხვევაში თუ დავის ღირებულება იქნება 500 000 ლარამდე დავა გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ მისი საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად საბოლოო

* *შენიშვნებისათვის*

გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხოლო თუ დავის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს დავა გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრს“ მისი საარბიტრაჟო წესების შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დავა განიხილება სამი არბიტრისგან შემდგარი ტრიბუნალის მიერ, რომელთაგან თითოეული მხარე დანიშნავს ერთ არბიტრს, ხოლო მესამე - თავმჯდომარე არბიტრი დაინიშნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ამასთან ყველა არბიტრი უნდა იყოს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ წარმოებული არბიტრთა სიიდან. დავა გადაწყდება ქართული სამართლის მიხედვით“. 2017 წლის აგვისტოში დავა წარმოიშვა მხარეებს შორის. ,,აბრეშუმის გზა“-მ წერილი გაუგზავნა ,,ესკულაპე“-ს, რომლითაც განაცხადა, რომ ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებული პროდუქცია არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მახასიათებლებს და ამასთანავე, ადგილი ჰქონდა მიწოდების ვადის დარღვევას. აღნიშნულის შედეგად მყიდველი უთითებდა, რომ მისთვის უკვე საერთოდ აზრს კარგავდა ხელშეკრულება, შესაბამისად ცალმხრივად წყვეტდა მას და მოითხოვდა წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას ვადის გადაცილებისთვის. 2017 წლის 15 სექტემბერს ,,აბრეშუმის გზა“-მ სასამართლოში შეიტანა სარჩელი კომპანია ,,ესკულაპე“-ს წინააღმდეგ, რითაც საერთო ჯამში ითხოვდა 300 000 ლარის ოდენობით თანხის და-

** შენიშვნებისათვის*

კისრებას. თავის მხრივ, კომპანია ,,ესკულაპე"-მ მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, „დავების განმხილველ ცენტრს" საარბიტრაჟო განაცხადით კომპანია ,,აბრეშუმის გზა"-ს წინააღმდეგ და მოითხოვა დაკისრებოდა მის მიერ მიწოდებული პროდუქციის დარჩენილი ღირებულების გადახდა. საარბიტრაჟო განაცხადით კომპანია ,,ესკულაპე"-მ არბიტრად დაასახელა თავისი კომპანიის მომსახურე იურიდიული ფირმის ერთ-ერთ პარტნიორი. კომპანია ,,ესკულაპე"-ს სასამართლოში შესაგებელი არ შეუტანია.

როგორ უნდა გაგრძელდეს სასამართლოში ,,აბრეშუმის გზა"-ს მიერ შეტანილი სარჩელი?

როგორ უნდა გაგრძელდეს ,,ესკულაპე"-ს მიერ წამოწყებული საარბიტრაჟო პროცესი?

აკმაყოფილებს თუ არა არბიტრის კანდიდატურა ეთიკურ ნორმებს?

87. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით საქმის განხილვის ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. საქართველოში რეგისტრირებულმა საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ქართველები არიან, საარბიტრაჟო სარჩელი წარადგინა ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეებიდან ერთ-ერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის დამფუძნებლებიც და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირიც ეროვნებით არაბები არიან, ხოლო მეორე საარ-

** შენიშვნებისათვის*

ბიტრაჟო მოპასუხის დამფუძნებლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - პოლონელები. პირველმა მოპასუხემ (არაბები) საარბიტრაჟო შესაგებელი და დანართი დოკუმენტები წარადგინა ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე საარბიტრაჟო მოპასუხემ - ქართულ ენაზე.

როგორი იქნება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მოქმედება ასეთ შემთხვევაში?

88. საქართველოს არბიტრაჟი იხილავს დავას ჩინეთის და თურქეთის კომპანიებს შორის. მხარეები არ შეთანხმებულან გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შესახებ. დავის განხილვის პროცესში საარბიტრაჟო მოსარჩელემ, ჩინეთის რესპუბლიკის კომპანიამ სადავო საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა ჩინეთის რესპუბლიკის მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, რასაც არ დაეთანხმა თურქეთის კომპანია და, თავის მხრივ, დავის განხილვა მოითხოვა თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით, რადგანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ადგილია თურქეთი.

რომელი ქვეყნის კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს დავა?

89. საარბიტრაჟო მოსარჩელემ 2016 წლის 16 ივნისს მის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, 2017 წლის 2 მარტს მიმართა შესაბამის სააპელაციო სასამართლოს. საარბიტრაჟო მოპასუხემ, რომელსაც საკუთარი მოსა-

** შენიშვნებისათვის*

ზრებების წარსადგენად გადაეგზავნა ამ შუამდგომლობის ასლი, სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

90. ფიზიკურ პირსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, სესხის ხელშეკრულების პირობის თანახმად, გამსესხებელმა მიმართა ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარუდგინა კერძო აღმასრულებელს იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად - იპოთეკის საგნის რეალიზაციის შესახებ. მსესხებელმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის თანახმად, აპირებს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების და სააღსრულებო ფურცლის გაუქმების მოთხოვნით. მისი მოსაზრებით, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება, უკვე გადახდილი თანხების გათვალისწინებით, თავიდან ააცილებს იპოთეკის საგნის რეალიზაციას.

** შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

შეაფასეთ საარბიტრაჟო მოთხოვნების საფუძვლიანობა.

91. საარბიტრაჟო ტრიბუნალის წარმოებაშია გამსესხებლის სარჩელი მსესხებლის მიმართ სასესხო დავალიანების გადახდევინების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა საარბიტრაჟო ტრიბუნალს განცხადებით და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვება იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო მოპასუხემ სრულად დაფარა სასესხო დავალიანება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

92. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში მსესხებლის პირადი ნომერი მითითებული იქნა შეცდომით. მითითებული შეცდომა აღმოჩენილი იქნა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ.

აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლება, თავისი ინიციატივით შეასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა მხარეებისათვის გადაწყვეტილების გადაცემის შემდეგ?

93. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, გამსესხებელს, მსესხებელს, სოლიდარულ თავდებებს და

** შენიშვნებისათვის*

იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან შორის არსებულ დავას იხილავს საარბიტრაჟო ტრიბუნალი. საარბიტრაჟო სარჩელის მიხედვით დავის საგანია: სასესხო დავალიანების და გაწეული ხარჯების ყველა საარბიტრაჟო მოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრება, დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის დადგენა. საარბიტრაჟო მოსარჩელე აგრეთვე ითხოვს დადგინდეს, რომ თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული ამონაგები არ იქნება საკმარისი საარბიტრაჟო მოსარჩელის სრულად დასაკმაყოფილებლად, აღსრულება განხორციელდეს საარბიტრაჟო მოპასუხეების ნებისმიერი ქონებისა და შემოსავლის ხარჯზე.

შეაფასეთ საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობა და იმსჯელეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ.

94. გამსესხებელსა და მსესხებელს 2016 წლის 15 მაისს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გამსესხებელმა მსესხებელს სესხად გადასცა 5000 ლარი 3 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სესხის დაფარვის გრაფიკი. მხარეთა საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე გამსესხებელმა 2017 წლის იანვარში საარბიტრაჟო სარჩელით მოითხოვა სესხის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და მსესხებლის მიერ დაბრუნებული თანხის გათვალისწინებით, გასესხებული თანხის დარჩენილი ნაწილის მთლიანად

** შენიშვნებისათვის*

დაკისრება მოითხოვა. სარჩელი დასაბუთებული იყო იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მსესხებელმა სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული მხოლოდ პირველი გადახდა განახორციელა და მას შემდეგ შეწყვიტა ვალის დაფარვა, ხოლო მისი გაფრთხილება დამატებით დაწესებულ ვადაში მიმდინარე დავალიანების დაფარვის შესახებ, აღმოჩნდა უშედეგო.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

95. 2015 წლის 1 ივლისს მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად გამყიდველს მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უნდა მიეწოდებინა კონკრეტული სამშენებლო მასალა. ნასყიდობის საფასური მყიდველმა სრულად გადაუხადა გამყიდველს. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მოცემული დავის განხილვის პროცესში მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და ითხოვეს მისი დამტკიცება. მორიგების აქტი ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების გარკვეულ წესს (მყიდველისათვის მის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების კონკრეტულ ვადებს) და მითითებული იყო, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში განხორციელდებოდა იძულებითი აღსრულება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, საქმეზე წარმოება შეწყვიტა და ნაწილობრივ გაითვალისწინა მორიგების აქტის პირობები.

** შენიშვნებისათვის*

იმსჯელეთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შესახებ - რატომ ჩათვალა ტრიბუნალმა, რომ მხარეთა მორიგების აქტში მითითებული პირობებიდან ერთ-ერთი ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს?

96. საბანკო დაწესებულებასა და მსესხებელს შორის გაფორმებული იქნა სასესხო ხელშეკრულება. სესხის დაბრუნების საგარანტიო უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით იქნა დატვირთული მესამე პირის კუთვნილი უძრავი ქონება. მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საბანკო დაწესებულებამ მოითხოვა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. უძრავი ქონების მესაკუთრემ მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო დათქმით განსაზღვრულ არბიტრაჟს და მოითხოვა იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით მოთხოვნის ოდენობა განისაზღვრა. აღნიშნულის საფუძველზე, იპოთეკის საგნის მესაკუთრემ მსესხებლის ნაცვლად, მისი ვალის ანგარიშში დაფარა საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა (იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა), ოღონდ სალაროს შემოსავლის ორდერში არ იყო მითითებული კონკრეტულად რომელი ხელშეკრულების ანგარიშში განხორციელდა ამ თანხის შეტანა. მითითებული თანხის შეტანის შემდეგ, იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრემ საბანკო დაწესებულებას მოსთხოვა იპოთეკის შეწყვეტა. საბანკო დაწესებულება ასეთ მოთხოვნას არ დაეთანხმა და

** შენიშვნებისათვის*

აღნიშნა, რომ მსესხებელს საბანკო დაწესებულებასთან გაფორმებული ჰქონდა სხვა სასესხო ხელშეკრულებაც (არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა) და იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ გადახდილი თანხით დაიფარება მსესხებელთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა). საბანკო დაწესებულების ასეთი პასუხის შემდეგ იპოთეკის საგნის მესაკუთრემ მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ სააარბიტრაჟო დაწესებულებას საარბიტრაჟო სარჩელით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

97. გამსესხებელს (შპს „ა“) და მსესხებელს (შპს „ბ“) შორის 2010 წლის 20 სექტემბერს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ა“-მ შპს „ბ“-ს 2017 წლის 1 აპრილამდე ასესხა 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა, რომ ვალის ეტაპობრივი გადახდა უნდა დაწყებულიყო 2016 წლის 1 მაისიდან. ამავე ხელშეკრულებით, საარბიტრაჟო დათქმის სახით განსაზღვრული იქნა კონკრეტული, იდენტიფიცირებადი მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება. 2014 წლის 1 მარტს განხორციელდა შპს „ა“-ს რეორგანიზაცია (შპს „ა“ დაიყო რამდენიმე დამოუკიდებელ იურიდიულ პირად) და მითითებულ სესხთან დაკავშირებით უფლებამონაცვლე გახდა შპს „გ“. 2016 წლის 15 აპრილს შპს „გ“-ს და შპს „დ“-ს შორის გაფორმებული იქნა შეთანხმება მოთხოვნის უფლების დათმობის შესა-

* *შენიშვნებისათვის*

ხებ (ცესია) და მითითებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება გადაეცა შპს „დ“-ს. 2016 წლის 15 მაისს განხორციელდა შპს „ა“-ს ლიკვიდაცია. 2016 წლის 1 ივნისს შპს „დ“-მ შპს „ბ“-ს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულებები და მოსთხოვა ვალის მისთვის გადახდა. შპს „ბ“-მ უარი განაცხადა რაიმე სახის შესრულების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ გასული იყო სახელშეკრულებო მოთხოვნაზე ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

98. გამსესხებელს (შპს „ა“) და მსესხებელს (შპს „ბ“) შორის 2010 წლის 20 სექტემბერს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ა“-მ შპს „ბ“-ს 2017 წლის 1 აპრილამდე ასესხა 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა, რომ ვალის ეტაპობრივი გადახდა უნდა დაწყებულიყო 2016 წლის 1 მაისიდან. ამავე ხელშეკრულებით, საარბიტრაჟო დათქმის სახით განსაზღვრული იქნა კონკრეტული, იდენტიფიცირებადი საარბიტრაჟო დაწესებულება. 2014 წლის 1 მარტს განხორციელდა შპს „ა“-ს რეორგანიზაცია (შპს „ა“ დაიყო რამდენიმე დამოუკიდებელ იურიდიულ პირად) და მითითებულ სესხთან დაკავშირებით უფლებამონაცვლე გახდა შპს „გ“. 2016 წლის 15 აპრილს შპს „გ“-ს და შპს „დ“-ს შორის გაფორმებული იქნა შეთანხმება მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ (ცესია) და მითითებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება

** შენიშვნებისათვის*

გადაეცა შპს „დ“-ს. 2016 წლის 15 მაისს განხორციელდა შპს „ა“-ს ლიკვიდაცია. 2016 წლის 1 ივნისს შპს „დ“-მ შპს „ბ“-ს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულებები და მოსთხოვა ვალის მისთვის გადახდა. შპს „ბ“-მ უარი განაცხადა რაიმე სახის შესრულების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ ის საზოგადოება, რომლის მიმართაც მას გააჩნდა ვალდებულება, აღარ არსებობდა.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

99. საბანკო დაწესებულებასა და მსესხებელს შორის გაფორმებული იქნა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელს მიეცა გარკვეული ოდენობის საბანკო კრედიტი. კრედიტის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკის დაფარვის შესახებ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიურად დარღვევის გამო საბანკო დაწესებულებამ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დათქმით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მოითხოვა მსესხებელს დაკისრებოდა საკრედიტო დავალიანება - სესხის ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი სარჩელის აღძვრის დღისათვის და პირგასამტეხლო. საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული იყო, რომ საბანკო დაწესებულებამ ისარგებლა საკრედიტო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უფლებით და ვადაზე ადრე შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საარბიტრაჟო წარმოების წესების (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება) შესაბამისად გამოსცა პროცედურული ბრძანება, რომლითაც

** შენიშვნებისათვის*

საარბიტრაჟო მოსარჩელეს დაავალა წარმოედგინა ინფორმაცია საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტული თარიღის შესახებ და მიუთითა, რომ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის ზუსტი თარიღის დადგენის გარეშე შეუძლებელი იყო საარბიტრაჟო მოპასუხისათვის დასაკისრებელი საპროცენტო სარგებლის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ არ შეასრულა საარბიტრაჟო ტრიბუნალის პროცედურული ბრძანების მოთხოვნა და საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ წარუდგინა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი?

100. საკრედიტო დაწესებულებამ 2018 წლის თებერვალში საარბიტრაჟო დაწესებულებას საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მოპასუხეების: გარდაცვლილი მსესხებლის უფლებამონაცვლის და თავდების მიმართ და მოითხოვა სოლიდარულად დაკისრებოდათ საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანება, საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების შეწყვეტიდან, 2018 წლის იანვრიდან მისი მოქმედების ვადის დასრულებამდე და საარბიტრაჟო მოსაკრებელი. განსახილველ საქმეში დადგინდა, რომ მსესხებელი კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ თანხას 2017 წლის დეკემბრამდე იხდიდა გრაფიკის შესაბამისად. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, გრაფიკით გათვალისწინებული მორიგი გადახდა, 2018 წლის იანვარში აღარ განხორციელდა. საქმის მასალების მიხედვით დადგინდა, რომ მსესხებელი

** შენიშვნებისათვის*

სწორედ უკანასკნელი გადახდის შემდეგ, 2017 წლის დეკემბერში გარდაიცვალა. ასევე საქმის მასალების მიხედვით, საკრედიტო დაწესებულებამ მსესხებელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, 2018 წლის იანვარში გაუგზავნა წერილობითი გაფრთხილება და დაუწესა ორკვირიანი ვადა დავალიანების დასაფარად. (გაფრთხილება ადრესატს, ბუნებრივია ვერ ჩაბარდა). გამსესხებელმა 2018 წლის იანვარში შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება მსესხებლის მიერ დამატებით მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის გამო. საარბიტრაჟო წარმოებაში ჩართულმა მსესხებლის უფლებამონაცვლემ განაცხადა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა 2017 წლის 2 დეკემბერს და მოსარჩელემ არ გაარკვია ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი და შეცდომაში შეიყვანა სააპელაციო სასამართლო, რომელმაც გარდაცვლილს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფი ღონისძიების სახით, აუკრძალა მის სახელზე რიცხული ქონების გასხვისება. უფლებამონაცვლემ აგრეთვე განაცხადა, რომ საკრედიტო დაწესებულებამ აგრეთვე უსაფუძვლოდ გაიღო საარბიტრაჟო ხარჯი, მაშინ როდესაც, ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, რადგანაც ის ძირითად დავალიანებას არ უარყოფდა, სესხის ხელშეკრულების არსებობა მისთვის ცნობილი გახდა შემთხვევით, საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებისას და რომ გაფრთხილება მსესხებლის ოჯახს არ ჩაბარებია. მანვე მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულე-

* *შენიშვნებისათვის*

ბის შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხის, მსესხებლის უფლებამონაცვლემ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარე ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას, მაშინ როდესაც, აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი ვადის გადაცილებად განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალე ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს და ვადის დადგომიდან კრედიტორის გაფრთხილების შემდეგაც არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი:

ა. ძირითად დავალიანებასთან დაკავშირებით;
ბ. საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებით;
გ. საარბიტრაჟო მოსაკრებელთან დაკავშირებით.

** შენიშვნებისათვის*

IV. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების: ცნობა/აღსრულება; გასაჩივრება

101. შპს „ოქროს თავთავმა“ საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო დაწესებულებას და მიუთითა, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ფიზიკურ პირს მიეწოდა საფურაჟე სიმინდი და რომ მისი ღირებულება ფიზიკურ პირს არ ჰქონდა გადახდილი. მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება ერთიანი დოკუმენტის სახით არ ყოფილა დადებული. საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელში მიუთითა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხესთან მიღწეულია შეთანხმება დავის ამ კონკრეტულ არბიტრაჟში განხილვის შესახებ. საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარუდგენია. არბიტრაჟმა სარჩელი დაკმაყოფილა. შპს „ოქროს თავთავმა“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სწორია თუ არა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. რა არგუმენტი შეეძლო მოეყვანა სააპელაციო სასამართლოს?

102. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნა-

** შენიშვნებისათვის*

ლმა მას არასწორად დააკისრა ფულადი ვალდებულება, რადგანაც არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

103. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

104. რამდენიმე მოთხოვნისაგან შემდგარ საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა შესაბამის სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო ისეთ საკითხზეც, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

105. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

106. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საარბიტ-

** შენიშვნებისათვის*

რაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ. საჩივარში მითითებული იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დაშვებული პროცედურული დარღვევების შესახებ. საარბიტრაჟო მოსარჩელემ, რომელსაც გადაეგზავნა საარბიტრაჟო მოპასუხის საჩივრის ასლი, სააპელაციო სასამართლოს მიმართა აღნიშნული განცხადების განხილვის შეჩერების და გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოფხვრის მიზნით საქმის არბიტრაჟისათვის გადაგზავნის მოთხოვნით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

107. საარბიტრაჟო ტრიბუნალი იხილავს მენარდის საარბიტრაჟო სარჩელს დამკვეთის, შპს „ინტეგრალი"-ს მიმართ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს საფასურის ანაზღაურების შესახებ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე დამკვეთის მიმართ თბილისის საქალაქო სასამარლოში დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. დამკვეთმა იშუამდგომლა საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ არ დაკმაყოფილდა მითითებული შუამდგომლობა და საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა. მენარდემ მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ხოლო შპს „ინტეგრალმა" თავის მხრივ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება საჯარო წესრიგის დარღვევის საფუძვლით.

---

* *შენიშვნებისათვის*

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო თითოეული მხარის მოთხოვნაზე

108. საარბიტრაჟო მოსარჩელემ შესაბამის სააპელაციო სასამართლოს მიმართა საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. საარბიტრაჟო მოპასუხემ (მოწინააღმდეგე მხარე) სააპელაციო სასამართლოში წარადგინა დასაბუთებული მოსაზრება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შესახებ. საარბიტრაჟო მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომ საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტები უკვე განხილული იყო სასამართლოს მიერ, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხემ იგივე არგუმენტებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და მიუთითა, რომ ასეთი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

რა საპროცესო მოქმედებას განახორციელებს სააპელაციო სასამართლო?

109. ქალაქ ზუგდიდის ერთ-ერთ კომერციულ საწარმოსა და ქალაქ თელავის ასევე ერთ-ერთ კომერციულ საწარმოს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი. საარბიტრაჟო შეთანხმება დავის განხილვის ფორმად ითვალისწინებს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას. მხარეთა თხოვნით, საარბიტრაჟო

** შენიშვნებისათვის*

მოსმენა განხორციელდა როგორც ქალაქ ზუგდიდში, მოსარჩელის ადგილმდებარეობის მიხედვით, ასევე ქალაქ თელავში, მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. მხარეთა პოზიციების მოსმენის, მოწმეთა დაკითხვის, ადგილობრივი დათვალიერებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში ერთ-ერთ მხარეს გაუჩნდა ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის შუამდგომლობა აცილების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ, გააგრძელა განხილვა და შემდეგ კი გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს საარბიტრაჟო მოსარჩელემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ?

110. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში დამკვეთი) და საპროექტო ორგანიზაციას შორის (შემდგომში მენარდე) დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდეს უნდა შეედგინა ხონის რაიონში ამორტიზებული შენობის რეაბილიტაციის პროექტი. მენარდემ სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა. აღნიშნულის შემდეგ დამკვეთმა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო ორგანიზაციასთან. ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშა-

** შენიშვნებისათვის*

ოების პროცესში სარეაბილიტაციო შენობა ჩამოინგრა. დამკვეთმა სარეაბილიტაციო პროექტის უხარისხობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მენარდესთან დადებულ ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელმაც დანიშნა საქმის განმხილველი არბიტრი. საარბიტრაჟო დათქმით საქმის განხილვის ადგილად გათვალისწინებულია თბილისი. არბიტრმა რაიმე გარემოების გამჟღავნების გარეშე შეავსო დეკლარაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, დაიწყო საარბიტრაჟო განხილვა და საქმის განხილვა დანიშნა ხონში, სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით. მენარდემ იშუამდგომლა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. არბიტრმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულის შემდეგ მენარდემ იშუამდგომლა მოწმეთა დაკითხვის და სპეციალისტის მოწვევის შესახებ, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა. საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ერთპიროვნული არბიტრის) 2019 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დამკვეთის საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა. საპროექტო ორგანიზაციამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით 2019 წლის 15 აგვისტოს მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო ერთი კვირით ადრე, 2019 წლის 8 აგვისტოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა-

** შენიშვნებისათვის*

ში მენარდე მიუთითებდა, რომ მისთვის ახლახან გახდა ცნობილი, რომ საქმის განმხილველი არბიტრის რძალი (ვაჟიშვილის მეუღლე), რომელიც ქალიშვილობის გვარს ატარებდა, მუშაობდა მუნიციპალური განვითარების ფონდის კურიერად და არბიტრის მოქმედებები მიუთითებდნენ მის მიკერძოებაზე და ასეთი გარემოების გაუმჟღავნებლობის გამო, არაკეთილსინდისიერებაზეც.

დაასაბუთეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება

111. სამშენებლო კომპანიამ (მენარდე) საარბიტრაჟო სარჩელით მიმართა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დაწესებულებას დამკვეთის წინააღმდეგ და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრება. საარბიტრაჟო დაწესებულების რეგისტრატორმა საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო გზავნილი (საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად) ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ მისამართზე, რაც იდენტურია ხელშეკრულებაში და სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულ მისამართთან. ამავდროულად, საარბიტრაჟო მოპასუხეს მის წინააღმდეგ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ ეცნობა სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზეც. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი საარბიტრაჟო გზავნილი დაბრუნებული იქნა ადრესატის ადგილმდებარეობის დაუდგენლობის მოტივით. საარბი-

* *შენიშვნებისათვის*

ტრაჟო დაწესებულების რეგისტრატორმა საარბიტრაჟო გზავნილი განმეორებით გააგზავნა იმავე მისამართზე, რადგანაც საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართის (ადგილმდებარეობის) შესახებ სხვა რეკვიზიტი მას არ გააჩნდა და არც საქმის მასალებიდან იკვეთებოდა. განმეორებითი გზავნილი ასევე იმავე მოტივაციით იქნა დაბრუნებული. საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დანიშნულმა ერთპიროვნულმა არბიტრმა აღნიშნული ქმედებები ჩათვალა საკმარისად და საქმის მასალებზე დაყრდნობით გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და სარჩელი დააკმაყოფილა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ჩათვალა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული, კერძოდ საარბიტრაჟო დაწესებულებას საჯარო შეტყობინების გზით უნდა უზრუნველეყო მოპასუხის ინფორმირება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოეტანა გადაწყვეტილება.

რამდენად თავსებადია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება საარბიტრაჟო განხილვის კონფიდენციალობის პრინციპთან

112. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაკმაყოფილა საარბიტრაჟო სარჩელი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა. საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნით. საარბიტრაჟო მოპასუხემ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადა-

** შენიშვნებისათვის*

წყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება. მითითებული მოთხოვნები იმყოფება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სხვადასხვა შემადგენლობის წარმოებაში.

განსაზღვრეთ სააპელაციო სასამართლოს თითოეული შემადგენლობის შესაძლო მოქმედება.

113. სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „პროგრესმა“ სს „ერთობა“-ს წინააღმდეგ ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სს „ერთობა“-მ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ შუამდგომლობაზე მოსარჩელემ წარადგინა საკუთარი განმარტება და მიუთითა, რომ მხარეთა შორის მართალია დადებული იყო საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ მისი ზოგადი ხასიათის გამო შეუძლებელი იყო კონკრეტული არბიტრაჟის იდენტიფიცირება. საარბიტრაჟო შეთანხმება არ ითვალისწინებდა კონკრეტულ არბიტრაჟს და მასში ზოგადად იყო მითითებული, რომ მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა განიხილებოდა არბიტრაჟის მიერ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

114. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო

* *შენიშვნებისათვის*

გადაწყვეტილება, მხარეს მითითებული პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

სამართლებრივ ნორმაში ჩამოყალიბებული პირობების არსებობისას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა სასამართლოს დისკრეციაა თუ ვალდებულება?

115. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი უთანხმოების გადაჭრას მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ. მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო გამყიდველმა შეწყვიტა ხელშეკრულება და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება. მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრის კანდიდატურაზე და საბოლოოდ არბიტრი დანიშნული იქნა საქალაქო სასამართლოს მიერ. არბიტრმა სარჩელი დააკმაყოფილა. მოპასუხემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ არბიტრაჟს არ ჰქონდა კომპეტენცია განეხილა მეორადი მოთხოვნა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

116. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა საკრედიტო დაწესებულების საარბიტრაჟო სარჩელი ფიზიკური პირის მიმართ სასესხო დავალიანების გადახდევინების შესახებ. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებული იყო ელექტრო-

** შენიშვნებისათვის*

ნულად და ხელშეკრულება მოიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო შესაგებელი არ წარუდგენია და არც არბიტრაჟს კომპეტენციის არარსებობაზე განუცხადებია. ტრიბუნალმა, შესაბამის მტკიცებულეებბზე დაყრდნობით საარბიტრაჟო სარჩელი დააკმაყოფილა. მოსარჩელემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. საარბიტრაჟო მოპასუხეს არც სააპელაციო სასამართლოსათვის განუცხადებია რაიმე სახის პრეტენზია საარბიტრაჟო განხილვის შესახებ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო სასამართლო?

117. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შპს „აღორძინება“-ს წინააღმდეგ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით. შპს „აღორძინება“-მ წარადგინა შუამდგომლობა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ არსებობდა საარბიტრაჟო დათქმა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო დათქმაში არ იყო მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ და სარჩელი არსებითად განიხილა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და გადაწყვეტილების არსებით უსწორობასთან ერთად კვლავ იშუამდგომლა საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა,

* *შენიშვნებისათვის*

გაუქმდა გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყვეტილი იქნა წარმოება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო დათქმის შინაარსი: ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების შესაბამისად, არბიტრაჟის ადგილი თბილისი, საქართველო, არბიტრაჟის ენა ინგლისური, სრულად აკმაყოფილებს საარბიტრაჟო შეთანხმების სტანდარტს. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლო?

118. უცხოურ და საქართველოს კომპანიებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საქართველოს კომპანიამ (მყიდველი) უცხოურ კომპანიას (გამყიდველი) დაუკვეთა გარკვეული პროდუქციის მოწოდება და ივალდებულა გადაეხადა შეთანხმებული საზღაური. ხელშეკრულება შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება არბიტრაჟის მიერ ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი ლონდონი. სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა. უცხოურმა კომპანიამ (გამყიდველი) საქართველოს კომპანიასთან უშედეგო მო-

** შენიშვნებისათვის*

ლაპარაკების შემდეგ შესთავაზა მას შეთანხმება არბიტრის კანდიდატურაზე. რადგანაც მყიდველმა (ქართული კომპანია) არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მხარეთა შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ინგლისის კანონმდებლობის („არბიტრაჟის შესახებ“ ინგლისის 1996 წლის აქტი) შესაბამისად, უცხოურმა კომპანიამ მიმართა ინგლისის სასამართლოს არბიტრის დანიშვნის შესახებ და მიუთითა, რომ დავის საგანია ხელშეკრულების შეწყვეტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად, დაინიშნა ერთპიროვნული არბიტრი. არბიტრის მიერ მიღებული იქნა პროცედურული ბრძანება, რომლითაც დადგინდა პროცესის მიმდინარეობის განრიგი. აღნიშნულის მიხედვით, მყიდველს (საქართველოს კომპანია) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხი უნდა წარედგინა მისი ელექტრონული ფორმით ჩაბარებიდან 30 დღეში ან ამ ვადის გასვლამდე 2 დღით ადრე მაინც მოეთხოვა ხსენებული ვადის გახანგრძლივება. მყიდველს არბიტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხი (შესაგებელი) არ წარუდგენია. არბიტრმა კვლავ მიიღო პროცედურული ბრძანება და მყიდველს დამატებით ორი კვირით გაუხანგრძლივა შეპასუხების წარდგენის ვადა. მყიდველს (ქართული კომპანია) საკუთარი პოზიცია არც ამ ვადაში წარუდგენია არბიტრისათვის. არბიტრის მიერ დამატებით მიცემული ორკვირიანი ვადის ბოლო დღეს მყიდველმა

* *შენიშვნებისათვის*

ითხოვა შესაგებლის წარდგენის ვადის გაგრძელება, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული არბიტრის მიერ იმ საფუძვლით, რომ მყიდველმა (ქართული კომპანია, მოპასუხე) მის წინააღმდეგ პროცესის დაწყების შესახებ იცოდა ჯერ კიდევ არბიტრის ინგლისის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშვნამდე საკმაო ხნით ადრე, როდესაც მას ჩაბარდა საარბიტრაჟო პრეტენზია და ყველა დოკუმენტაცია და კორესპოდენცია და ჰქონდა საშუალება, რათა უზრუნველეყო სათანადო წარმომადგენლობა დავაში. ამის შემდგომ არბიტრმა დანიშნა საქმის ზეპირი მოსმენა და მოპასუხე (ქართული კომპანია) მიიწვია ზეპირ მოსმენაზე. მოპასუხე ზეპირ მოსმენაზე არ გამოცხადდა და არც რაიმე სახის მტკიცებულება წარუდგენია არბიტრისათვის. არბიტრის გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე მხარეს დაეკისრა საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული თანხა, აგრეთვე საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. უცხოურმა კომპანიამ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ინგლისელი არბიტრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა. ქართულმა კომპანიამ (მყიდველი, მოპასუხე) უზენაესი სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვას და რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრული იყო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღა-

* *შენიშვნებისათვის*

ურების მოთხოვნით, რაც სცილდებოდა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. ქართული კომპანია ამასთანავე მიუთითებდა, რომ არბიტრმა მას არ მისცა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლო?

119. დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის მიერ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად, UNCITRAL-ის რეგლამენტის საფუძველზე განხილული იქნა მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის საარბიტრაჟო სარჩელი ს.ს. „რუსთავის ფოლადის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ჩარხის საფასურის, 327 456 გირვანქა სტერლინგის დაკისრების შესახებ. საქმის ზეპირ მოსმენაზე საარბიტრაჟო მოპასუხე, მიუხედავად სათანადო წესით ინფორმირებულობისა, არ გამოცხადდა და არც საარბიტრაჟო შესაგებელი წარადგინა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სარჩელი დააკმაყოფილა. ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ აღასრულა. მანჩესტერის მანქანათმშენებელმა ქარხანამ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა ასევე ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო განხილვაზე უნდა გამგზავრებულიყო კომპანიის იურისტი, რომელიც ლონდონში გამგზავრების წინ დააწვინეს სამშობიაროში და ნაადრევი მშობიარობით შეეძინა შვილი. ამასთანავე, სააქციო საზოგადოების მიერ საქა-

** შენიშვნებისათვის*

რთველოს უზენაეს სასამართლოს წარედგინა მტკიცებულებები, რომ მის მიერ შეძენილი ჩარხის საფასური იყო ბევრად ნაკლები და რომ არბიტრაჟმა გადაწყვეტილება გამოიტანა მოსარჩელის მიერ წარდგენილი არასწორი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა გამოკვლევა არბიტრაჟს არ განუხორციელებია. ამასთანავე მიუთითა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადახდო საშუალებას წარმოადგენს ლარი და რომ უცხოურ ვალუტაში ნებისმიერი თანხის დაკისრება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. შესაბამისად, ს.ს. „რუსთავის ფოლადმა“ იშუამდგომლა არ დაკმაყოფილებულიყო მანჩესტერის მანქანათმშენებელი ქარხნის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და, თავის მხრივ, იშუამდგომლა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მას, როგორც საარბიტრაჟო პროცესის მონაწილეს საპატიო მიზეზის გამო (წარმომადგენლის ნაადრევი მშობიარობა) არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი პოზიცია, რის გამოც დარღვეულია მხარეთა თანასწორობის შესახებ UNCITRAL-ის რეგლამენტის და „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის ფუნდამეტური პრინციპები.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს უზენაესი სასამართლო

120. ესპანურ კომპანიას და საქართველოს საპარტნიორო ფონდს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის

** შენიშვნებისათვის*

თანახმად ესპანურმა კომპანიამ საქართველოს საპარტნიორო ფონდს სესხის სახით გამოუყო 15 მილიონი ევრო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სესხის დაბრუნების ვადა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პროცენტზე დასარიცხ პროცენტსაც (პროცენტის პროცენტი). ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა შესაძლო დავის დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი (CIArb-ი) მიერ განხილვას ამ საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად. საპარტნიორო ფონდის მიერ ვალი არ იქნა დაბრუნებული. გამსესხებელმა მიმართა საარბიტრაჟო დათქმით გათვალისწინებულ არბიტრაჟს და მოითხოვა საარბიტრაჟო მოპასუხეს დაკისრებოდა როგორც ძირითადი დავალიანება, ასევე ვადაგადაცილების პროცენტი მის მიერ ნაანგარიშები რთული პროცენტის ფორმულით. საარბიტრაჟო მოპასუხემ არ უარყო დავალიანების არსებობა, ოღონდ მიუთითა პროცენტის პროცენტზე შეთანხმების ბათილობაზე, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს. ერთი არბიტრით ფორმირებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. ესპანურმა კომპანიამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საარბიტრაჟო უზენაესი სასამართლო

** შენიშვნებისათვის*